საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

30 მარტი **ოთხშაბათი** 2011
№073 (13370) ფასი 60 თეთრი

# დებიუტი მედლით

## დავით ხუციშვილი ევროპაში მესამეა

ევროპის ჩემპიონატი ჭიდაობაში. დორტმუნდი 2011

10






## თემურ ქეცბაია:

შანსი ყველა კანდიდატს მივეცით და ყველამ ნახა, ვის რა შეუძლია. დიდი რესურსი ნამდვილად არ გვაქვს, მაგრამ ძიებას გავაგრძელებთ.

# მოხდა ის, რაც გვეწერა: კალენდარში დაღლა გვეწერა



ლევან ჯანეზაშვილი
თელ ავივიდან

სპეციალურად ლელოსთვის

# თელ ავივში შეგვახსენეს ის, რისი დავიწყებაც ძალიან გვინდა: დონე



## ევრო 2012. საკვალიფიკაციო ეტაპი

29.03. თელ ავივი. ბლუმფილდი. 12 000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ისრაელი | 1 |
| საქართველო | 0 |

1:0 ბენ ჰაიმი II (59)

| ისრაელი | საქართველო |
|---|---|
| ავატე | რევიშვილი |
| ბონდარვი | სალუქვაძე |
| ბენ ჰაიმი I | ხუბუტია |
| ქეინანი | ამისულაშვილი |
| გერშონი | კალაძე |
| ნათხო | კანკავა |
| ქაიალი | ხიზანიშვილი |
| ა. კოენი | დაუშვილი |
| ბუზაგლო | იაშვილი |
| რაფაელოვი | კობიაშვილი |
| ბარდა | მარცვალაძე |
| მწვრთნელი ლ. ფერნანდესი | მწვრთნელი თ. ქეცბაია |

**ისრაელი**

53. ნათხო – **ბენ ჰაიმი II**
63. რაფაელოვი – **ვერმუთი**
72. ბარდა - **ბენაიუნი**

*სათადარიგოები: გორეში, ტავატა, ალბერმანი, ბენ საჰარი*

**საქართველო**

46. დაუშვილი – **კვირკველია**
64. იაშვილი - **დვალიშვილი**
73. მარცვალაძე - **სირაძე**

*სათადარიგოები: ლორია, კაშია, ალადაშვილი, გელაშვილი*

გაფრთხილება: ამისულაშვილი (43), მარცვალაძე (45), ა. კოენი (62), ბონდარვი (76), კობიაშვილი (89)

არბიტრი: ფ. ფოტრელი (საფრანგეთი)



# შხაპი, რომელსაც ვერ გადავურჩით

## თელ ავივში შეგვახსენეს ის, რისი დავიწყებაც ძალიან გვინდა: დონე

**ლევან ჯანეზაშვილი**
თელ ავივიდან

დასასრული ყველა სერიას აქვს და რა გასაკვირია, რომ შინ ძლიერად მოთამაშე ისრაელმა საქართველოს ნაკრების ხანგრძლივ დაუმარცხებელ პერიოდს წერტილი დაუსვა. მატჩის შედეგს სენსაციური ნამდვილად არ ეთქმის, მაგრამ ხორვატიის დამარცხებამ ქართველ ქომაგს სურვილები გაუმძაფრა და სავსებით ლოგიკურად გვქონდა თელ ავივიდან თუნდაც ქულით დაბრუნების იმედი.

სამწუხაროდ, ჩვენს იმედებს ცივი წყალი გადაესხა. ჩვენმა ნაკრებმა მიმდინარე შესარჩევი ციკლის ყველაზე ცუდი თამაში ჩაატარა და გამარჯვება ებრაელებს დარჩათ - უნდა ვაღიაროთ, რომ სავსებით დამსახურებულად. კარგად ვიცოდით, რომ ისრაელის ნაკრები შინ და გარეთ სხვადასხვა გუნდია, მაგრამ გუშინ მან განსაკუთრებით შთამბეჭდავად ითამაშა – სწრაფი, კომბინაციური და ტექნიკური სტილით ჩვენს ბიჭებს თავგზა აუბნია და აქამდე საიმედო დაცვით გამორჩეულ საქართველოს ნაკრებს უკანა ხაზში საბედისწერო შეცდომა დააშვებინა.

დაპირებული ანშლაგი არ შედგა. "ბლუმფილდი" დაახლოებით სამი მეოთხედით შეივსო. როგორც აგვიხსნეს, იმიტომ, რომ გუშინ საღამოს ადგილობრივი საკალათბურთო "მაქაბი" მნიშვნელოვან საერთაშორისო მატჩს ატარებდა და ქომაგთა ნაწილმა არჩევანი ამ სანახაობის სასარგებლოდ გააკეთა. სრულად არ შევსებულა საქართველოს ნაკრების გულშემატკივართათვის გამოყოფილი ორი სექტორიც, მაგრამ **თემურ ქეცბაიას** გუნდს ათასამდე მხარდამჭერი მაინც ჰყავდა. ნაღდი საფეხბურთო ატმოსფერო კი ნამდვილად იყო. ხალხმა ისრაელის ჰიმნიც ხმაშეწყობილად იმღერა და მთელი 90 წუთის განმავლობაშიც არ შეუწყვეტია საყვარელი გუნდის ენერგიული მხარდაჭერა. სამხედრო სასულე ორკესტრიც კარგი მოსასმენი იყო.

ხორვატიასთან მატჩის შემდეგ ძირითად შემადგენლობაში ქეცბაიამ ერთადერთი ცვლილება განახორციელა – ცენტრფორვარდის პოზიციაზე **ლადო დვალიშვილს ოთარ მარცვალაძე** ამჯობინა, **გოგიტა გოგუას** გამოკლების გამო კი 18-კაციან განაცხადში **ნიკა გელაშვილი** მოხვდა.

ორივე გუნდმა დაახლოებით იდენტური ტაქტიკით ითამაშა – ოთხი მცველით, სამი საყრდენით, ორი გარემარბითა და თითო ცენტრფორვარდით. საქართველოს ნაკრების განლაგებაში ახალი ბევრი არაფერი იყო, მხოლოდ ისაა ნიშანდობლივი, რომ დროდადრო **ლევან კობიაშვილი** მარცხენა ფლანგიდან მოედნის ცენტრისკენ იწევდა და ადგილს **მურთაზ დაუშვილს** უცვლიდა.

ჩვენები თავიდანვე დაბნეულად გამოიყურებოდნენ, არადა, ებრაელთა მხურვალე ქომაგობის მიუხედავად, სტადიონის გაბარიტების გამო "ბლუმფილდის" სიტუაცია სულაც არ ჩანდა ძალიან დამთრგუნველი. ჩვენი შემტევი სტრატეგია მარტივი იყო – როგორმე ბურთი მარცვალაძემდე უნდა მისულიყო. სამწუხაროდ, ხორვატიასთან საგოლე პასის ავტორს გუშინ გასაქანი არ მისცეს.

თამაში მთელმა გუნდმა ჩააგდო. ბევრი იყო ტექნიკური წუნი, ქეცბაიას შეგირდებს უჭირდათ სწრაფი აზროვნება და გადაწყვეტილებების დროულად მიღება, ხშირი იყო ურთიერთშეუთანხმებლობა; როცა ამის საჭიროება დადგა, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ განსაკუთრებით მწირია ჩვენი შემტევი პოტენციალი...

სავალალო იყო სტატისტიკაც – კუთხური საერთოდ არ მოგვიწოდებია, მეტოქის კარის ჩარჩოში კი ერთადერთხელ დავარტყით.

ბუნებრივია, იყო გადაღლილობის ფაქტორიც. ხორვატიის ძლევამ ჩვენს ბიჭებს დიდი ენერგია წაართვა, რასაც მგზავრობა და უცხო გარემოსთან აკლიმატიზაცია დაერთო. ებრაელებმა კი თამაშიდან თამაშამდე სამდღიანი ინტერვალი სამშობლოში გაატარეს და ლატვიის დამარცხების შემდეგ საქართველოსთან დაპირისპირებისთვის ძალები გაცილებით უკეთ და სწრაფად აღიდგინეს.

მასპინძლებმა სათამაშო და ტერიტორიული უპირატესობის მოპოვება თავიდანვე სცადეს და სწრაფადაც უტევდნენ, მაგრამ ჩვენი დაცვა პირველ ტაიმში საფრთხეს უშეცდომოდ და აუღელვებლად იგერიებდა. კარში პირველად ებრაელებმა დაარტყეს. **მაორ ბუზაგლოს** არცთუ სახიფათო დარტყმა ნუკრი რევიშვილმა იოლად გაანეიტრალა. სამაგიეროდ, მე-17 წუთზე აშკარად გადავრჩით. რევიშვილმა ბრწყინვალე რეაქციის წყალობით **რამი გერშონის** თავური კუთხურზე მოიგერია.

ორიოდე წუთში ჩვენს საჯარიმოში კიდევ ერთხელ "დაცხა". **ელიანივ ბარდა** მეკარესთან პირისპირ გავიდა, გასცდა კიდეც მას, მაგრამ კართან ძალიან მახვილი კუთხით დარჩა და ეს სახიფათო მდგომარეობაც განიმუხტა. პირველ ტაიმში ქართველთა აქტივში ორიოდე არაზუსტი დარტყმა იყო.

თამაში საკმაოდ ხისტი გამოვიდა, დებიუტში კი უხეშობაც ხშირი იყო. მე-3 წუთზე დაუშვილს მეტოქის ფეხი თავში მოხვდა და ძალების მოსაკრებად და მოედანზე დასაბრუნებლად გვარიანი დრო დასჭირდა.

34-ე წუთზე **ალექსანდრე იაშვილი** ორ მეურვეს გასცდა და საჯარიმოში ჩაანოდა. **ლევან კობიაშვილი** თავით დარტყმას აპირებდა, მაგრამ ბურთს ვერ მიასწრო. მე-40 წუთზე **ბებარს ნათხოს** მიერ შესრულებული ჯარიმა ხარიხას გადასცდა - რევიშვილი აქ უძლური იქნებოდა.

მატჩის დებიუტში მიღებულმა ტრავმამ დაუშვილს სრულად დახარჯვის საშუალება აღარ მისცა და მეორე ტაიმის დასაწყისიდანვე მოედანზე მის ნაცვლად **დავით კვირკველია** შევიდა, რომელმაც მისთვის ჩვეული მარცხენა ფლანგი დაიკავა, კობიაშვილი კი ცენტრში გადავიდა.

57-ე წუთზე ნათხომ კიდევ ერთხელ დაარტყა ჯარიმა და კიდევ ერთხელ გადავრჩით. სამაგიეროდ, ველარაფერმა გვიხსნა ორიოდე წუთის შემდეგ. ჩვენი დაცვა ჩავარდა, მოედანზე ახალშესულმა **ტალ ბენ ჰაიმმა** (მის სეხნია და მოგვარე უფრო ცნობილ ფეხბურთელში არ აგერიოთ) ლიორ რაფაელოვისგან გამოზომილი გადაცემა მიიღო და რევიშვილს შანსი არ დაუტოვა. საგოლე დარტყმა მისი პირველი შეხება იყო ბურთთან.

ქეცბაიამ შეტევა უმალ გააძლიერა. შეცვლაზე შესულ მაქაბელ დვალიშვილს სტადიონი გამაყრუებელი სტვენით შეხვდა, 71-ე წუთზე კი ლადოს თამაშის გადარჩენისა და ებრაული პუბლიკის დადუმების შესანიშნავი შანსი მიეცა, მაგრამ მასპინძელთა მეკარისა და მცველების შეუთანხმებლობით ვერ ისარგებლა და ბურთი დაუცველ კარს ააცილა.

თუკი ეს ჩვენი ერთადერთი ნაღდი საგოლე შანსი იყო, ისრაელს ანგარიშის გაზრდა ბევრჯერ შეეძლო. ზემოთ ნახსენებ ეპიზოდებს ის მომენტიც უნდა დავუმატოთ, **კახა კალაძე** ბარდას დარტყმას რომ გადაეფარა – გოლი, ალბათ, გარდაუვალი იქნებოდა.

მძიმე ტრავმის შემდეგ ისრაელის ნაკრებს **იოსი ბენაიუნი** დაუბრუნდა და ადვილი წარმოსადგენია, როგორი დახვედრა მოუწყო პუბლიკამ ქვეყნის მთავარ ვარსკვლავს.

თითქოს წაგება არ კმაროდაო, სახორვატიოდ კობიაშვილი და მარცვალაძე დავკარგეთ. თელ ავივში მიღებული გაფრთხილებები მათ სპლიტში თამაშის უფლებას არ აძლევს.



თემურ ქეცბაია (მარცხნივ) და სფფ-ს პრესატაშე ლაშა დვალიშვილი მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე

ავტორის ფოტო

## ჩვენი ჯგუფი

ასე დასრულდა საქართველოს ნაკრების სამარტო ამბები. ორ მატჩში სამი ქულა ავიღეთ, რაც ამ შეხვედრებამდე ბევრს, ალბათ, დააკმაყოფილებდა, გუშინ კი მაინც ძალიან საწყენი მარცხი ვიწვნიეთ. მარცხი, რომელმაც ჩვენი ქვეყნის მთავარი საფეხბურთო გუნდის დონე შეგვახსენა.

ამ შედეგმა მთელი ქართული საფეხბურთო სამყარო დაამწუხრა, მაგრამ პოზიტივის დანახვა ამაშიც შეიძლება - სულ ცოტა ხნის წინ ხომ საქართველოს ნაკრების მარცხი აღარც უკვირდათ და დიდად აღარც სწყინდათ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საბერძნეთი | 5 | 3 | 2 | 0 | 5-2 | 11 |
| 2. ხორვატია | 5 | 3 | 1 | 1 | 8-2 | 10 |
| 3. ისრაელი | 6 | 3 | 1 | 2 | 8-6 | 10 |
| 4. საქართველო | 6 | 2 | 3 | 1 | 4-3 | 9 |
| 5. ლატვია | 5 | 1 | 1 | 3 | 4-7 | 4 |
| 6. მალტა | 5 | 0 | 0 | 5 | 1-10 | 0 |

**მატჩის შემდეგ**

# ქეცბაია უკვე რევანშზე ფიქრობს

**მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ქეცბაია, ბუნებრივია, გულდაწყვეტილი იყო, მარცხის მიზეზად კი გადაღლა და შეცდომები დაასახელა.**

- ხორვატიის ნაკრების დამარცხების შემდეგ ბიჭებმა ძალების აღდგენა ვეღარ მოასწრეს და სწორედ ამის ბრალი იყო, დღეს ფიზიკურად კარგად რომ ვერ გამოიყურებოდნენ. მარცხის მიუხედავად, ჩემს ფეხბურთელებს თავდადებისთვის მადლობას ვეტყვი.

ეს მატჩიც დაცვიდან დავიწყეთ და სანამ იმ საბედისწერო შეცდომას დავუშვებდით, ჩვენი გეგმა კარგად მუშაობდა. შემდეგ მთელი ძალებით შეტევაზე გადავედით და მეორე ტაიმში საკმაოდ ხარისხიანად ვითამაშეთ, მაგრამ მიზანს ვერ მივაღწიეთ. მარცხის მიუხედავად, ჯგუფიდან გასვლის შანსს ვინარჩუნებთ და მის გამოყენებას ბოლომდე ვეცდებით.

**- რამდენად დიდია ამ შედეგში ფერნანდესის წვლილი?**

- უდიდესია. იგი ბრწყინვალე ფეხბურთელი იყო და სამწვრთნელო ნიჭიც აშკარად აქვს.

**- ისრაელის ნაკრების თამაშში თქვენთვის მოულოდნელი რამ ხომ არ შეგინიშნავთ?**

- სიურპრიზი არ ყოფილა, ვიცოდი, რომ ისრაელი შინ ძლიერია და ასე იყო დღესაც.

**- ისრაელს მიმდინარე შესარჩევ ციკლში მეორედ შეხვდით. ხომ არ ფიქრობთ, რომ ფერნანდესმა უკეთ შეისწავლა თქვენი გუნდი, ვიდრე თქვენ მისი?**

- არა, უბრალოდ, ჩვენ მეტი შეცდომა დავუშვით და აქ მეტოქეზე ინფორმაციის ქონა-არქონა არაფერ შუაშია.

**- თუ აქვს საქართველოს ნაკრებს შემადგენლობის გაძლიერების რეზერვი?**

- შანსი ყველა კანდიდატს მივეცით და ყველამ ნახა, ვის რა შეუძლია. დიდი რესურსი ნამდვილად არ გვაქვს, მაგრამ ძიებას გავაგრძელებთ.

ბოლოს ქეცბაიამ იმედი გამოთქვა, რომ ისრაელის ნაკრებს კიდევ შეხვდება და რევანშის შანსი მიეცემა.

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში გამოქვეყნება აკრძალულია

ექსკლუზივი

# რა მოხდა ფინეთში?

ინტერვიუ პავლე ხორგუაშვილთან

## დაუკავშირდით ფინეთის პოლიციას და დარწმუნდებით, რომ ჩემთვის ბრალი არ წაუყენებიათ!

მარტის შუა რიცხვებში ფინურმა MTV 3-მა გაავრცელა ინფორმაცია ამ ქვეყნის ფეხბურთში აგორებული სკანდალის შესახებ - 16 მარტს ფინეთის პოლიციამ მატჩების ჩაწყობაში ეჭვმიტანილი 6 ფეხბურთელი დააკავა, რომელთაგან 4 ფინეთის ჩემპიონატის უმაღლეს დივიზიონში (ვეიკაუსლიგა) გადასული „როვანიემის“ წევრი გახლდათ - ზამბიელები ჩანდა მვაბა, ჩილეშე ჩიბვე, ნჩიმუნია მვეეტვა და პავლე ხორგუაშვილი, მანამდე კი პოლიციის ყურადღება კრისტოფერ მუსონდამ მიიქცია.

პოლიცია 10 შარშანდელ საეჭვო მატჩს იკვლევდა. კლუბის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, პოლიციის დეპარტამენტის შეფმა იუკა ლაკალამ აღნიშნა, ჯერ იმის თქმაც არ შემიძლია, დაკავებულები ეჭვმიტანილები არიან თუ არა, მათ წინააღმდეგ საქმე ჯერ არ აღძრულაო.

შარშან იკონენლიგაში გუნდი პირველ ადგილზე ქართველი ტყუპი ძმების, 23 წლის პავლე და ვალტერ ხორგუაშვილების კარგი თამაშის წყალობითაც გავიდა. პავლე ფლანგის შემტევი ნახევარმცველია და გასული სეზონის 24 მატჩში 10 გოლი მიითვალა, ვალტერი მარცხენა მცველია და 16 შეხვედრაში 1 გოლი გაიტანა. სხვებიც „როვანიემის“ შარშანდელი შემადგენლობის ლიდერები იყვნენ: მვეეტვამ 13 გოლი გაიტანა, მუსონდამ - 8, ჩიბვემ - 9 და მვაბამ – 6, ანუ „როვანიემის“ 61 გოლიდან 46 ხუთი დაკავებულის ანგარიშზეა, პავლე კი იკონენლიგის ბომბარდირებში მეხუთე ადგილზე გავიდა. სწორედ მან გაიტანა 6 მარტს ფინეთის ლიგის თასზე „ოულუსთან“ გასვლით მატჩში (0:1) ერთადერთი გოლი. ამ დროისთვის კი ფინეთის ჩემპიონატი ჯერ არ დაწყებულა.

შემდეგ სამართალდამცველებმა დაკითხვაზე კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი დაიბარეს, მათ შორის ვალტერ ხორგუაშვილიც, მაგრამ მალე გაათავისუფლეს. ამას პავლეს გათავისუფლებაც მოჰყვა, რაზეც საქართველოს კონსულმა ფინეთში დავით ბაქრაძემ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, სასამართლოზე საქმის პირველადი მოსმენის დროს მისი ბრალეულობა არ გამოიკვეთაო.

პავლეს ფინეთში დავუკავშირდით და ინტერვიუ ჩამოვართვით:



ძმები ხორგუაშვილები

**- ჩვენ მხოლოდ ფინური მედიის და შენი კლუბის ინფორმაციებს ვეყრდნობოდით, თქვენი კომენტარი კი ჯერ არ მოგვისმენია.**

- ყველაფერი დაიწყო იმით, რომ დაიჭირეს ბიზნესმენი, რომელიც მატჩების ჩაწყობაში იყო ეჭვმიტანილი. ეს კაცი ჩემს თანაგუნდელთან ერთად ნახეს და ეჭვიც ამის გამო დაიბადა, მაგრამ ჩემთვის ბრალი არ წაუყენებიათ, დაკითხვაზე დამიბარეს, ჩაწყობილ თამაშებზე რამე ინფორმაციას თუ ფლობო. ფინეთის პოლიციას აქვს უფლება, დაკითხვის დასრულებამდე, მაქსიმუმ ორი კვირა, სახლში არ გაგიშვას. სულ დაკითხვაზე 12 კაცი დაგვიბარეს, მათ შორის, ჩემი ძმაც.

**- თუ ჩაწყობილ თამაშებზე არაფერი იცოდი, ამის თქმა ერთი ფრაზით შეიძლებოდა და დაკითხვაც დასრულდებოდა, ერთი კვირა "არ ვიცოდის" თქმას დასჭირდა?**

- მათ ჰქონდათ ეჭვი, რომ რაღაც ვიცოდი, კითხვებს ათასგვარად მიტრიალებდნენ, ამიტომ გამაჩერეს ამდენი ხანი, მაგრამ არაფერი ვიცოდი და რა უნდა მეთქვა? პირადად ჩემს მონაწილეობაზე კითხვა არც დაუსვამთ.

**- კლუბის ვებგვერდი წერდა, ეჭვმიტანილები არიანო.**

- მესმის თქვენიც, ერთი კვირა გამაჩერეს და ბუნებრივად გიჩნდებათ კითხვები, მაგრამ მე რომ უდანაშაულო ვარ, ამას ფინეთის პოლიციაც დაგიდასტურებთ და ჩემი თხოვნა იქნება, დაუკავშირდეთ მათ, ჩემს ადვოკატს და მოისმინოთ მათი პოზიცია. წესიერ ოჯახში ვარ გაზრდილი და არ მინდა, ხორგუაშვილებზე ეჭვები ვინმეს კიდევ გაუჩნდეს.

ძირითადად 2007 წლიდან 2010 წლამდე ჩატარებულ შეხვედრებს იკვლევდნენ, მე კი "როვანიემში" 2010 წელს ჩავირიცხე. ლაპარაკი იყო ერთ-ერთ შეხვედრაზე, რომელშიც ვალტერს არ უთამაშია, მე კი მოედანზე მხოლოდ ათი წუთი შევედი. გინდა თუ არა, გვითხარი, რამე ხომ არ იცი ჩაწყობილ შეხვედრებზეო, გაგონილი გექნებაო, მაგრამ მე რა შუაში ვიყავი?

ამ პერიოდში სწავლობდნენ ჩემს კავშირებს, საბანკო ანგარიშებს, საეჭვო მისამართებზე ხომ არ მქონდა თანხა ჩარიცხული, ან მე ხომ არ ჩამერიცხა დაუსაბუთებელი შემოსავლები. დარწმუნდნენ, რომ ყველაფერი წესრიგში იყო და ჩემს დაკითხვას აზრი არ ჰქონდა.

დამნაშავე რომ ვყოფილიყავი, ციხეში ჩამსვამდნენ, ფინეთში ხელს ნაღდად არ დამაფარებდნენ, აქ საქმის გაჩარხვა შეუძლებელია. ჩემზე ეჭვი რომ ჰქონდეთ, ფინეთში მუშაობის უფლებას ჩამომართმევდნენ და დეპორტაცია გარანტირებული მექნებოდა. ეს ძალიან მარტივი ლოგიკაა. ფინეთში უდანაშაულო ხალხს ციხეში არ სვამენ.

**- ეს გასაგებია, მაგრამ კლუბმა კონტრაქტი რატომ გაგიწყვიტა?**

- იციან, რაც მოხდა, მაგრამ კლუბის იმიჯისთვის ასე აჯობებსო. ეს ჩემთვის კიდევ ერთი დარტყმა იყო და აუცილებლად დავაყენებ საკითხს, რომ კლუბმა და იმ საინფორმაციო საშუალებებმა, რომლებმაც ბრალდებულად გამომაცხადეს, საჯაროდ ბოდიში მომიხადონ. თუმცა დღემდე "როვანიემის" ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობ და არავის უთქვამს, დაცალეო. საეჭვო ხალხს ასე არ ექცევიან. არც მინდა თავის მართლება, უდანაშაულო ვარ და ამაში ფინელებიც დარწმუნდნენ.

**- ამის მიუხედავად, მომხდარი ძნელი გადასატანი იქნებოდა.**

- მორალურად გავნადგურდი, ჩემმა მეგობრებმა და ახლობლებმა მაინც იციან, როგორი ადამიანი ვარ და როგორ ვცხოვრობდი. სიმართლე არ დაიკარგება და ცილისწამებისთვის პასუხი ყველას მოეთხოვება

ჯერ კი გონზე უნდა მოვიდე. ძნელია ამხელა სტრესის გადატანა, მართალი ვარ, მაგრამ უგუნდოდ დავრჩი. დაკითხვაც შეურაცხმყოფელი იყო. ახლა ველოდები, მოწმის სახით დაბარებას და მერე საქართველოში დავბრუნდები. არადა, ყველაფერი რა კარგად მიდიოდა... ფინეთის უმაღლეს ლიგაში თამაში ჩემთვის პატარა საქმე არ იყო. თუმცა მომხდარი ჩემს კარიერას ვერ შეეხება, რადგან დისკვალიფიკაცია არ მოუციათ.

უცხო თვალით

# მარგალიტების მაძიებელი: საქართველო საბადოა

მადრიდის "ატლეტიკოსა" და ჩეხეთის ნაკრების მცველი ტომაშ უიფალუში, "ევერტონისა" და ჰოლანდიის ნაკრების წევრი ჯონ ჰეიტინგა, აგრეთვე საკმაოდ ბევრი ჩეხი ფეხბურთელი ფიფას აგენტ დალიბორ ლაჩინას სავიზიტო ბარათს წარმოადგენენ. ასეთი მოთამაშეების შემდეგ მისი გაოცება შეუძლებელია, მაგრამ საქართველოში ჩამოსული ჩეხი მენეჯერი ჩვენი მოთამაშეების ნიჭიერებამ გააკვირვა.

### რატომ ჩამოვედი საქართველოში

ევროპაში ფეხბურთელები განსაკუთრებულ პროგრესს 15-დან 17 წლამდე აღწევენ, რაც მედიცინით, ვიტამინიზაციით, აღდგენითი საშუალებებითა და სპეციალური კვებით, აგრეთვე კარგი სავარჯიშო პირობებით ხერხდება. საქართველოში კი ასეთი პირობები არ არსებობს და ნიჭიერი ბავშვების ზრდა ბრკოლდება. თუმცა მთავარია, რომ ასეთები მრავლად გყავთ.

მეორე მხრივ, ევროპაში იმდენად მაღალია ცხოვრების დონე, ეზოში ფეხბურთის თამაში ბევრს ეზარება და კომპიუტერული ფეხბურთი ურჩევნიათ. მათ სხვა პროფესიებით საშუალოევროპელ ფეხბურთელზე მეტის გამომუშავება შეუძლიათ.

2000 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში გერმანიის ნაკრები ჯგუფში ჩარჩა და კატასტროფული პროცესების შესაჩერებლად ახალი სისტემის შექმნა გადაწყვიტეს, რომელიც ბავშვებს ფეხბურთით დააინტერესებდა: რეგიონებში ჩამოაყალიბეს საფეხბურთო ცენტრები, სადაც ცნობილ სპეციალისტებს მაღალი ხელფასები დაუნიშნეს. ამ ცენტრებს კი ბავშვები მასობრივად ეტანებოდნენ. ამას გარდა, კარი გაუღეს უცხო ქვეყნიდან ჩასულ ფეხბურთელებსაც, როგორც თავის დროზე ფრანგებმა და ახლა გერმანიის ნაკრებში პოლონელები, აფრიკელები და თურქები თამაშობენ.

საქართველოსა და სხვა მსგავს ქვეყნებში კომპიუტერული სიზარმაცის ვირუსი ნაკლებად მოქმედებს, ბავშვებისთვის ფეხბურთი ცხოვრებისეული წინსვლის ერთ-ერთი უმთავრესი საშუალებაა და დიდი სტიმულიც აქვთ სავარჯიშოდ. ხელს საკმაოდ მდიდარი საფეხბურთო ტრადიციებიც გიწყობთ.

მენეჯერის საქმე აუთვისებელი და პერსპექტიული ბაზრების აღმოჩენაა. დიდი ხანია, ვიცნობ ქართულ ფეხბურთს, მის პოტენციალს, ისტორიას, ვიცი, რომ აქ ბევრი ტალანტი იბადება. ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი გყავთ, მაგრამ ფიზიკური მომზადება, ათლეტიზმი აკლიათ და პოტენციალს ვერ იყენებთ. ეს იმიტომ, რომ არ არსებობს პირობები, ინფრასტრუქტურა. პოსტსაბჭოური ქვეყნების ხალხებს ჩეხეთში სახელი გაუტყდათ, მაგრამ ქართველებს ინტელექტუალური, ნიჭიერი და თავისუფლების მოყვარული ხალხის სახელი გაქვთ, მაგრამ მე ხალხის მენტალიტეტი მაინტერესებდა, რაც ჩვენს სფეროში ძალიან მნიშვნელოვანია. ხორვატიასთან მატჩისას დავრწმუნდი, რომ საქართველოში ფეხბურთი ძალიან პოპულარულია. სტადიონზე იყო ფანტასტიკური ატმოსფერო, ხალხი საოცრად ემოციურად განიცდიდა თითოეულ მომენტს, შეტევას, გოლზე ასეთი რეაქცია კი არსად მინახავს და დავრწმუნდი, საქართველო ძალიან საინტერესო ბაზარია, სადაც შეიძლება აღმოვაჩინო მარგალიტი, რადგან მარგალიტი ემოციურ და ნიჭიერ ერში უფრო იბადება.

ბევრი თქვენებური რუსეთისა და უკრაინის კლუბებში თამაშობს და ევროპაში ამიტომაც არ იცნობენ. თქვენი პრობლემა ისაა, რომ ევროპიდან შორს ხართ. აქ არც კარგი ინფრასტრუქტურაა, სხვათა შორის, კარგი ვითარება ჩეხეთშიც არ არის, ასე რომ, ამ პრობლემას მოგვარება სჭირდება.

### საქართველოს ნაკრები აღმოჩენაა

ხორვატიასთან მატჩით გაოცებული დავრჩი. ასეთი დონის გუნდის დამარცხება გრანდებსაც უჭირთ. გითხარით, ვიცოდი ქართველების პოტენციალი-მეთქი და მიკვირდა, ძლიერი ნაკრები რატომ არ გყავდათ.

ახლა კი კარგი კომბინაციაა: ქეცბაია კარგი მწვრთნელია, პლუს ნიჭიერი ფეხბურთელები და ხარისხიანი თამაში. თუ ამას დაემატება სრული კონცენტრაცია და უკეთესი სათამაშო დისციპლინა, საქართველო ბევრ ასეთ შეხვედრას მოიგებს.

ქეცბაიამ გასაოცარი ტაქტიკური მანევრები განახორციელა. აქ გავიგე, ბევრს დვალიშვილის და იაშვილის თამაში არ მოეწონაო. ამ დროს მათ გუნდისთვის უდიდესი საქმე გააკეთეს: ქეცბაიამ მათ პირველ ტაიმში ხორვატების დაცვის დაღლა დაავალა, რაც ორივემ მშვენივრად მოახერხა. მეორე ტაიმში კი, ამ დაღლილი დაცვის წინააღმდეგ დასვენებული, სწრაფი ფეხბურთელები შეიყვანა და აქტიურ მოქმედებებზე გადავიდა, თქვენებმა ბურთის კონტროლი შეძლეს. ძალიან გონივრული და მოულოდნელი ჩანაფიქრი იყო, რომელმაც გაამართლა. ამით ქეცბაიამ ბილიჩს აჯობა. დარწმუნებული ვარ, დღევანდელ ჩეხეთის ნაკრებს საქართველო აუცილებლად მოუგებს.

ძალიან მომეწონა მეკარე რევიშვილი, მშვიდად და საიმედოდ თამაშობდა, რაც ფეხბურთელებსაც გადაედოთ. თანაც, იმასაც გააჩნია, ვისთან ხარ მშვიდი – ხორვატია ძალიან ძლიერი ნაკრებია.

გადაუჭარბებლად ვიტყვი, თქვენმა დაცვამ ხორვატიასთან ისე ითამაშა, ევროპაში საუკეთესო ნაკრებთა უკანახაზელები რომ მოქმედებენ.

კალაძეს ყველა იცნობს, დანარჩენები ტოპლიგებში არ არიან, მაგრამ საკმაოდ ნორმალურ გუნდებში თამაშით კლასი ეტყობათ.

ჩემი აზრით, ლაშა სალუქვაძეს ტოპლიგაში თამაშის პოტენციალი აქვს. მოვიხიბლე მისი სათამაშო დისციპლინით, ითამაშა უშეცდომოდ და კარგადაც აზღვევდა.

კარგი იყო ხუბუტიაც, ათლეტური, მებრძოლი, აგრესიული და დინამიკური მცველი. კარიერის მაღალ დონეზე გაგრძელება შეუძლია. ასეთ მცველს ინგლისსა და გერმანიაში ეძებენ.

ძალიან სწრაფი და უხერხული თავდამსხმელია მარცვალაძე, არაფრისგან მომენტის ქმნის. 26 წლის არის? ძლიერი ევროპული გუნდების დასაინტერესებლად საუკეთესო ასაკია.

სხვა ფეხბურთელებიც მომეწონნენ, მაგრამ მთლიანობაში გუნდია გამოსარჩევი, ეს ტაქტიკურად კარგად განსწავლული ნაკრებია, რომელმაც იცის, რას და როგორ აკეთებს. სხვაგვარად ხორვატების ვარსკვლავურ გუნდს ვერ დაამარცხებდა.

### ასათიანთან კონტრაქტი გავაფორმე

შვიდი წელია, მალხაზ ასათიანს ვიცნობ და მისით დიდი ხანია, დაინტერესებული ვარ. მან მშვენიერი კარიერა აიწყო და კარგი სახელიც დაიგდო. ახლახან თანამშრომლობაზე შევუთანხმდი და ხანმოკლე კონტრაქტი გავუფორმე. მისი ევროპაში წაყვანა ზაფხულშიც მსურდა, მაგრამ "ლოკომოტივის" მწვრთნელ სიომინსა და პრეზიდენტ ნაუმოვს მასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული პოზიცია არ ჰქონდათ და შეთანხმება გაძნელდა.

არადა, ასათიანი "ლოკომოტივის" საკვანძო ფეხბურთელი იყო და ძალიან კარგი პირობებიც ჰქონდა. ამის გამო რუსეთიდან წასვლა ბევრს არ სურს. მით უფრო, რომ ფინანსური კრიზისის შემდეგ მსგავსი პირობების შეთავაზება ევროპაში მხოლოდ ტოპკლუბებს შეუძლიათ. მაგრამ ევროპაში რუსეთის პრემიერლიგის მოთამაშეებს კარგად არ იცნობენ.



ახლა თავისუფალი აგენტია და კლუბის მოძებნას ვცდილობ, მაგრამ ევროპაში სეზონი განახლდა და ასეთ დროს გუნდში მოუმზადებელი ფეხბურთელის აყვანას ერიდებიან.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

BG **Bet Guru**
http://bet.goli.ge
სრულიად უფასოდ !!!

ხარ აზარტული და გიყვარს ფეხბურთი ?
გამოიცანი თამაშების შედეგები და მოიგე !

- თითოეულ ჩემპიონატზე თვეში 100 ლარი
- Top 5 - ყოველკვირეული გათამაშება - საპრიზო ფონდი 250 ლარი!
- სეზონის ბოლოს 3000 ლარი, ან 'ელ კლასიკოზე' დასასწრები 2 ბილეთი!

# ქართული ფეხბურთი

## U 21. ალპე ადრიას თასი

# ავსტრიაში ბოლო ადგილზე


ოთარ გაბელია

საქართველოსახალგაზრდულმა ნაკრებმა ავსტრიის ოთხთა ტურნირზე ბოლო ტურში რუმინეთთანაც წააგო - 1:2.

32-ე წუთზე ანგარიში "ვიტესის" 17 წლის ფორვარდმა **გიორგი ჭანტურიამ** გახსნა, მაგრამ დასანანია, რომ **ოთარ გაბელიას** შეგირდებმა კაცნაკლულ მეტოქესთან უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლეს. რუმინელებს 72-ე წუთზე მოთამაშე გაუძევეს და სწორედ ამის შემდეგ მოახერხეს გატანა: 74-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრეს, 85-ეზე კი გადამწყვეტი ბურთი შეაგდეს.

მატჩი სრული შემადგენლობით ვერც ჩვენებმა დაასრულეს, რადგან 89-ე წუთზე **ლევან კაკუბავა** გააძევეს. შეგახსენებთ, რომ პირველ მატჩში მოედანი **დავით ხოჭოლავას** დაატოვებინეს.

ამრიგად, სამი მატჩიდან სამი წაგება და ბოლო ადგილი - ასე სავალალოდ დაასრულა ახალგაზრდულმა ნაკრებმა ავსტრიული ტურნირი "ალპე ადრია". პირველი შეხვედრა ისრაელთან დავთმეთ (0:2), მეორე - ალბანეთთან (1:3, გოლი - **გიორგი ილურიძე**), ბოლო მარცხზე კი უკვე მოგახსენეთ. გამარჯვებული კი რუმინეთი გახდა, რადგან ბოლო ტურის მეორე შეხვედრაში ისრაელმა ალბანეთთან 1:1 ითამაშა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუმინეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 7 |
| 2. ისრაელი | 3 | 1 | 2 | 0 | 4-2 | 5 |
| 3. ალბანეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 4 |
| 4. საქართველო | 3 | 0 | 0 | 3 | 2-7 | 0 |

**მერაბ მამულაშვილი**

## მომავლის ფეხბურთი

# გამოწვევა საბურთალოდან

**საფეხბურთო სკოლა "საბურთალო" 1999 წელს გიგა არევაძემ, ქართლოს ჭუმბურიძემ და მამუკა კვარაცხელიამ დააარსეს. 2005 წლიდან სკოლის მოვლაზე ზრუნვა ტარიელ ხეჩიკაშვილმა და "იბერია ბიზნეს ჯგუფში" შემავალმა კომპანიებმა ითავეს. ამავე წელს სკოლა გიორგი ნემსაძის სახელობისა გახდა. ერთხანს ორი საფეხბურთო სკოლა - "საბურთალო" და "ოლიმპი" შეერთდნენ, თუმცა მათი თანამშრომლობა დიდხანს არ გაგრძელებულა. "საბურთალო" თავისი აღზრდილის, გიორგი ჭანტურიას წარმატებებით განსაკუთრებით ამაყობს.**

**სკოლაში არსებულ მდგომარეობაზე სასაუბროდ საფეხბურთო სკოლა "საბურთალოს" დირექტორ კახა ამირიძეს ვეწვიეთ.**

- ის, რაც დღეს გვაქვს, დროსთან ერთად მოვიდა. ცარიელ, დანაგვიანებულ მიწის ნაკვეთზე მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, ხელოვნურსაფრიანი მოედნები, საშხაპე-გასახდელები, მწვრთნელთა და მსაჯთა ოთახები და ადმინისტრაციის შენობა თანდათან ავაშენეთ.

**-გავიგეთ, რომ სკოლას კიდევ ერთი სავარჯიშო მოედანი დაემატება.**

- ახალი ხელოვნურსაფრიანი კეთილმოწყობილი მოედანი საშხაპე-გასახდელებითა და ვარჯიშისთვის საჭირო ყველა პირობით სამედიცინო უნივერსიტეტის სტადიონზე გაკეთდება და სექტემბერში უკვე მზად იქნება. ახლახან ორ მოედანზე საფარი გამოვცვალეთ. ვფიქრობთ, ახალი საფარი კიდევ ორ მოედანზე დავაგოთ.

**- რამდენი ბავშვი ირიცხება სკოლაში?**

- ჩვენთან თითქმის ყველა ასაკის 300-მდე მოზარდი ვარჯიშობს. მომავალ ფეხბურთელებს მწვრთნელები მათი დონის მიხედვით შესაბამის ჯგუფებში ანაწილებენ.

**- ბოლო წლებში მწვრთნელთა ლიცენზირებაზე ბევრს ლაპარაკობენ.**

- ბავშვებთან შესაბამისი სამწვრთნელო ლიცენზიის ოცამდე მწვრთნელი და მათი დამხმარენი მუშაობენ. მწვრთნელთა განათლებას სკოლის ხელმძღვანელობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. ხშირად სამწვრთნელო კურსებზე მათ ხარჯებს ჩვენ ვისტუმრებთ.

**- მშობლები რამდენად არიან დაინტერესებულნი იმ პირობებით, რასაც საფეხბურთო სკოლა მათ შვილებს სთავაზობს?**

- იშვიათად, რომ მშობლებმა იკითხონ, თუ ვინ გაწვრთნის მათ ბავშვებს, აქვს თუ არა სკოლას ლიცენზია, მათი შვილი სად და რა პირობებში ივარჯიშებს. არადა, ეს აუცილებელია, ხომ უნდა იცოდნენ, საფეხბურთო სკოლა რა ვალდებულებებს იღებს.

**- საგანმანათლებლო სკოლებში სპორტის გაკვეთილები ტარდება, თქვენთან ახლოს კი საჯარო სკოლაა.**

- საჯარო სკოლასთან ვთანამშრომლობთ. სამ საათამდე ჩვენი სავარჯიშო მოედნები მათ განკარგულებაშია და თავისუფლად შეუძლიათ ვარჯიში. სკოლის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით კი, ავდარში მათ დახურულ დარბაზებს სავარჯიშოდ ვიყენებთ.

**- სწავლის საფასური ყველა სკოლას სხვადასხვა აქვს. თქვენთან რა ღირს სწავლა?**

- თვეში 60 ლარი. ეს ფული იხარჯება ბავშვების სათამაშო და სავარჯიშო ფორმებით, გადასაცმელებით, ბურთებითა და მწვრთნელთა ეკიპირებით მომარაგებისთვის.

**- საფეხბურთო სკოლებს მძიმე ტვირთად აწევთ კომუნალური გადასახადები.**

- კომუნალური გადასახადების ხარჯებს სკოლის ხელმძღვანელობა თავად ფარავს.


კახა ამირიძე

**- ეს ხომ სკოლას დიდ ფინანსურ ტვირთად აწვება...**

- გეთანხმებით, ფინანსური თვალსაზრისით, კომუნალური გადასახადები სკოლისთვის მძიმე ტვირთია, მაგრამ ხელმძღვანელობა ყოველგვარ ხარჯს თავად ისტუმრებს, რადგან სკოლა ფულის კეთებით არ არის დაინტერესებული. ჩვენთვის მთავარია ბავშვებზე ზრუნვა და ღირსეული მომავალი თაობის აღზრდა.

**- მომავალ ფეხბურთელებს როგორ დაახასიათებდით?**

- თამამად შემიძლია ვთქვა, რომ შესანიშნავი თაობა მოდის. დღევანდელი ბავშვები, 90-იანი წლების 8-9 წლის მოზარდებისგან განსხვავებით, გაცილებით გახსნილები და თამამები არიან. სამოქალაქო ომმა და 90-იანი წლების უბედურებამ მაშინდელი თაობის ფსიქიკას თავისი კვალი დაატყო. შედეგად, ნიჭიერი ბიჭების მასობრივად დაკარგვა მივიღეთ. საბედნიეროდ, დღევანდელ ბავშვებს მსგავსი პრობლემები არ აწუხებთ, რაც მათ ლაღ თამაშშიც აისახება.

**- ბავშვთა ფეხბურთში უმნიშვნელოვანესია მოზარდის ჯანმრთელობის გაკონტროლება. "საბურთალო" აღსაზრდელების სამედიცინო შემოწმებას თავად უზრუნველყოფს?**

- გვაქვს სარეაბილიტაციო ცენტრი, სადაც ბავშვების ჯანმრთელობას წელიწადში ორჯერ ვამოწმებთ. მშობლები სამედიცინო მომსახურებაში, ასაკის მიხედვით, 15 ან 25 ლარს იხდიან. მომსახურების პაკეტში შედის ექოსკოპია, მუცლის ღრუ, სიმაღლეში ზრდისა და წონის შემოწმება, სისხლის ანალიზი, პირის ღრუს დათვალიერება, ორთოპედია. ვცდილობთ, მშობლების დახმარებით მოზარდთა კვების რეჟიმი იყოს ჯანსაღი, ბავშვები სწორი რაციონით იკვებებოდნენ.

**- შესაბამისი ხარისხისა და ვარსკვლავის მისანიჭებლად სალიცენზიო შემოწმება თქვენმა სკოლამაც გაიარა?**

- კომისიის წევრები სკოლის შესამოწმებლად ჯერ არ მოსულან. ახლახან ფეხბურთის ფედერაციამ მოგვაწოდა წესდება. მასში მოცემულია პუნქტები, რომელსაც სკოლები უნდა აკმაყოფილებდნენ და უახლოეს მომავალში ჩვენი სკოლის შესამოწმებლადაც მოვლენ.

**სალომე ხარატიშვილი**



## საქართველოს ჩემპიონატი. I ლიგა

### XIX ტურის გადატანილი მატჩი

### გაგრა-ჩიხურა 2:1

22.03. თბილისი. მერანი. 100 მაყურებელი

1:0 შ. კვანტალიანი (22), 2:0 ა. ოვონიკოკო (61), 2:1 ა. ალავიძე (78).

გაგრა: კ. სეფიაშვილი, ლ. კალანდაძე, გ. ტყეშელაშვილი, ზ. ჩხეტიანი, ნ. ჯიშკარიანი, მ. ნაკონეჩნი, ი. ხუციძე, ლ. შარიქაძე, ვ. ორდინსკი, დ. ციცხვაია (34. გ. გაბედავა, 85. ნ. ჭკუასელი), შ. კვანტალიანი (46. ა. ოვონიკოკო)

*სათადარიგოები: ლ. ნადირაშვილი, ბ. გედენიძე, თ. მოსიაშვილი, გ. ყურულაშვილი*

*მთავარი მწვრთნელი:* ანატოლი პისკოვეცი

ჩიხურა: გ. ბეგაშვილი, ნ. მაჭარაშვილი, ლ. ჩაგელიშვილი, ე. ზივზივაძე, ლ. ჩიკვაიძე, ი. ზაბახიძე, გ. ქიმაძე, ა. ივანიშვილი (64. დ. ქამუშაძე), თ. მუმლაძე (34. ა. ალავიძე), მ. მიქაძე (34. თ. მეტრეველი), დ. ჩაგელიშვილი

*სათადარიგოები: შ. დოლაძე, მ. გიორბელიძე, ბ. პეტრიაშვილი, ი. ტყებუჩავა*

*მთავარი მწვრთნელი: სოსო ფრუიძე*

გაფრთხილება: ლ. კალანდაძე; ე. ზივზივაძე, გ. ქიმაძე, ლ. ჩაგელიშვილი, ი. ზაბახიძე, ა. ალავიძე

არბიტრი: ოთარ ხეცაძე (თბილისი)

### XXIII ტური

### მარტვილი-დილა 0:0

23.03. მარტვილი. ცენტრალური. 1500 მაყურებელი

მარტვილი: ჯ. შეროზია, ვ. იობაშვილი, გ. ჟვანია, ა. სუხიაშვილი, თ. კაკუშაძე, ლ. ბერუაშვილი, გ. ილურიძე, გ. წოწორია, გ. ამბროლაძე, ლ. კუჭუხიძე (71. ლ. ჩალაძე), მ. ტაპე (58. გ. თოდუა).

*სათადარიგოები: ლ. გორდეზიანი, კ. მელიავა, ი. ფაცაცია, ო. ტორაძე, ჟ. იატრო*

*მთავარი მწვრთნელი:* მალხაზ ჟვანია

დილა: ბ. შეყრილაძე, დ. ჭითანავა, გ. ქარქუზაშვილი, დ. ბაქრაძე, თ. შათირიშვილი, დ. რაჟამაშვილი (79. ი. ცნობილაძე), ვ. ჯოჯუა, ო. ცარიელაშვილი (56. ვ. ნემსაძე), ნ. სადალაშვილი (46. ი. ლომიძე), რ. გოგინაშვილი, რ. ახალკაცი.

*სათადარიგოები: ბ. კეჩხუაშვილი, ნ. ნოზაძე, ა. სირბილაძე, ლ. თედიაშვილი*

*მთავარი მწვრთნელი:* გიორგი ცეცაძე

გაფრთხილება: გ. ილურიძე

არბიტრი: მალხაზ ბეუქლიშვილი (ყვარელი)

### კოლხეთი (ხ)-ლოკომოტივი 1:0

24.03. ხობი ცენტრალური. 150 მაყურებელი

1:0 გ. ფარფალია (32)

კოლხეთი: დ. ხარძეიშვილი, ვ. ფირცხალავა, გ. ფარფალია (51. მ. შონია), ლ. გოგენია, ო. ფიფია, ი. კუტალია (46. ლ. ჩაჩიბაია), ც. ბუკია, მ. ბესარაშვილი, ბ. ბუკია, გ. ლომია, მ. ჭკადუა (75. კ. გოგენია)

*სათადარიგოები: ზ. გელაშვილი, გ. გოგენია, თ. ღლონტი, კ. ალანია*

*მთავარი მწვრთნელი: კალისტრატე ხურცილავა*

ლოკომოტივი: თ. ნიორაძე, გ. კაპანაძე (75. ა. ძიძიგური), გ. ხატიაშვილი, ზ. გვაძაბია, გ. ჭოველიძე, ა. შენგელია, გ. ბოჭორმელი, თ. ჩარგეიშვილი, დ. საჯაია, გ. შარანგია (49. გ. მჭედლიშვილი), დ. ვაშაკიძე (85. დ. გაბელია)

*სათადარიგოები: გ. ნაჭყებია, დ მიქავა, მ. მაკასარაშვილი, გ. დუმბაძე*

*მთავარი მწვრთნელი:* ლაშა ჭალიაშვილი

გაფრთხილება: ბ. ბუკია

არბიტრი: შოთა ქუხილავა (სოხუმი)

### სამგურალი-ადელი 3:0

24. 03. წყალტუბო. 26 მაისი. 200 მაყურებელი

1:0 ი. შალიკაშვილი (18), 2:0 ლ. ცხადაძე (81), 3:0 ზ. კუხელაშვილი (90)

სამგურალი: დ. ხურცილავა, ლ. ცხადაძე (85. მ. მესხი), გ. ჯიმშელეიშვილი, ზ. ჩიხლაძე, ნ. ბაბუნიძე, ხ. უგრეხელიძე, ნ. უგრეხელიძე, ი. შალიკაშვილი, გ. უგულავა, ზ. ქუთათელაძე (80. ლ. ნავერიანი), გ. ბუხაიძე (63. ზ. კუხელაშვილი).

*სათადარიგოები: შ. ესებუა, ზ. სალინაძე, ლ. მესხი*

*მთავარი მწვრთნელი:* ტრისტან მანაგაძე

ადელი: ი. დევაძე, ლ. კვანტალიანი, გ. ხაჩიძე, გ. ზოიძე, ჯ. მერაბიშვილი, გ. ფალავანდიშვილი, ა. ლორია, ზ. გობეჯიშვილი (43. გ. დევაძე), დ. ჯალაღანია (66. ნ. წულუკიძე), ლ. მამეიშვილი, ა. აბუსერიძე (80. გ. სირაბიძე)

*სათადარიგოები: გ. რომანაძე, ნ. დავითაძე, ზ. მჟავანაძე*

*მთავარი მწვრთნელი:* გია ჯორბენაძე

გაფრთხილება: ა. ლორია, გ. ხაჩიძე, ი. დევაძე, გ. ფალავანდიშვილი

არბიტრი: ბაკურ ნინუა (ქუთაისი)

### ბათუმი-ნ. დინამო 3:0

24. 03. ბათუმი. ადელი. 300 მაყურებელი

1:0 კ. მაკარიანი (5), 2:0, ე. გრიგალაშვილი (43), 3:0 ე. გრიგალაშვილი (60)

ბათუმი: რ. თევდორაძე (73. შ. მამინაშვილი), დ. სამსეიშვილი (69. ვ. თევდორაძე), ნ. ხუხია, ა. ბაჯელიძე, კ. მაკარიანი, მ. ჟვანია, ზ. ლობჟანიძე, ე. გრიგალაშვილი, თ. ბერიძე, ა. ბაციკაძე (46. მ. ჯორბენაძე), მ. კაკალაძე.

*სათადარიგოები: გ. გოგიტიძე, გ. მანწკავა, ლ. რამიშვილი, ზ. ხაჭიპერაძე*

*მთავარი მწვრთნელი:* ამირან [illegible]

ნ. დინამო: დ. [illegible], გ. ბერიშვილი (6. ნ. ბინკინაშვილი), გ. ლომიძე, ა. ხვთისავრიშვილი, თ. ნემსიწვერიძე (46. ზ. ახალბედაშვილი), გ. თენიაშვილი, ზ. კვარაცხელია, გ. ქვარაია (14. დ. ქიმერიძე), ო. გაგნიძე, ლ. ელიზბარაშვილი, ზ. ძაგანია.

*სათადარიგოები: ა. ბილიხოძე, გ. ჯაჭვაძე, ი. მახათაძე*

*მთავარი მწვრთნელი:* ვალერი გაგუა

გაფრთხილება: ა. ბაციკაძე, ზ. კვარაცხელია, ა. ხვთისავრიშვილი

არბიტრი: კობა ჭაჭუა (ქუთაისი).

### გურია-სქური 1:1

24. 03. ლანჩხუთი. ე. შევარდნაძე. 100 მაყურებელი

1:0 ს ფირცხალაიშვილი (58), 1:1 ი. ნაჭყებია (59)

გურია: გ. გოგუაძე, ჯ. გოგიბერიძე, რ. კუკულაძე, ი. კილაძე, გ. შეწირული, ზ. რაზმაძე (33. ბ. წერეთელი, 45. ი. ხვედელიძე), ნ. ტოროტაძე, ტ. კუკულაძე, ს. ფირცხალაიშვილი, ლ. რუსიეშვილი (68. გ. კუკულაძე), ი. დეისაძე

*სათადარიგოები: თ. სივსივე, ნ. ებრალიძე, გ. ჭეიშვილი, თ. ლომაძე*

*მთავარი მწვრთნელი:* ირაკლი ფაცურია

სქური: ვ. ჯომიდავა, ბ. გვილია (89. ბ. სვანიძე), ი. ნაჭყებია, ე. ფარცვანია, ზ. მოლაშხია, დ. რაფავა, თ. გერგედავა, ლ. ქანთარია, ლ. გაბუნია, გ. ჭკუასელი, ბ. გუჯეჯიანი (58. გ. აკობია)

*სათადარიგოები: ტ. ხარჩილავა, ა. მიქენაია, გ. შელია, დ. ჩახაია*

*მთავარი მწვრთნელი:* ვასო გულორდავა

გაფრთხილება: ლ. რუსიეშვილი, ი. კილაძე, ს. ფირცხალაიშვილი; გ. ჭკუასელი

გაძევება: გ. გოგუაძე

არბიტრი: ზურაბ ანიაშვილი (გორი)

### გაგრა-ჩხერიმელა 2:1

25. 03. თბილისი. მერანი. 200 მაყურებელი

1:0 გ. ტყეშელაშვილი (5), 2:0 გ. გაბედავა (27), 2:1 გ. ზაქარაშვილი (68)

გაგრა: კ. სეფიაშვილი, ჯ. გაბუნია, გ. ტყეშელაშვილი, ზ. ჩხეტიანი ნ. ჯიშკარიანი, მ. ნაკონეჩნი, ი. ხუციძე, ლ. შარიქაძე, ა. ოვონიკოკო (89. დ. გიგაური), ვ. ორდინსკი (55. მ კობერიძე), გ. გაბედავა (75. დ. ციცხვაია)

*სათადარიგოები: ლ. ნადირაშვილი, გ. ყურულაშვილი, ბ. გედენიძე, თ. მოსიაშვილი*

*მთავარი მწვრთნელი:* ანატოლი პისკოვეცი

ჩხერიმელა: ი. კუჭუხიძე, ვ. ტაბატაძე, ვ. თაბუკაშვილი (71. კ. ძაგანია), ნ. ხარაბაძე, ც. ხარაბაძე, ა. ქაშაკაშვილი, ლ. მახარაძე (46. რ. ჩიხლაძე), გ. კუხიანიძე, გ. თურმანიძე (46. ა. ლაბაძე), გ. ზაქარაშვილი, ჯ. ავალიშვილი.

*სათადარიგოები: მ. ლომსაძე, გ. გიორგობიანი, გ. ხეცურიანი, თ. კიკნაძე*

*მთავარი მწვრთნელი:* მამუკა ხუნდაძე

გაფრთხილება: ი. ხუციძე, ა. ოვონიკოკო

არბიტრი: მამუკა ურუშაძე (თბილისი)

### იმერეთი-ჩიხურა 0:1

25. 03. ხონი ცენტრალური. 300 მაყურებელი

0:1 ბ. პეტრიაშვილი (79)

იმერეთი: გ. ნიქაბაძე (21. ი. შენგელია), თ. ხარებავა, რ. კაშია, ბ. ბიბილაშვილი, ვ. ბრეგვაძე, გ. უგლავა, ა. მეტონიძე, გ. გოდერიძე, ი. ვეკუა (46. ლ. კირკიტაძე), დ. კუხალაშვილი, ი. ასათიანი (75. დ. გოდერიძე).

*სათადარიგოები: დ. ხაბურძანია, ჯ. ჯანელიძე, ა. თელია, მ. ჩხარტიშვილი*

*მთავარი მწვრთნელი:* დავით ჭელიძე

ჩიხურა: შ. დოლაძე, ე. ზივზივაძე, ი. გვეტაძე, ლ. ჩაგელიშვილი. ლ. ჩიკვაიძე, ი. ზაბახიძე, გ. ქიმაძე, ი. ტყებუჩავა, ა. ალავიძე (46. ბ. პეტრიაშვილი), მ. მიქაძე, დ. ჩაგელიშვილი (90. ნ. მაჭარაშვილი)

*სათადარიგოები: გ. ბეგაშვილი, თ. მუმლაძე, დ. ქამუშაძე, ა. ივანიშვილი*

*მთავარი მწვრთნელი:* სოსო ფრუიძე

გაფრთხილება: დ. კუხალაშვილი; ლ. ჩაგელიშვილი, ე. ზივზივაძე, ბ. პეტრიაშვილი

არბიტრი: არსენ ნონიკაშვილი (თბილისი)

**მეშახტე-მერცხალი** გადაიდო

**ჭიათურა** ისვენებდა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გაგრა | 22 | 15 | 5 | 2 | 49-15 | 50 |
| 2. მარტვილი | 22 | 15 | 5 | 2 | 44-10 | 50 |
| 3. გორი | 22 | 13 | 7 | 2 | 39-17 | 46 |
| 4. ბათუმი | 21 | 12 | 6 | 3 | 45-10 | 42 |
| 5. ჩიხურა | 21 | 12 | 4 | 5 | 37-20 | 40 |
| 6. გურია | 22 | 11 | 2 | 9 | 41-40 | 35 |
| 7. კოლხეთი (ხ) | 21 | 8 | 9 | 4 | 20-16 | 33 |
| 8. სამგურალი | 22 | 7 | 5 | 10 | 28-43 | 26 |
| 9. ლოკომოტივი | 21 | 6 | 5 | 10 | 24-29 | 23 |
| 10. ნ/დინამოელი | 21 | 7 | 1 | 13 | 26-44 | 22 |
| 11. მერცხალი | 21 | 6 | 4 | 11 | 33-51 | 22 |
| 12. იმერეთი | 21 | 6 | 2 | 13 | 21-32 | 20 |
| 13. ჭიათურა | 21 | 5 | 5 | 11 | 20-50 | 20 |
| 14. ჩხერიმელა | 21 | 4 | 8 | 9 | 25-37 | 20 |
| 15. მეშახტე | 19 | 5 | 4 | 10 | 24-33 | 19 |
| 16. ადელი | 21 | 5 | 2 | 14 | 24-37 | 17 |
| 17. სქური | 21 | 4 | 4 | 13 | 20-36 | 16 |

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, სამსაჯო-საინსპექტორო განყოფილება, მსაჯები და ვეტერანი ფეხბურთელები, სამეგრელო-ზემო სვანეთის ფეხბურთის ფედერაცია სამძიმარს უცხადებენ ამავე ფედერაციის პრეზიდენტს, სფფ-ს სამსაჯო კომიტეტის თავმჯდომარეს სერგო კვარაცხელიას ძმის

**ანატოლი კვარაცხელიას**

გარდაცვალების გამო.

აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია გამოხატავს მწუხარებას და თანაგრძნობას უცხადებს სამეგრელო-ზემო სვანეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს სერგო კვარაცხელიას ძმის

**ანატოლი კვარაცხელიას**

გარდაცვალების გამო.

*დაკრძალვა 2 აპრილს, 15 საათზე, წალენჯიხის რაიონის დაბა ჯვარში.*

„სახალისო ფეხბურთის ღია სკოლების" საკორდინაციო საბჭო თანაგრძნობას უცხადებს სამეგრელო-ზემო სვანეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდნტს სერგო კვარაცხელიას ძმის

**ანატოლი კვარაცხელიას**

გარდაცვალების გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ამომავალი ვარსკვლავი



# ნეიმარი ინგლისს ეზომება

„ჩელსის" ახალმა შენაძენმა **დავიდ ლუიზმა** კლუბს სთხოვა, ფული არ დაინანოს და 19 წლის **ნეიმარი** იყიდოს - ბოლო დროს ინგლისის ჩემპიონთა რიგებში ბრაზილიელი ვარსკვლავების რაოდენობა იზრდება. „სანტოსის" თავდამსხმელი, რომლის საბაზრო ფასი 39 მილიონი ფუნტი ანუ 62,31 მილიონი დოლარია, შაბათს, შოტლანდიის ნაკრებთან შეხვედრაში ორი გოლის გატანის შემდეგ ისევ მოხვდათ ევროპელებს თვალში. შეგახსენებთ, რომ ბრაზილიამ, ლონდონში, ამხანაგურ შეხვედრაში, სქოთებს 2:0 მოუგო.

აღსანიშნავია, რომ ნეიმარი თამაშის შემდეგ ლონდონში დარჩა. ორშაბათს ის და მისი აგენტი **ვაგნერ რიბეირო** სააგენტო საქმის გიგანტთან **პინი ზაჰავისთან** იყვნენ. ზაჰავი ის კაცი გახლავთ, რომელიც მხოლოდ მოთამაშეებით როდი ვაჭრობს. სწორედ მისი წყალობით იყიდა წლების წინ **რომან აბრამოვიჩმა** „ჩელსი". ახლა, ზაჰავი ნეიმარის პრემიერლიგაში გადაყვანას აპირებს.

ლუიზმა კი ურჩია „ლურჯების" შეფებს ჯიბეზე ხელი გაიკარითო, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ იანვარში აბრამოვიჩი საკმაოდ დაიხარჯა — 70 მილიონი ფუნტი გაილო. მან თავად ლუიზი და ესპანელი **ფერნანდო ტორესი** შეიძინა. დღეისათვის „ჩელსიში" სამი ბრაზილიელია: **ალექსი, რამირესი** და უკვე რამდენჯერმე ნახსენები ლუიზი, რომელმაც თქვა:

*„თუკი ნეიმარი „ჩელსიში" გადმოვა, ძალიან გამიხარდება. ეს ბიჭი მალე მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი გახდება".*

ნეიმარს პრემიერლიგაში ერთი წლის წინაც იწვევდნენ, მაგრამ მან უარი თქვა, რის სანაცვლოდაც „სანტოსმა" ხელფასი გაუსამმაგა და ხუთწლიანი კონტრაქტი დაუდო. თავდამსხმელის ჯამაგირი ინგლისური წესით რომ დავთვალოთ, კვირაში 40 ათასი ფუნტი გამოდის. გარდა ამისა, „სანტოსის" ხელმძღვანელები ყმაწვილკაცს ევროპაში რეკლამას დაჰპირდნენ და გვარიანი ფასიც დაადეს. სხვა საქმეა, რომ „ჩელსი" ფეხბურთელის უფრო იაფად ყიდვას იმედოვნებს — 30 მილიონ ფუნტზე მეტის გადახდა არ უნდა.

ნეიმარი საოცრად პროდუქტიული ფორვარდია. ის „სანტოსის" შემადგენლობაში 17 წლისა გამოჩნდა და მას მერე ყოველ მეორე შეხვედრაში გოლი გააქვს. ყმაწვილი არც ბრაზილიის ნაკრების ყვითელი მაისურის ჩაცმის დროს იბნევა — ეროვნულ გუნდში სამჯერ ითამაშეს და სამი გოლი შეაგდო. ნაკრებში პირველი თამაში შარშან, 10 აგვისტოს, აშშ-ის წინააღმდეგ ჩაატარა.

აღსანიშნავია, რომ ნეიმარი მხოლოდ „სანტოსის" საკუთრება არ არის. კლუბს მისი 55 პროცენტი ეკუთვნის, დანარჩენი 45 კი მავანი კერძო პირებისაა, მაგრამ არც აბრამოვიჩია ასეთ საქმეებში გამოუცდელი. ის სიტუაციას კვლავ დაჟინებით აკვირდება და ცნობილია, რომ თებერვალში, სამხრეთ ამერიკის 20-წლამდელთა ჩემპიონატზე თავისი სკაუტი, **პიტ დე ვისერი** გაგზავნა. შეჯიბრება ბრაზილიის ნაკრებმა მოიგო, ხოლო საუკეთესო ბომბარდირი 9 გოლით ნეიმარი გახდა.

საინტერესოა, რომ ნეიმარს პატარაობიდან **პელეს** ადარებენ. ბრაზილიელმა ჟურნალისტებმა მას „ო ნუოვო რეი" ანუ „ახალი მეფეც" კი დაარქვეს. მიუხედავად იმისა, რომ „რეი" ჯერ მხოლოდ ცხრამეტისაა, დიდი კლუბების ინტერესი მისთვის უკვე ჩვეულებრივი რამ არის. ნეიმარს თავისთან ეპატიჟებოდნენ „რეალი", „მანჩესტერ იუნაიტედი" და „სან სიროს" ორივე ბინადარი. შარშან ბედი „ვესტ ჰემმაც" კი სცადა და „სანტოსს" 12 მილიონი ფუნტი შესთავაზა — ამ ამბიდან რამდენიმე დღეში ბრაზილიელებს „ჩელსიმ" 17 მილიონიდან დაუწყო ლაპარაკი.

როგორი სტილის ფეხბურთელია ნეიმარი? სისწრაფითა და ტექნიკით **კრიშტიანო რონალდოს** და **რობინიოს** უფრო მოგაგონებთ. მათ მსგავსად ეხერხება ფლანგიდან შეტევა. განსაკუთრებით ეფექტურია სამი ფორვარდით თამაშის დროს, თუმცა პრემიერლიგისთვის რამდენად ჯანიანია, ჯერ კიდევ უნდა გამოჩნდეს.

თავად ნეიმარსაც კარგად ახსოვს, რა დაემართა ინგლისში რობინიოს — ის „მანჩესტერ სიტიმ" საკმაოდ ძვირად იყიდა, მაგრამ კაფანდარა ბრაზილიელმა იქაურ ფეხბურთს ფეხი ვერ აუწყო. შოტლანდიასთან მოგების შემდეგ „სანტოსის" ვარსკვლავბიჭუნამ თქვა:

*„აქ, „ემირეიტ სთედიუმზე" დიდებული მოედანი ჰქონიათ. თვითონ სტადიონიც ძალიან მომეწონა, აი, ინგლისური ამინდი კი არ ვარგოდა. თუმცა, არა უშავს, შევეჩვევი".*

ბრიტანულმა გაზეთებმა ნეიმარის ამ ნათქვამს ნახევრად ხუმრობით დაურთეს, აქ მარტის თვესა და „ემირეიტზეა" ლაპარაკი. ნეტავ, ეს ბიჭი დეკემბერში სტოკში სტუმრობის შემდეგ რას იტყვისო.

ნეიმარის დახასიათებისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ერთ მრავლისმეტყველ ამბავს: შარშან აღდგომაზე მან რობინიოსა და კიდევ ერთ სანტოსელ **პაულუ ენრიკე განსოსთან** ერთად საქველმოქმედო აქციაში მონაწილეობაზე თქვა უარი. გუნდი ცერებრალური დამბლით დაავადებულთა საავადმყოფოში მივიდა, თუმცა ხსენებული სამეული ავტობუსიდან არ ჩავიდა და მიზეზად რელიგიურ თავისუფლებაზე მობოდა რაღაც სისულელე — რაღა მაინცდამაინც ქრისტიანულ დღესასწაულზეო თუ რაღაც ასეთი.

კიდევ, ნეიმარს სექტემბერში მწვრთნელ **დორივალ ჟუნიორთან** მოუვიდა კონფლიქტი. რომელიღაც თამაშში აიჩემა, პენალტი გინდა თუ არა მე უნდა დავარტყაო. სხვათა შორის, ყმაწვილ ვარსკვლავთან დაპირისპირება დორივალ ჟუნიორს საბოლოოდ სამსახურად დაუჯდა...

ნოემბერში კიდევ ერთი ნიშანდობლივი ამბავი მოხდა: ნეიმარი ვარჯიშის დროს თანაგუნდელ **მარსელს** ეჩხუბა, ჩხუბის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ მას არ მოეწონა, როგორ ეხუმრა ეს უკანასკნელი მათ თანაგუნდელ **ზე ედუარდოს**. შაბათის სკანდალი კი „ლელოს" მკითხველს კარგად მოეხსენება — შოტლანდიელმა ფანებმა რასისტული შეურაცხყოფა მომაყენესო, ერთი ამბავი ატეხა კონფლიქტური ბუნების ვარსკვლავმა.

ბრიტანელი მიმომხილველები წერენ, რომ ვარსკვლავბიჭუნამ სქოთებთან შეხვედრაში თავისი ყველა მხარე გამოამჟღავნა: სისწრაფე, ტექნიკა და... მცირედ შეხებაზე გაკოტრიალების უნარი.

ნეიმარის შესახებ აზრი „ბლექპულის" შოტლანდიელ ნახევარმცველ **ჩარლი ადამს** ჰკითხეს. ადამმა, რომლის შეძენას ასევე ეშურება პრემიერლიგის რამდენიმე წამყვანი გუნდი, უპასუხა:

*„ფეხბურთელის შესახებ ერთი შეხედვის შემდეგ ლაპარაკი ძალიან ძნელია. იმისათვის, რომ აზრი შეგექმნას, ის პრემიერლიგის ორთაბრძოლებში უნდა ნახო, მაგრამ ერთი რამ აშკარაა - ის ძალიან ტექნიკურია და ინგლისის ჩემპიონატს ნაპერწკალს შემატებს".*

● კოლეგები

# მოუმ კაპელო გააბრაზა

**ფაბიო კაპელო** **ჟოზე მოურინიოზე** გაბრაზდა — „განსაკუთრებულმა" თქვა, ინგლისის ნაკრების მწვრთნელობამდე ერთი ნაბიჯიღა მაკლდაო, იტალიელის აზრით კი, კოლეგების სამსახურზე ლაპარაკი უპატივცემულობაა.

მოურინიომ ფრანგულ „ეკიპს" მისცა ინტერვიუ, სადაც 2007 წელი გაიხსენა, როდესაც ინგლისელებმა ნაკრების ბოსის თანამდებობიდან **სტივ მაკლარენი** გადააყენეს. მოუს თქმით, ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციამ, სანამ ახალ მწვრთნელად კაპელოს დანიშნავდა, თანამდებობა მას შესთავაზა. კაპელომ განაცხადა:

*„არასდროს ვლაპარაკობ, როგორი ურთიერთობა მაქვს ამა თუ იმ კლუბთან, ამა თუ იმ ადამიანთან. ამ კლუბებში დღეს სხვა მწვრთნელები მუშაობენ და მე რომ რაღაცების მოყოლა დავიწყო, მათთან მართალი არ ვიქნები. ბევრ რამეს საიდუმლოდ ვინახავ. არასდროს მოგიყვებით, სინამდვილეში რა მოხდა ჩემი კარიერის რომელიღაც ეტაპზე, რადგან ეს ძალიან სერიოზული საკითხია".*

„ეკიპში" გამოქვეყნებული ინტერვიუთი ძალიან უკმაყოფილო დარჩა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციაც. მისმა ხელმძღვანელებმა კერძო საუბრებში თქვეს, რომ მათ მოურინიოს მაკლარენის თანამდებობა მართლა შესთავაზეს, მაგრამ პორტუგალიელი მათთვის ყველაზე სასურველი კანდიდატი არ იყო — ყველას იმთავითვე კაპელო ერჩივნა. ინგლისელებს კაპელოს მიყვანა ჯერ კიდევ მაკლარენამდე, **სვენ-გორან ერიქსონის** შემდეგ უნდოდათ, მაგრამ „იუვენტუსის" გენერალური დირექტორის მოადგილე **რობერტო ბეტეგამ** ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. სწორედ ამის შემდეგ გახდნენ ლონდონში იძულებულნი **ლუიშ ფელიპე სკოლარისა** და მაკლარენისთვის მიემართათ.

რაც შეეხება მოურინიოს, ინგლისელებმა მასთან დალაპარაკება მართლაც სცადეს, თუმცა იმთავითვე დარწმუნებული იყვნენ, რომ „განსაკუთრებული" სანაკრებო ფეხბურთში გადასვლას არ ინდომებდა და კლუბში დარჩებოდა. მართლაც ასე მოხდა.

თავიდან, როდესაც „ეკიპში" გამოქვეყნებული ინტერვიუს ამბავი კაპელოს მოახსენეს, იტალიელმა განაცხადა, რომ ვინ რა თქვა მისთვის სულერთია:

*„ეს ნათქვამი ფეხბურთის ასოციაციის თავმჯდომარეს უფრო ეხება, იმ ადამიანს ვინც მე ამირჩია და სამსახური შემომთავაზა. ყველგან ასეა: როდესაც ნაკრები ან კლუბი ახალი მწვრთნელის დანიშვნას ცდილობს, მისი ხელმძღვანელები რამდენიმე სპეციალისტს ელაპარაკებიან. ეს ჩვეულებრივი ამბავია"* — ასეთი იყო იტალიელის პირველი რეაქცია, მაგრამ, შემდეგ გაბრაზდა.



● ამბები

## ქეროლ, ნუ სვამ ნაპიტოკებს

ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა **ფაბიო კაპელომ ენდი ქეროლს** სმისგან თავის შეკავება ურჩია. „ნიუკასლიდან" „ლივერპულში" გადასული ახალგაზრდა ფორვარდის კარიერა უკვე რამდენჯერმე შებღალა სიმთვრალესთან დაკავშირებულმა სკანდალმა, რაც იტალიელს არ მოსწონს და ამის შესახებ ქეროლს მკაცრად აფრთხილებს:

*„ის ძალიან ახალგაზრდაა და სწორედ ამიტომ არის ახლა ცხოვრების სწორი წესის არჩევა ძალიან მნიშვნელოვანი. ამ ეტაპზე ის ძალიან ფრთხილად უნდა მოიქცეს. როდესაც ინგლისის ნაკრების მაისურით თამაშობ, გინდა თუ არა ფანების, პრესის, კამერების და უბრალოდ, შენ გარშემო მცხოვრები ადამიანების ყურადღების ცენტრში ხვდები. მე მას პირადად ველაპარაკე, თუმცა ვფიქრობ, ლუდის დალევა მარტო ენდის როდი უყვარს. ის შესანიშნავი ფორვარდია, ამიტომ, მეტი უნდა ივარჯიშოს და ნაკლები სვას".*

შეგახსენებთ, რომ ოქტომბერში ქეროლი ნიუკასლის ერთ-ერთ ბარში ატეხილი მთვრალი დებოშის გამო ათასი ფუნტით დააჯარიმეს. იანვარში, როდესაც ის „ლივერპულში" გადავიდა, ინტერვიუში აღიარა, რომ ლუდი უყვარს და არ ერიდება.

## ტორესის აზრით

„ჩელსის" ახალმა შენაძენმა, ესპანელმა ვარსკვლავმა **ფერნანდო ტორესმა** თქვა, რომ არ ესმის რას მოიგებს **სესკ ფაბრეგასი** ზაფხულში „არსენალიდან" „ბარსელონაში" თუ გადავა. რამდენადაც ცნობილია, კატალონიელებს ლონდონში დაფრთიანებული თავიანთი აღზრდილის დაბრუნება სურთ, თუმც ნახევარდაცვაში ფეხბურთელები ნამდვილად არ აკლიათ. „კამპ ნოუზე" მოედნის ცენტრში თამაშობენ **ჩავი, ინიესტა** და **სერხიო ბუსკეტსი**.

ტორესმა თქვა: *„ძალიან ძნელია „ბარსელონას" რაღაც ისეთი შემატო, რაც მას უკვე არ აქვს. სესკი „კამპ ნოუზე" რომ გადავიდეს, როგორ ფიქრობთ, ვინ უნდა დაჯდეს სათადარიგოთა სკამზე".*

## ჩვენ გაგანბილეთ, როი!

ამ უქმეებზე, პრემიერლიგაში, „ლივერპული" „ვესტ ბრომვიჩს" ხვდება, ხოლო მერსისაიდელთა კაპიტანი **სტივენ ჯერარდი** ერთთვიანი მკურნალობის შემდეგ მოედანს უბრუნდება. ეს ამბავი იმით გახლავთ მნიშვნელოვანი, რომ „ვესტ ბრომვიჩს" „წითლების" ყოფილი თავკაცი **როი ჰოჯსონი** უდგას სათავეში. შეგახსენებთ, რომ ჰოჯსონმა „ლივერპულის" სათავეში ექვსი თვე დაყო, იანვარში კი ის სამსახურიდან დაითხოვეს და აი, მას მერე იგი პირველად შეხვდება თავის ყოფილ მოთამაშეებს. ჯერარდი ამბობს:

*„როი გადასარევი ადამიანი და ჩინებული მწვრთნელია, მაგრამ „ლივერპულში" საქმეები ვერ აეწყო. მისი ხელმძღვანელობით გუნდი სტაბილურად ერთ დონეზე ვერ თამაშობდა და ამისათვის პასუხისმგებლობა ჩვენ, ფეხბურთელებმა უნდა ვიკისროთ. რასაკვირველია, „ლივერპულისთვის" ევროპული ფეხბურთის ორომტრიალს მიღმა ყოფნა თავიდანვე უჩვეულო იყო და ეს მოქმედებდა, მაგრამ ყველაფერზე თითის მწვრთნელებისკენ გაშვერა არ შეიძლება. ფეხბურთელებმა დანაშაული საკუთარ თავშიც უნდა ეძებონ".*

აღსანიშნავია, რომ „ლივერპულის" ფანები ჰოჯსონს თავიდანვე მტრულად შეხვდნენ. მიზეზი: მათ გუნდში ლეგენდარული **კენი დალგლიშის** დაბრუნება უნდოდათ.

*„ჩვენი ფანები კენის ალმერთებენ და როდესაც რაფა ბენიტესის გადადგომის შემდეგ დაისვა საკითხი, ვინ მოვიყვანოთ, როი თუ კენი, ფანებმა დაუფიქრებლად კენის მხარე დაიჭირეს. ყოველთვის, როდესაც წავაგებდით ხალხი ჰოჯსონისკენ იშვერდა ხელს".*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

მილანი

# ინძაგიმ დერბი გამორიცხა

## და რაულს დაემუქრა



ფილიპო ინძაგი

ერთ-ერთ წინა ნომერში გაუწყეთ იმის შესახებ, რომ **ფილიპო ინძაგის** გამოჯანმრთელების პროცესი სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს და ისიც დავძინეთ, რომ პიპოს მილანურ დერბიში ასპარეზობის შანსი გაუჩნდა. ეს ცნობა ელვისებური სისწრაფით გავრცელდა იტალიაში და „მილანის" გულშემატკივრებიც იმედებით აღივსნენ. თუმცა, მთლად ასე კარგადაც არ ყოფილა საქმე და ამაში თავად ინძაგის სიტყვები დაგარწმუნებთ:

*„თავს ძალიან კარგად ვგრძნობ, ფეხის ტკივილი აღარ მაწუხებს და იმის უფლებაც კი მომცეს, რომ მინდორზე გავიდე და ბურთი გავაგორო. ამასთან, მსუბუქად ვვარჯიშობ, რომ ნელ-ნელა ფორმის აღდგენის პროცესი დავიწყო. ეს ყველაფერი ძალიან მახარებს, მაგრამ გავრცელებული ინფორმაცია ჩემი მილანურ დერბიში შესაძლო ასპარეზობის შესახებ, სიმართლეს არ შეეფერება. მინიმუმ ოცი დღე კიდევ მჭირდება იმისთვის, რომ საკუთარ თავს ჯანმრთელი ვუწოდო და მოედანზე სათამაშოდ გავიდე. ეს მინიმუმ და ისე, შესაძლოა ერთი თვეც დამჭირდეს. ასე რომ, ჩემი დერბიში ასპარეზობა გამორიცხულია. ექიმები კატეგორიულად მოითხოვენ, რომ მხოლოდ მაშინ დავუბრუნდე მოედანს, როდესაც 100%-ით გამოჯანმრთელებული ვიქნები".*

ინძაგი დიდი მატჩების სპეციალისტია, გადამწყვეტ მომენტში შეუძლია გოლის გატანა და თამაშის ბედის გადაწყვეტა. სწორედ ამიტომ, გულშემატკივრებს დიდი სურვილი ჰქონდათ, რომ პიპო დერბიმდე გამოჯანმრთელებულიყო. ასეა თუ ისე, „მადონინა" ინძაგის გარეშე ჩაივლის - უშუალოდ მატჩის შესახებ მას შემდეგი მოსაზრება აქვს: *„როგორც წესი, ასეთ მნიშვნელოვან თამაშებს ფავორიტები ვერ იგებენ, მე კი მუდმივად მესმის საუბრები იმის შესახებ, რომ ფავორიტი სწორედ „ინტერია". ლეონარდოს გუნდი მაღალი დონის ფეხბურთს აჩვენებს და შედეგიც შესანიშნავი აქვს, მაგრამ მაინც მგონია, რომ გამარჯვება და სკუდეტო ჩვენ დაგვრჩება. რაც მთავარია, სატურნირო ცხრილს სწორედ ჩვენ ვუდგავართ სათავეში და რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ლიდერის პოზიცია არ უნდა დავთმოთ. „ინტერი" აუცილებლად შეგვიტევს და შეეცდება, მოედნის ცენტრზე გაბატონდეს - ჩვენ კი ორი არჩევანი გვაქვს, ან უკნიდან ვითამაშოთ, ან ცენტრში გავმართოთ ბრძოლა. ჩემი პირადი აზრია, რომ აუცილებლად პირველ ნომრად უნდა ვითამაშოთ და უკან არც ერთი ნაბიჯით არ დავიხიოთ".*

ფილიპო ინძაგის სამომავლო გეგმებზეც მოუხდა საუბარი და მეტად საინტერესო კომენტარი გააკეთა: *„ჩემი სურვილია, რომ მომდევნო სეზონში „მილანთან" ერთად ჩემპიონთა ლიგა მოვიგო და ევროპის უპრესტიჟულეს საკლუბო ტურნირში კიდევ არაერთი გოლი გავიტანო. ამ დროისთვის, გოლების რაოდენობით ყველა დროის რეკორდსმენი რაულია, მაგრამ კუდში ვუდგავარ და კარგი შანსი მაქვს, რომ გადავასწრო კიდეც. მართალია, „შალკე" მეოთხედფინალში გავიდა, მაგრამ არა მგონია, რომ „ინტერთან"' რამეს გახდეს, მომდევნო სეზონში კი გელზენკირხენელები და შესაბამისად, რაული ლიგის მიღმა რჩებიან. მე კი აუცილებლად ვითამაშებ ამ ტურნირში და ვეცდები ესპანელი უკან მოვიტოვო. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩემი უმთავრესი მიზანი საკუთარი მიღწევების გაუმჯობესებაა, გუნდურ ინტერესებს ყოველთვის პირველ ადგილზე ვაყენებდი და ასე იქნება მომავალშიც. აქვე, მინდა ჩემი დიდი პატივისცემა გამოვხატო რაულის მიმართ, რომელთანაც მხოლოდ ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ვარ. ჩემი აზრით, ესპანელი ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელია და საერთოდაც, ფეხბურთის თამაში ჩემზე უკეთ გამოსდის".*

**ლაშა ნიკლაური**

ფიორენტინა

# სტევან იოვეტიჩი დასაბრუნებლად ემზადება

## ჯილარდინოს დარჩენა სურს

**სტევან იოვეტიჩი** რომ ძალიან აკლია „ფიორენტინას, ამას თქმა არ სჭირდება. ჩერნოგორიელმა ფორვარდმა სეზონის სტარტზე მიიღო უმძიმესი ტრავმა და მას შემდეგ, მოედანზე აღარც გამოჩენილა. მის გარეშე, „ვიოლას" შეტევა არცთუ კარგად გამოიყურება, ფლორენციელთა იერიშებს სიმწვავე აკლია, თავდასხმის წინა ხაზზე მოასპარეზე **ალბერტო ჯილარდინო** კი აშკარად ეულად გამოიყურება და თითქოს მოწყვეტილია დანარჩენ გუნდს. ამიტომ, ტოსკანელ გულშემატკივრებს ერთი სული აქვთ, როდის გამოჯანმრთელდება ბალკანელი და როდის დაუბრუნდება მოედანს. ამასთან დაკავშირებით, კომენტარი თავად სტევანმა გააკეთა:

*„თავს უკეთესად ვგრძნობ და როგორც ექიმები მეუბნებიან, ორ-სამ კვირაში სრულ მზადყოფნაში ვიქნები. როდესაც ტრავმა მივიღე, მითხრეს, რომ სეზონის ბოლომდე თამაში გამორიცხული იყო, მაგრამ როგორც ხედავთ, ვითარება შეიცვალა. მონდომებამ და ექიმების შრომამ შედეგი გამოიღო, ტრავმა მოშუშებულია, თუმცა კუნთი ჯერ კიდევ სუსტია და მის სრულად აღდგენამდე ოფიციალური პაექრობის გამართვა წარმოუდგენელია. სეზონის დასკვნით ნაწილში აუცილებლად დავეხმარები გუნდს და ამის გაცნობიერება ძალიან მახარებს".*

ამასობაში, სულ უფრო და უფრო ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში ალბერტო ჯილარდინო ნავსაყუდელს შეიცვლის. ჯილას მიმართ არაერთი გუნდი იჩენს ინტერესს, რომელთა შორის '„იუვენტუსი" გამოირჩევა. ტურინელებს ჯერ კიდევ გასულ ზაფხულს სურდათ ალბერტოს გადაბირება, მაგრამ ფლორენციელები მკაცრ უარზე დადგნენ. საინტერესოა, რა მოხდება ამ შემთხვევაში - ერთი კი ცხადია, თავად ფეხბურთელი ფლორენციაში თავს შესანიშნავად გრძნობს და სხვაგან წასვლის სურვილით არ იწვის. ამის შესახებ ჯილარდინოს პირადმა აგენტმა ისაუბრა:

*„სად ითამაშებს მომდევნო სეზონში ჯილარდინო? - თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, აუცილებლად „ფიორენტინაში". ალბერტო ძალიან კარგად გრძნობს თავს ფლორენციაში და სურს, რომ „ვიოლას" ისტორიაში საკუთარი გვარი ჩაწეროს. ამიტომ, უმცირესია იმის შანსი, რომ ამ ზაფხულს ტრანსფერი შედგეს და ჯილამ სხვაგან გააგრძელოს კარიერა. ალბათ, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება თუ კლუბი მოისურვებს ჩემი კლიენტის გასხვისებას, ამის შანსი კი, როგორც უკვე აღვნიშნე, ძალიან მცირეა".*

**ლაშა ნიკლაური**



ალბერტო ჯილარდინო და სტევან იოვეტიჩი

მწვრთნელები

# სიმეონეს საკითხი გასარკვევია

## ბალარდინი წინადადებებს განიხილავს



დიეგო სიმეონე

„კატანიას" მესვეურები ჯერ კიდევ ვერ გარკვეულან, უნდა დარჩეს თუ არა მთავარი მწვრთნელის პოსტზე **დიეგო სიმეონე**. არგენტინელი სპეციალისტი მაშინ ჩავიდა სიცილიაში, როდესაც გუნდს მწვავე კრიზისი ჰქონდა, თუმცა ჯერჯერობით ვერც მან უშველა საქმეს. „კატანია" არასტაბილურად ასპარეზობს და არის შანსი, რომ სერია B-ში დაქვეითდეს. იტალიელი ჟურნალისტების ვარაუდით, სიმეონე იმ შემთხვევაშიც კი ვერ შეინარჩუნებს პოსტს, თუ სიცილიელებმა ელიტარულ დივიზიონში ადგილის შენარჩუნება მოახერხეს. კლუბის სპორტულ დირექტორს, **პიეტრო ლო მონაკოს** აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შემდეგი მოსაზრება აქვს:

*„დღეს, ჩვენი მთავარი საზრუნავი უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა. შესაბამისად, ყველაზე ნაკლებად ვფიქრობთ, რა შემადგენლობა გვეყოლება მომდევნო სეზონში და ვინ იქნება მთავარი მწვრთნელი. სიმეონეს ხელში გუნდს დიდი პროგრესი არ განუცდია და გამომდინარე აქედან, ჯერ არ ვართ ჩამოყალიბებულნი. მთავარი თამაშები წინ გველის და კარგი შანსი აქვს არგენტინელს, რომ თავი საუკეთესო კუთხით წარმოაჩინოს".*

ამასობაში, ვრცელდება ინფორმაციები იმის შესახებ, რომ თუ „კატანიამ" შეინარჩუნა ადგილი სერია A-ში, გუნდს სათავეში **დავიდე ბალარდინი** ჩაუდგება. ეს ინფორმაცია კი იმად გახლავთ განსაკუთრებულად საინტერესო, რომ დავიდე ამჟამად „ჯენოას" უდგას სათავეში, სადაც **კახა კალაძე** ასპარეზობს. როგორც ჩანს, გენუური კლუბის მესვეურები უკმაყოფილოები არიან ბალარდინის მუშაობით და მის შეცვლას აპირებენ. „ჯენოას" თავკაცმა „გაძეტა დელლო სპორტთანაც" კი ისაუბრა ამ თემაზე და განაცხადა, რომ უმუშევარი არც ერთ შემთხვევაში არ დარჩება. მისი თქმით, აქედანვე აქვს რამდენიმე საინტერესო შეთავაზება და თუ გენუის დატოვებამ მოუწია, ახალ სამსახურს იოლად იშოვის.

**ლაშა ნიკლაური**

ამბები



### ვილიარეალი არ ყიდის

ხმა დაირხა, ზაფხულში „ვილიარეალი" თავის ვარსკვლავებს გაყიდისო, თუმცა „წყალქვეშა ნავის" გენერალური მენეჯერი **როიგ ნეგუერელოსი** კატეგორიულად უარყოფს ამას და აცხადებს, რომ „ვილიარეალს" სულ სხვა გეგმები აქვს: *„ჩვენ არ ვართ ის კლუბი, რომელთა ძირითადი შემოსავალი გაყიდვებიდან არის მიღებული. ჩვენ ეს ბევრჯერ დავამტკიცეთ. მიზნად დავისახეთ, ძირითადი ბირთვის შენარჩუნება და თუ ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოვიპოვებთ - გაძლიერებაც. ვიცით, რომ ბევრი კლუბი დაინტერესებულია, ჩვენი ტოპფეხბურთელებით, მაგრამ ისინი „ვილიარეალს" უფრო სჭირდება".*

ყველაზე ხშირად სპეკულაციის თემა გუნდის იტალიელი ბომბარდირის, **ჯუზეპე როსის** სავარაუდო ტრანსფერია. ბევრი სავარაუდო მყიდველი ჰყავს ნილმარსაც, კომერციული თვალსაზრისით საინტერესო ფეხბურთელებად ითვლებიან **ბორხა ვალერო, სანტი კასორლა, დიეგო ლოპესი** და სხვებიც. შეგახსენებთ, რომ პრიმერას დასრულებამდე 9 ტურით ადრე „ვილიარეალი" მე-3 ადგილზეა.

### ბარსელონელი ვალენსიაში?

„ბარსელონას" სარეზერვო გუნდის პერსპექტიულმა მცველმა **მარტინ მონტოიამ** მომავალ სეზონში შესაძლოა, „ღამურების" ფორმა მოირგოს. „ვალენსია" ზაფხულში აუცილებლად შეიძენს ახალ მარჯვენა მცველს (პორტუგალიელი **მიგელი** მიდის გუნდიდან), 19 წლის მონტოია კი შესანიშნავი კანდიდატურაა ამ პოზიციაზე. მონტოიას პირველ გუნდში მოხვედრის შანსი მას შემდეგ გადაეწურა, რაც დანი ალვეშმა „ბლაუგრანასთან" ახალი კონტრაქტი გააფორმა. შეგახსენებთ, რომ მონტოია ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელია, რომელიც საქართველოს ნაკრების მეტოქეა შესარჩევ ციკლში.

### უიღბლო ურუგვაელი

„ხეტაფეს" ფორვარდმა **ხუან ალბინმა** ურუგვაის ნაკრების ამხანაგურ მატჩში ბარძაყის კუნთი ისე დაიზიანა, მოედანს 5 კვირა ვეღარ გაეკარება. ეს დიდი დარტყმაა „ლოს ასულონესისთვის", რადგან სამხრეთამერიკელი ბოლო დროს შესაშურ ფორმაში იმყოფებოდა. 24 წლის ალბინი 2006 წლიდან „ხეტაფეს" წევრია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ხუან ალბინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● მოსაზრება

# საზიზღარი მანჩესტერი

## ფერგი ამხანაგურების წინააღმდეგ



სერ ალექს ფერგიუსონი

ბრიტანეთის მოსახლეობაში მასშტაბური გამოკითხვა ჩატარდა თემაზე, "რომელი კომპანია გეჯავრებათ ყველაზე მეტად". მოულოდნელად პირველ ადგილზე "მანჩესტერ იუნაიტედი" გავიდა. გამოკითხულთა 26%-მა სწორედ ეს საფეხბურთო კლუბი დაასახელა. უპირველესი მიზეზი, რის გამოც "მანიუ" არ უყვართ, არის მუდმივად წარმატებული კლუბის იმიჯი, განსაკუთრებული გავლენა საკუთარ სფეროში და გულშემატკივართა სიმრავლე მთელ მსოფლიოში. ესეც გამოკითხვის შედეგებია და არა ჩვენ მიერ ფაქტის ინტერპრეტაცია. მეორე ადგილზე გავიდა ირლანდიური ავიაკომპანია "რაიანეარი", მას ხმების 23% ერგო. სამეულს აგვირგვინებს "ბრიტიშ გაზი", ხმათა 22% დაიმსახურა.

"მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარი მწვრთნელი **ალექს ფერგიუსონი** სანაკრებო ფეხბურთს დიდად რომ არ სწყალობს, ახალი ამბავი არ არის. მან კიდევ ერთხელ გადაწყვიტა, ამ თემაზე საჯაროდ დაეფიქსირებინა საკუთარი აზრი. დავაკონკრეტებთ, მას არაფერი აქვს საწინააღმდეგო შესარჩევ ციკლში ჩასატარებელი მატჩების, მაგრამ ამხანაგურები? მისი თქმით, ეს მხოლოდ დროის ფუჭად კარგვაა. რატომაც ჩივის შოტლანდიელი, გასაგებია. ყოველი სანაკრებო მატჩი იმას ნიშნავს, რომ ის თავის გუნდთან სრულყოფილ ვარჯიშს ვერ ატარებს, რაც "მანიუს" მომზადების ხარისხზე უარყოფითად მოქმედებს. *"მომხრე ვარ, რომ მაღალ დონეზე ტარდებოდეს მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონატები. რაც შეეხება ამხანაგურ მატჩებს, ეს დროის ფუჭად ფლანგვაა. ყოველთვის აღვნიშნავდი კიდეც, რომ ნაკრების მწვრთნელებს დრო სჭირდებათ, რომ გუნდი თავის ჭკუაზე მოიყვანონ. მესმის მათი, მაგრამ რა ვქნათ საკლუბო მწვრთნელებმა, როცა ასეთი თამაშების დროს სავარჯიშო პროცესი მთლიანად იშლება?"* – განაცხადა შოტლანდიელმა.

● ტოტენჰემი

# გალასი კიდევ ორი წლით



გარეთ ბეილი მინდორს უბრუნდება

"ტოტენჰემის" ცენტრალურმა მცველმა **ვილიამ გალასმა** კლუბთან კონტრაქტი კიდევ ორი წლით გაახანგრძლივა. შეგახსენებთ, რომ საფრანგეთის ნაკრების ცენტრალური მცველი "უაით ჰართ ლეინზე" "არსენალიდან" გასულ ზაფხულს თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა და "დეზებთან" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. გალასი, ვისაც სულ მალე 34 წელი უსრულდება, მთელი სეზონია სტაბილურად მაღალ დონეზე თამაშობს. მისთვის შეთავაზებული ორწლიანი კონტრაქტი კი ერთადერთ რამეზე მეტყველებს, **ჰარი რედნაპი** ფრანგს ბოლომდე ენდობა.

აქვე გეტყვით, რომ **გარეთ ბეილი** ვარჯიშებს დაუბრუნდა და დიდი ალბათობით "რეალთან" ჩემპიონთა ლიგის 1/4-ფინალური შეხვედრისთვის მინდორზე გასასვლელად მზად იქნება. ამ გუნდების პირველი დაპირისპირება 5 აპრილს შედგება. იქამდე კი, სანამ უელსელი მინდორს დაუბრუნდებოდეს, "ტოტენჰემის" სამედიცინო შტაბი ფეხბურთელზე დაკვირვებას გააგრძელებს, რადგან გამოკვლევამ გარეთის მუხლში ძვალზე მცირე ნანაზარდი დააფიქსირა. ამის მიუხედავად, ბეილმა უკვე დაიწყო სერიოზული დატვირთვების მიღება. *"ფეხბურთელმა გვაცნობა, რომ ორშაბათის ვარჯიშისას მცირე დისკომფორტს კიდევ გრძნობდა. ჩვენ ვაგრძელებთ მასზე დაკვირვებას და ვნახავთ, შეეგუება თუ არა მისი მუხლი ფიზიკური კონდიციების გასაუმჯობესებლად გამიზნულ დატვირთვებს,"* – განუცხადა "ტოტენჰემის" ექიმმა **უეინ დიზელმა** "სქაი სპორტსს".

● არსენალი

# ლემანმა მინდორს დაუბრუნდა



იენს ლემანი ძველი ფორმისგან ჯერ ძალიან შორს არის

ფეხბურთში დაბრუნების შემდეგ **იენს ლემანმა** ორშაბათს "არსენალის" დუბლებში პირველად იასპარეზა. "მეთოფეები" "უიგანის" რეზერვისტებს დაუპირისპირდნენ და 2:1 დამარცხდნენ. რბილად რომ ვთქვათ, გერმანელმა ძალიან სუსტად ითამაშა - 41 წლის მეკარე ამ შეხვედრაში ნამდვილად ვერ დაარწმუნებდა **არსენ ვენგერს**, რომ მასზე დაყრდნობა მალე პრემიერლიგის შეხვედრებშიც შესაძლებელი იქნება. "ვესტ ბრომვიჩთან" **მანუელ ალმუნიას** სამარცხვინო გარჯის შემდეგ პრესაში დაიწერა, რომ მომდევნო ტურში ვენგერი ძირითადში ლემანს დააყენებდა, თუმცა ასეთ ფორმაში მყოფი იენსის ძირითადში გამნესება, პრაქტიკულად, თვითმკვლელობის ტოლფასი იქნება. აღნიშნულ შეხვედრაში გერმანელმა 2 გოლის გაშვების გარდა რამდენიმე ელემენტარული შეცდომა დაუშვა. იენსი რიგით მომენტებში კარგად გამოიყურებოდა, თუმცა სიტუაციის გამწვავებისას უმალ იბნეოდა. ერთ ეპიზოდში მეტოქემ ის პატარა ბავშვივით მოატყუა, შემდეგ კინაღამ საკუთარი კარი დალაშქრა, ბოლოს კი უკან დაბრუნებულ ბურთს ფეხი ააცილა.

არსენ ვენგერმა და **სამირ ნასრიმ** გადაწყვიტეს, უეფას მიერ მათთვის მისჯილი თითომატჩიანი დისკვალიფიკაცია არ გაასაჩივრონ. ალბათ გახსოვთ, რომ ეს გადაწყვეტილება ევროპული ფეხბურთის მმართველ ორგანიზაციაში მას მერე მიიღეს, რაც ლონდონური გუნდის წარმომადგენლებმა ჩემპიონთა ლიგის მეორე 1/8-ფინალური მატჩის შემდეგ მსაჯი **მასიმო ბუზაკა** მკაცრად გააკრიტიკეს. გარდა დისკვალიფიკაციისა, ვენგერი 10 ათასი ევროთიც დაჯარიმდა.

● ამბები

## ჯერარდი: ჰოჯსონს უ[illegible]

"ლივერპულის" კაპიტანმა **სტივ ჯერარდმა** მოულოდნელი განცხადება გააკეთა "დეილი მირორის" ჟურნალისტთან ინტერვიუსას. მან ყოფილ მწვრთნელზე მხოლოდ დადებით კონტექსტში ისაუბრა და აღნიშნა, რომ წარუმატებლობის მიუხედავად, როის დღემდე მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელად მიიჩნევს. სტივის აზრით, "ლივერპულში" მის უიღბლობას ბევრი მიზეზი ჰქონდა და მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ის, რომ დამრიგებელს ფეხბურთელებმა მხარი არ აუბეს. მომავალ უქმეებზე მერსისაიდელებს "ვესტ ბრომვიჩთან" ელით გასვლითი შეხვედრა, გუნდთან, რომელსაც სწორედ ჰოჯსონი უდგას სათავეში. *"ჰოჯსონი ძალიან კარგი ადამიანი და შესანიშნავი მწვრთნელია. ჩვენთან მას საქმე უბრალოდ არ აეწყო. ის, რომ მისი ხელმძღვანელობით გუნდი არასტაბილურად თამაშობდა, მხოლოდ მისი ბრალი არ იყო, ამაში თანაბარწილად ვიყავით დამნაშავენი ჩვენც, ფეხბურთელები,"* – განაცხადა "ლივერპულის" კაპიტანმა.

## კლიში იუვენტუსში?

"არსენალისა" და საფრანგეთის ნაკრების მცველმა **გაელ კლიშიმ** შეიძლება ამ ზაფხულს "ემირეითსი" დატოვოს და სათამაშოდ "იუვენტუსს" მიაშუროს. "ტუტოსპორტის" ცნობით, კლიშის შეძენა იტალიურ გრანდს სურს და არც თავად ფეხბურთელია ჩემპიონატის გამოცვლის მოწინააღმდეგე. მოლაპარაკებები მხარეთა შორის უკვე დაწყებულია. იმავე გამოცემის მტკიცებით, "ბიანკონერის" სკაუტები გუშინ საფრანგეთ-ხორვატიის ამხანაგურ დაპირისპირებას უნდა დასწრებოდნენ, რის შემდეგაც ისინი საბოლოოდ დაასკვნიდნენ, მოსწონს თუ არა "ბებერ ქალბატონს" ეს ყმაწვილი. "იუვემ" ფეხბურთელის შეძენა გასული წლის ზაფხულზეც სცადა, თუმცა მაშინ სატრანსფერო თანხა იმაზე დიდი აღმოჩნდა, ვიდრე იტალიელები გადახდას იყვნენ ყაბულს. როგორც ჩანს, ამ საკითხთან დაკავშირებით მხარეთა შორის კონსენსუსი მიღწეულია. ინგლისური გაზეთების მტკიცებით, "იუვეს" მცველის შეძენა 15 მილიონი ფუნტი დაუჯდება.

## კიდევ ერთი სპონსორი

უძველესი ტრადიციების მქონე პოლონურმა კონდიტერულმა კომპანია "ვედელმა" უეფასთან კონტრაქტი გააფორმა და ევროპის ჩემპიონატის კიდევ ერთი ოფიციალური სპონსორი გახდა, - ამ ინფორმაციას უეფას ვებგვერდი ავრცელებს. აღნიშნული ხელშეკრულება უეფასა და კომპანიის წარმომადგენლებს შორის ვარშავაში გაფორმდა. "ვედელი" ოფიციალურად მიიღებს საკუთარი სიმბოლიკის მთელი ტურნირის განმავლობაში სტადიონებზე გამოყენების უფლებას. სულ დაგეგმილია 10 მსხვილი სპონსორის მოძიება. აქედან 8 ფირმის სახელი უკვე ცნობილია.

## საბიუჯეტო კრიზისი იტალიაში

2009/10 წლების სეზონში იტალიური კლუბების საერთო საბიუჯეტო დეფიციტი 193,5 მილიონი ევრო იყო, - გვამცნობს "გაძეტა დელო სპორტი". მიუხედავად იმისა, რომ ეს ციფრი ერთი შეხედვით გამაოგნებელია, ის მაინც პროგრესს ნიშნავს, რადგან წინა წელს თანხა 390 მილიონს აღწევდა. ზემოთ ხსენებულ სეზონში იტალიური კლუბების საერთო ბრუნვამ რეკორდულ თანხას, 1,7 მილიარდ ევროს მიაღწია. სტატისტიკის თანახმად, მხოლოდ ოთხმა კლუბმა შეძლო წლის მოგებით დასრულება, ესენი არიან "ფიორენტინა" (4,4 მლნ), "კატანია" (2,5), "ლივორნო" (1,8) და "ნაპოლი" (0,3). 2000/01 წლების შემდეგ საერთო ვალმა ასევე რეკორდულ ნიშნულს, 2,4 მილიარდ ევროს მიაღწია. შემაშფოთებელია ბიუჯეტის ის წილიც, რომელსაც კლუბები საშუალოდ ხარჯავენ ფეხბურთელთა ხელფასებში – 68%. შედარებისთვის გეტყვით, რომ ბუნდესლიგაში ეს მაჩვენებელი 51%-ს შეადგენს. "გაძეტა დელო სპორტის" საფეხბურთო მიმომხილველის აზრით, თუკი ფინანსური პოლიტიკის გატარებისას იტალიელები უახლოეს მომავალში არ მიმართავენ რადიკალურ ზომებს, ისინი ნამდვილად ვერ შეძლებენ "უეფას ფინანსური ფეარ პლეის" წესების დაცვას.

## ბოსნია შეიძლება გაირიცხოს

ბოსნიური ფეხბურთის მმართველებმა უარი თქვეს ფიფასა და უეფას ულტიმატუმის შესრულებაზე, შეეცვალათ ფეხბურთის ფედერაციის სტრუქტურა. გეტყვით, რომ ფედერაციას სათავეში ეთნიკურ-რელიგიური ნიშნით დაკომპლექტებული სამკაციანი მმართველი საბჭო უდგას. სერბებს, ხორვატებსა და თავად ბოსნიელ მუსლიმანებს თითო წარმომადგენელი ჰყავთ და ყოველ მათგანს ფედერაციის პრეზიდენტი ჰქვია. აღნიშნული სტრუქტურა ანალოგიურია ქვეყნის პოლიტიკური მოწყობისა. ფიფა და უეფა კი ფედერაციის ერთი კონკრეტული ადამიანისთვის ჩაბარებას ითხოვენ.

## ბანანის მსროლელი აღმოაჩინეს

კვირას ლონდონის "ემირეიტსზე" ბრაზილიისა და შოტლანდიის ნაკრებებს შორის ამხანაგური მატჩი გაიმართა (2:0). მატჩი სკანდალით დამთავრდა, რადგან ბრაზილიელთა თინეიჯერ ვარსკვლავ **ნეიმარს** მავანმა გულშემატკივარმა ბანანი ესროლა. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, გაზეთებმა ამას რასისტულ ნაიდაგზე შეურაცხყოფის კვალიფიკაცია მისცეს. პოლიციამ ამ პიროვნების ძებნას ორიოდე დღე მოანდომა. დაკავებული გერმანელი არასრულწლოვანი ტურისტი აღმოჩნდა. ცოტა უცნაურია, მაგრამ ის ბრაზილიელ ფანთა სექტორში იჯდა და მაინც გადაწყვიტა მათი ფეხბურთელის შეურაცხყოფა. ბუნებრივია, ამ ადამიანს ციხეში თავის ამოყოფა არ ემუქრება, მაგრამ როგორც თავად განაცხადა, დაკითხვაზე მოხვედრამ ის სერიოზულად შეაშინა. მან აღიარა ფაქტი, თუმცა კატეგორიულად გამორიცხა რასისტული შეურაცხყოფის განზრახვა.

## გორდონმა სეზონი დაასრულა

"სანდერლენდის" შოტლანდიელმა კარის დარაჯმა **კრეიგ გორდონმა** გულწრფელად აღიარა, რომ ეშინია, მისი ტრავმა იმდენად სერიოზული არ აღმოჩნდეს, სეზონის დასრულება აიძულოს. მას ექიმები დღემდე ვერ ეუბნებიან საბოლოო პასუხს, დასჭირდება თუ არა ქირურგიული ჩარევა ნატკენ მუხლზე. თუკი ოპერაცია მაინც გახდა საჭირო, ასეთ შემთხვევაში შოტლანდიელს არათუ ამ სეზონის დარჩენილი ნაწილის, არამედ მომავალი წლის საწყისი რამდენიმე ტურის უქმობაც მოუხდება.

## ბასტოსის ერთი თვე

"ლიონის" მთავარმა მწვრთნელმა **კლოდ პიუელმა** დაადასტურა, რომ მის გუნდს ბრაზილიელი მარცხენა მცველი **მიშელ ბასტოსი** უახლოესი 4-5 კვირა ვერ დაეხმარება. ფეხბურთელმა მუხლზე ოპერაცია გადაიტანა და მალე სარეაბილიტაციო პროცესსაც დაიწყებს. შეგახსენებთ, რომ მიშელმა ტრავმა "სოშოსთან" ლიგა 1-ის მატჩისას მიიღო.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაპირისპირება

# ჰიონესი: მარტო ფულის კეთებაზე ნუ ფიქრობთ!

## ულიმ გერმანიის საფეხბურთო კავშირს და აინტრახტს შეუტია

დიდი ხანია, „ბაიერნის“ პრეზიდენტ **ული ჰიონესს** სკანდალური განცხადება არ გაუკეთებია და აი, ავსტრალიასთან ამხანაგური მატჩის წინ, „ენაჭარტალა ულიმ“ გერმანიის საფეხბურთო კავშირი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა. მისი აზრით, ავსტრალიის ნაკრების დარ გუნდთან ტესტ-მატჩის ჩატარება გერმანიის ნაკრებს სპორტული თვალსაზრისით არაფერს აძლევს. ჰიონესმა ფრანკფურტის „აინტრახტის“ ხელმძღვანელებიც გამოლანძღა – რა თქმა უნდა, ულისთვის საძულველი **კრისტოფ დაუმის** მთავარ მწვრთნელად დანიშვნის გამო.

ულის აზრით, ავსტრალიის ნაკრებთან ამხანაგური მატჩის ჩატარებაზე დათანხმების მთავარი მოტივი, გერმანული მხარისთვის ფულის შოვნაა და მეტი არაფერი. *„გერმანიის საფეხბურთო კავშირი ასეთ ტესტმატჩებს მხოლოდ იმიტომ თანხმდება, რომ ფული გააკეთოს, რადგან ბუნდესნაკრებს ავსტრალიის დარ გუნდთან ტესტმატჩის ჩატარება სპორტული თვალსაზრისით*



მიუნხენის ბაიერნის პრეზიდენტი ული ჰიონესი

*არაფერს მოუტანს. სამაგიეროდ, DFB მიიღებს ხუთ მილიონ ევროს, რაც საკმაოდ დიდი თანხაა,* - განაცხადა ჰიონესმა და იქვე დასძინა, - *ბუნდესლიგა გადამწყვეტ ფაზაშია შესული და წესით, საფეხბურთო კავშირს ავსტრალიასთან ტესტმატჩზე უარი უნდა ეთქვა. რას მოგვიტანს ეს შეხვედრა? არაფერს, გარდა ფულისა! გერმანიის ჩემპიონატი სწორ გზაზე დგას და თუ ასე გაგრძელდა, ბუნდესლიგა მალე ევროპის საუკეთესო ლიგა გახდება. გერმანიის ჩემპიონატის ნებისმიერი შეხვედრა გაცილებით საინტერესოა, ვიდრე გერმანიის ნაკრების ამხანაგური მატჩი ავსტრალიასთან. მეტსაც გეტყვით: იოახიმ ლიოვმა ამ შეხვედრაში ფაქტობრივად მეორე გუნდი უნდა ათამაშოს და ჩემი აზრით, „ბაიერნის“ პირველი და მეორე გუნდების დაპირისპირება გაცილებით საინტერესო იქნება, ვიდრე გერმანიის მეორე ნაკრების თამაში ავსტრალიასთან.“*

გერმანიის საფეხბურთო კავშირის გაკრიტიკების ფონზე, ულიმ უშუალოდ გერმანიის ნაკრების სამწვრთნელო შტაბი შეაქო. *„გერმანიის ნაკრები მუდმივად პროგრესს განიცდის და ასი პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ ევროპის 2012 წლის ჩემპიონატზე მთავარი ფავორიტები ჩვენ და ესპანეთი ვიქნებით,“* - აღნიშნა მან.

ჰიონესი ბუნდესლიგაში მწვრთნელების უდიდეს როტაციასაც შეეხო და ფრანკფურტის „აინტრახტის“ მენეჯერი **ჰერიბერტ ბრუხჰაგენი** შემოელანძღა: *„როგორც ჩანს, ბუნდესლიგის კლუბების მენეჯერებს ჯადო გაუკეთეს. სხვანაირად ვერ ვხსნი იმ საგიჟეთს, რაც ბოლო სამი-ოთხი კვირის განმავლობაში დატრიალდა. ყველაზე დიდი ჯადო კი „აინტრახტის“ მენეჯერ ბრუხჰაგენისთვის გაუკეთებიათ, რომელმაც მოგებული თამაშის შემდეგ, მიხაელ სკიბე გაათავისუფლა და მის ნაცვლად კრისტოფ დაუმი დანიშნა.“*

როგორც იცით, ჰიონესი და დაუმი ერთმანეთს დასანახად ვერ იტანენ...

ამბები



ფრანკ როსტი კარიერის დამთავრებას ჯერ არ აპირებს

### როსტი ისევ კობიაშვილთან?

#### 37 წლის მეკარე შესაძლოა ჰერტაში გადავიდეს

„ჰამბურგის“ ვეტერან მეკარეს, **ფრანკ როსტს** სეზონის ბოლოს HSV-სთან კონტრაქტი უმთავრდება და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ჩრდილოგერმანული კლუბის ახალი ხელმძღვანელები მას კონტრაქტს არ გაუგრძელებენ. „ბილდის“ ინფორმაციით, 37 წლის როსტის აგენტი მეორე ბუნდესლიგის ლიდერის, ბერლინის „ჰერტას“ შეფებს დაუკავშირდა და მათ ფრანკი შესთავაზა.

პირველ ბუნდესლიგაში დასაბრუნებლად გამზადებული ბერლინელები ელიტისთვის მეკარეს ეძებენ და ცნობილია, რომ „ჰერტას“ მენეჯერ **მიხაელ პრეეტცს** როსტი ძალიან მოსწონს. თუ ფრანკ როსტი ბერლინში გადავა, იქ მას ძველი თანაგუნდელი და მეგობარი, **ლევან კობიაშვილი** დახვდება. კობი და როსტი ერთად „შალკეში“ თამაშობდნენ...

### კაგავამ ვარჯიში დაიწყო

#### სუბოტიჩიც ფეხზე დადგა

დორტმუნდის „ბორუსიას“ იაპონელმა გამთამაშებელმა **შინჯი კაგავამ**, რომელმაც მიმდინარე სეზონის პირველი წრე ბრწყინვალედ ჩაატარა და სეზონის აღმოჩენა გახდა, ვარჯიში დაიწყო. როგორც იცით, კაგავამ იანვარში, აზიის თასზე უმძიმესი ტრავმა მიიღო და გერმანიის ჩემპიონატის მეორე წრეში ერთი თამაშიც კი არ ჩაუტარებია. ახლა კი, ახალგაზრდა იაპონელი გამოჯანმრთელების გზას ადგას და ორშაბათს ვარჯიში განაახლა.

ჯერჯერობით უცნობია, როდის მოახერხებს კაგავა მოედანზე გასვლას, მაგრამ ფაქტია, რომ ეს მალე მოხდება და რომ იაპონელი ამ სეზონში რამდენიმე თამაშის ჩატარებას მოასწრებს. აქვე იმასაც გეტყვით, რომ დორტმუნდელთა სერბი მცველის, **ნევენ სუბოტიჩის** ტრავმა, რომელიც მან ჩრდილოეთ ირლანდიასთან მატჩში (2:1 სერბების სასარგებლოდ) მიიღო, სერიოზული არ აღმოჩნდა. სუბოტიჩი დორტმუნდში დაბრუნდა და უკვე გარკვეულია, რომ შაბათს „ჰანოვერთან“ აუცილებლად ითამაშებს.

### ფარფანი: ტურინი თუ გელზენკირხენი?

იტალიურმა გაზეთმა „ტუტოსპორტმა“ „შალკეს“ ნახევარმცველის, **ჯეფერსონ ფარფანის** ინტერვიუ დაბეჭდა, სადაც პერუელი ფეხბურთელი ამბობს, გადაწყვეტილება უკვე მივიღე და „იუვენტუსში“ გადმოვდივარ, რათა კარიერაში კიდევ ერთი ნაბიჯით წინ წავიწიოო. ფეხბურთელის აგენტი კი, გერმანელ ჟურნალისტებთან საუბრისას ამბობს, ჯეფერსონს იტალიელი ჟურნალისტებისთვის არაფერი უთქვამს, ეს გამოგონილი ინტერვიუაო. მისი თქმით, ფარფანი „შალკეში“ თავს კარგად გრძნობს, ახალი მწვრთნელი რალფ რანგნიკიც მოსწონს და გელზენკირხენულ კლუბთან კონტრაქტის გაგრძელებაზეც ფიქრობს.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ თუ „ზანკტ პაული“ მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითდება, „შალკედან“ კიცელთა კლუბში განათხოვრებული **ჯერალდ ასამოა** გელზენკირხენში დაბრუნდება. ეს ინფორმაცია გუშინ „შალკეს“ მენეჯერმა **ჰორსტ ჰელდტმაც** დაადასტურა.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ბაიერნი

# მიუნხენი დიდი ცვლილებების მოლოდინში

## კლოზეს რიგი დაუდგა, კოენტრაუს თაობაზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს, ბუტი კი კარიერას ს ამთავრებს და ბაიერნს ნოიერის ყიდვას ურჩევს

**მიუნხენის „ბაიერნში“ ძალიან ბევრი რამ არის გასარკვევი და გარკვეული კონტურები უკვე გამოიკვეთა. გაურკვეველია მიროსლავ კლოზეს მომავალი, რომელსაც „ტოტენჰემი“, „იუვენტუსი“ და „ბენფიკა“ ეპატიჟებიან. ამასობაში, ჩვენი პორტუგალიელი კოლეგების ცნობით, მიუნხენური გრანდის შეფებმა „ბენფიკასთან“ ფაბიო კოენტრაუს თაობაზე დაიწყეს მოლაპარაკებები. რეკორდმაისტერში ჟერომ ბოატენგზეც ფიქრობენ და არტურო ვიდალზეც. ჰანს-იორგ ბუტმა კი კარიერის დასრულება გადაწყვიტა.**

### კლოზეს რიგი დაუდგა: ტოტენჰემი, იუვენტუსი, ბენფიკა

„ლელოს“ მკითხველებისთვის ცნობილია, რომ „ბაიერნისა“ და გერმანიის ნაკრების თავდამსხმელ **მიროსლავ კლოზეს** სეზონის ბოლოს მიუნხენურ გრანდთან კონტრაქტი უმთავრდება და ჯერაც გაურკვეველია, დარჩება თუ არა 32 წლის ფორვარდი რეკორდმაისტერში. „ბაიერნში“ მწვრთნელი იცვლება, **ლუის ვან გაალი** ზაფხულში წავა და გუნდს **იუპ ჰაინკესი** მიხედავს, რომელმაც კლოზეს ბედი უნდა გადაწყვიტოს – მირომ მიუნხენში დარჩენა უნდა, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ხშირად თამაშის გარანტიას ითხოვს. მოგეხსენებათ, ვან გაალი მას სათადარიგოთა სკამს ახეხინებს.

კლოზეს „ბაიერნში“ არ ათამაშებენ, გერმანიის ნაკრებში კი მუდმივად ასპარეზობს. თებერვალში მან იტალიის ნაკრებს გაუტანა გოლი (1:1), ახლა კი, გასულ შაბათს, ყაზახეთს დუბლი შეუსრულა, რის შემდეგაც ბუნდესგუნდის მაისურით 61 გოლი დაუგროვდა და **გერდ მიულერის** რეკორდამდე მხოლოდ შვიდი გოლიღა აკლია. შესაბამისად, კლოზეს მთხოვნელები გამოუჩნდნენ, რაც ნაკრებში გატანილი გოლების გარდა იმის დამსახურებაცაა, რომ თუ „ბაიერნთან“ ახალ კონტრაქტს არ გააფორმებს, მირო ზაფხულში უფასო იქნება.

ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, კლოზესთვის ბრძოლაში აქტიურად სამი კლუბი ჩაერთო. პირველი ლისაბონის „ბენფიკაა“ – პორტუგალიის მოქმედი ჩემპიონი, რომელიც ახლა მეორე ადგილზეა. მეორეა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალისტი, ინგლისური „ტოტენჰემი“, ხოლო მესამე კრიზისში მყოფი იტალიური გრანდი „იუვენტუსი“, რომელიც დღეისათვის სერია A-ში მეშვიდე ადგილზეა. ცნობილია ისიც, რომ კლოზეთი ორი გერმანული კლუბია დაინტერესებული: ჩემპიონობისთვის გამზადებული დორტმუნდის „ბორუსია“ და „ჰოფენჰაიმი“.

„ბილდის“ ინფორმაციით, თუ „ბაიერნის“ მომავალი მწვრთნელი ჰაინკესი გადაწყვეტს, რომ კლოზე არ სჭირდება, მირო გერმანიას დატოვებს. ცნობილია, რომ თუ „ბაიერნიდან“ წავა, კლოზეს სხვა გერმანულ კლუბში გადასვლას, კარიერის უცხოეთში გაგრძელება ურჩევნია.

### კოენტრაუ ბაიერნს მიუახლოვდა

პორტუგალიური სპორტული გაზეთის, OJOGO-ს ცნობით, „ბაიერნის“ ხელმძღვანელები „ბენფიკასთან“ მოლაპარაკებებს აწარმოებენ და საკმაოდ წინ წაიწიეს. ამჯერად, საქმე არა კლოზეს, არამედ „ბენფიკას“ და პორტუგალიის ნაკრების უნიჭიერეს მარცხენა მცველ **ფაბიო კოენტრაუს** ეხება, რომლის გადაბირება მიუნხენელებს ძალიან უნდათ. 23 წლის კოენტრაუს ლისაბონურ კლუბთან კონტრაქტი 2016 წლამდე აქვს გაფორმებული, რის გამოც მისი ტრანსფერი ძალიან ძვირი დაჯდება. „ბილდის“ ცნობით, „ბენფიკა“ 25 მილიონ ევროს ითხოვს და „ბაიერნიც“ მზადაა, ეს თანხა გადაიხადოს.

### ჟერომ ბოატენგი დაცვის ცენტრისთვის?

კოენტრაუ რეკორდმაისტერს ნაღდად ძალიან გააძლიერებდა, მაგრამ მიუნხენური კლუბის უმთავრესი საზრუნავი მომავალი სეზონისთვის მაინც დაცვის ცენტრის გაძლიერებაა. საიდუმლოს არავისთვის წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მიუნხენელები ზაფხულში მინიმუმ ერთი ახალი, მაღალი კლასის ცენტრალური უკანახაზელის ყიდვას გეგმავენ. „კიკერი“ წერს, რომ ბავარიელებს გერმანიის ნაკრების მცველ **ჟერომ ბოატენგის** გადაბირება უნდათ, რომელმაც მიუნხენურ გრანდში ბრაზილიელი **ბრენოს** ადგილი უნდა დაიკავოს. მართალია, 22 წლის ბოატენგს ნაკრებშიც და „მანჩესტერ სიტიშიც“ უმეტესად მარჯვენა მცველის პოზიციაზე ათამაშებენ, მაგრამ თვითონ დაცვის ცენტრში ასპარეზობა ურჩევნია, რასაც არასდროს მალავს. ცნობილია, რომ საინტერესო წინადადების მიღების შემთხვევაში, მანჩესტერელები ბოატენგს სიამოვნებით დათმობენ. „კიკერი“ იმასაც წერს, რომ ჟერომ ბოატენგის გარდა, „ბაიერნს“ „შალკეს“ პერსპექტიული მცველი **ბენედიქტ ჰიოვედესიც** აინტერესებს.

### ვიდალი: ბაიერნი საინტერესოა!

„ლევერკუზენის“ სპორტულმა დირექტორმა **რუდი ფიოლერმა** კი თქვა, ჰაინკესი მიუნხენში ვერც ერთ ლევერკუზენელ ფეხბურთელს ვერ წაიყვანსო, მაგრამ დიდი შანსია, რომ მისი სიტყვები არ გამართლდეს. ცნობილია, რომ რეკორდმაისტერს „ლევერკუზენის“ ფეხბურთელებიდან ყველაზე მეტად ჩილელი ნახევარმცველი **არტურო ვიდალი** აინტერესებს.

*„ბაიერნი“ დიდი, მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია, სადაც თამაშზე ბევრი ფეხბურთელი ოცნებობს. გერმანიაში რომ დავბრუნდები, ამ თემით სერიოზულად დავინტერესდები და თუ მიუნხენური კლუბის შეფებს ჩემი ყიდვა მართლაც უნდათ, მათთან მოლაპარაკებებს სიამოვნებით დავთანხმდები,“* - ეს ვიდალის სიტყვებია, რაც მან მშობლიურ სპორტულ გაზეთ „ლა კუარტას“ უთხრა.

### ბუტი მიდის და ბაიერნს ნოიერს ურჩევს

მორჩა: „ბაიერნის“ ვეტერანმა მეკარემ, **ჰანს-იორგ ბუტმა** ზაფხულში კარიერის დასრულება საბოლოოდ გადაწყვიტა და ისიც ცნობილია, რომ ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდების შემდეგ, ბუტი რეკორდმაისტერში ბავშვთა ფეხბურთის კოორდინატორად იმუშავებს. *„მოვიდა დრო, რომ კარიერა დავამთავრო. ჩემთვის დიდი პატივია ის, რომ „ბაიერნში“ დავრჩები და ბავშვთა ფეხბურთის კოორდინატორის პოსტზე ვიმუშავებ,“* - უთხრა 36 წლის ბუტმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს. ხსენებულ



ჰანს-იორგ ბუტი სეზონის ბოლოს აქტიურ სპორტულ კარიერას დაამთავრებს

პოსტზე ბუტი **ვერნერ კერთს** შეცვლის, რომელმაც ამ თანამდებობაზე 17 წელი იმუშავა, ახლა კი პენსიაში მიდის.

ახლა ყველაზე საინტერესო ისაა, გაუგრძელებენ თუ არა მიუნხენელები კონტრაქტს **თომას კრაფტს**, რომელიც იანვრიდან რეკორდმაისტერის კარს იცავს და საკმაოდ კარგადაც გამოიყურება. როგორც იცით, მიუნხენური გრანდის შეფები ჯერ კიდევ ფიქრობენ „შალკესა“ და გერმანიის ნაკრების მეკარე **მანუელ ნოიერის** ყიდვაზე და ამიტომაც აჯანჯლებენ კრაფტთან ახალი ხელშეკრულების გაფორმებას. „ბილდის“ ინფორმაციით, „ბაიერნი“ „შალკესთვის“ ფულთან ერთად, კრაფტის შეთავაზებასაც აპირებს. ცნობილია, რომ ბავარიული კლუბის ფანებს ნოიერი გულზე არ ეხატებათ და გუნდში კრაფტის დატოვებას ითხოვენ. მიუხედავად ამისა, ჰიონესი და ვიცე-პრეზიდენტი **რუმენიგე** მანუელის ყიდვაზე მაინც სერიოზულად ფიქრობენ. ბუტი „ბაიერნს“ სწორედ ნოიერის ყიდვას ურჩევს - კრაფტი ძალიან ნიჭიერი მეკარეა, მაგრამ უმჯობესია, ნოიერი იყიდოთო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ამბები



## ბარსა-მანჩესტერი ამერიკაში

ამერიკული საფეხბურთო ლიგის (მლს) ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ მერილენდის სტადიონ „ლენდოვერზე“ 30 ივლისს ერთმანეთს „ბარსელონა“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“ დაუპირისპირდებიან. ეს მატჩი „უორლდ ფუტბოლ ჩელენჯ-2011-ის“ ეგიდით გაიმართება. ეს ოთხთა ტურნირია, სადაც „ბარსასა“ და „იუნაიტედის“ გარდა „ჩიკაგო“ და „რევოლუშენი“ ითამაშებენ.

„ბარსელონას“ თემას ვაგრძელებთ ინფორმაციით, რომლის თანახმადაც **ბოიან კრკიჩმა** ესპანეთის ახალგაზრდულ ნაკრებში (ბელარუსთან 1:1 მატჩში) კოჭის მსუბუქი ტრავმა მიიღო. **ხოსეპ გვარდიოლამ** კი გუშინ პირველი გუნდის მხოლოდ ორი ფეხბურთელი ავარჯიშა. ფეხბურთელთა დიდი ნაწილი ნაკრებებშია განაწილებული, ნაწილი ტრავმირებულია, **სეიდუ კეიტამ** კი ვარჯიშზე დააგვიანა. ასე რომ, გვარდიოლას განკარგულებაში მხოლოდ მეკარე **პინტო** და ბრაზილიელი **ადრიანო** დარჩნენ.

## სასამართლო დღეს იტყვის, იქნება თუ არა ტური



მადრიდში სასამართლო დღეს გამოიტანს საბოლოო განაჩენს, ჩატარდება თუ არა ლა ლიგის მორიგი ტური დათქმულ ვადებში (2-3 აპრილი), თუ გადაიდება, როგორც ეს ესპანეთის პროფესიული ფეხბურთის ლიგამ (LFP) დაგეგმა. LFP-მ უკვე მიიღო გადაწყვეტილება, რომელსაც პრიმერას კლუბების უმეტესობა დაეთანხმა, მაგრამ უმცირესობაში დარჩენილმა 6-მა გუნდმა სასამართლოში იჩივლა, ესენია: „ბილბაო“, „რეალ სოსიედადი“, „სარაგოსა“, „ესპანიოლი“, „სევილია“ და „ვილიარეალი“. სწორედ, ამ 6 კლუბის სარჩელს განიხილავს დღეს სასამართლო.

კლუბები და მათი მეშვეობით LFP დიდი ხანია მოითხოვენ მთავრობისგან იმ კანონის გაუქმებას, რომლის წყალობითაც, კვირაში ერთი მატჩი აუცილებლად უფასო არხით უნდა გადაიცეს მთელს ესპანეთში. ბუნებრივია, კლუბებს სატელევიზიო შემოსავლების გაზრდა სურთ, თუმცა არც სახელმწიფო სტრუქტურა იხევს უკან. ჯერ კიდევ თებერვალში LFP-მ მიიღო გადაწყვეტილება, რომ თუკი უახლოეს ხანებში მოლაპარაკებები შედეგს არ გამოიღებდა, 2-3 აპრილის ტური გადაიდებოდა. სწორედ ეს გადაწყვეტილება აამოქმედა LFP-მ ახლახან, მაგრამ... 6-მა კლუბმა უჩივლა.

მადრიდის სასამართლო განაჩენს დღეს დილის 10 საათზე (ადგილობრივი დროით) გამოიტანს და ეს განაჩენი სავალდებულო ხასიათისა უნდა იყოს. მოკლედ, დღეს გაირკვევა, ჩატარდება თუ არა წლევანდელი პრიმერა დათქმულ დროში, თუ უსაშველოდ გაიწელება (12 ივნისამდე).

## ტოტე, ოპერაცია მადრიდში, მკურნალობა ბარსელონაში

„ერკულესის“ ფორვარდი **ხორხე ლოპეს მარკო**, რომელსაც ყველა **ტოტეს** სახელით იცნობს, გუშინ მადრიდული ჰოსპიტლიდან გამოწერეს. ტოტე მკურნალობას შინ განაგრძობს. ფორვარდმა სპორტსმენისთვის ყველაზე მძიმე და საშიში ტრავმა მიიღო, მარჯვენა მუხლის ჯვარედინი იოგების და სამთავა კუნთის განწყვეტა. ეს ის ტრავმაა, რომელმაც ძალიან ბევრ ფეხბურთელს კარიერა დაამთავრებინა. ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა, ცოტა ხანში ტოტე ბარსელონაში ჩავა, სადაც ცნობილ ექიმ **კუგატთან** იმკურნალებს.



ტოტე (მარჯვნივ) მაქსველთან ორთაბრძოლაში

● ევრო 2012 საკვალიფიკაციო ეტაპი.

# ფანტასტიკა ამსტერდამ არენაზე

## მუნდიალის ფინალისტების სრული სვლა

იმ დღეს, როცა საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა პირველად წააგო **თემურ ქეცბაიას** ხელმძღვანელობით, „ბებერ კონტინენტზე“ ევრო 2012-ის კიდევ ცხრა შესარჩევი მატჩი გაიმართა, რომელთაგანაც ერთი მართლაც ფანტასტიკური გამოდგა. ვინ იფიქრებდა, რომ შინ ჰოლანდიასთან 0:4-ის წამგები უნგრეთი „ამსტერდამ არენაზე“ ასე გამოიდებდა თავს! თამაშის დასრულებას წუთებიღა უკლდა, როცა დიდებულ მატჩში 3:3 იყო (უნგრელები ერთხელ წინაც იყვნენ), მაგრამ სტუმართა მონდომებას ხაზი „ლივერპულის“ ფორვარდმა **დირკ კაიტმა** გადაუსვა, რომელმაც ბოლო წუთებზე დუბლი შეასრულა და ჰოლანდიას 5:3 მოაგებინა. ამის შემდეგ ჰოლანდიის ნაკრებს 6 თამაშის შემდეგ ქულათა მაქსიმუმი, 18 აქვს და ცალი ფეხით პოლონეთსა და უკრაინაშია.



ჰოლანდია უნგრეთთან გამარჯვებას ზეიმობს

მსოფლიოს ჩემპიონი ესპანეთი „კარტოფილის ყანაში“ ათამაშეს, როცა **დელ ბოსკეს** გუნდი პირველად გავიდა კაუნასში სავარჯიშოდ, ფეხბურთელებს გული შემოეყარათ, მინდორი მწვანე ფერისაც კი არ იყო. ერთი ხანობა, თამაშის გამართვა საეჭვოც კი გახდა, თუმცა უეფას დასტურით შეხვედრა მაინც შედგა - დელ ბოსკემ შემადგენლობაში კორექტივები შეიტანა და მისმა გუნდმა კვლავ იმარჯვა - 3:1. სხვათა შორის, სასტარტო შემადგენლობაში ერთდროულად სამმა ფეხბურთელმა ითამაშა ბილბაოს „ატლეტიკიდან“.



ლიტვა-ესპანეთი

### A ჯგუფი

#### თურქეთი-ავსტრია 2:0

**თურქეთი (4-1-4-1):** დემირელი - გონული, ჩეთინი, კეშიმალი, ბალთა - ინანი - ალთინტოპი, შაჰინი, ეკიჩი (63. ტოპუზი), თურანი (88. თოფალი) - ილმაზი (72. შენთურქი).

**ავსტრია (4-3-2-1):** მახო - დაგი, დრაგოვიჩი, პოგატეცი, ფუხსი - შარნერი, პეჰლივანი (57. სარაკოგლუ), ბაუმგარტლინგერი (46. კონსტანტინი) - ჰარნიკი (69. არნაუტოვიჩი), ალაბა - მეიერჰოფერი.

**გოლები:** 1:0 თურანი (28), 2:0 გონული (78)

#### ბელგია-აზერბაიჯანი 4:1

**ბელგია (4-1-4-1):** მინოლე - სიმანი, ვან ბუიტენი (80. ვან დამე), ლომბაერტსი, ვერტონგენი - სიმონსი - ჩადლი, ვიტსელი, დეფური (90. ოჯიჯა ოფოე), დემბელე (64. აზარი) - ვოსენი.

**აზერბაიჯანი (4-2-3-1):** აგაევი - შუკუროვი, სადიგოვი, ლევინი, მალიკოვი - ჩერტოგანოვი, აბუშოვი - ამირგულიევი, ალიევი, მამედოვი (78. ჰუსეინოვი) - ჯავადოვი (75. ნადიროვი).

**გოლები:** 1:0 ვერტონგენი (12), 1:1 აბუშოვი (16), 2:1 სიმონსი (32-პენ), 3:1 ჩადლი (45), 4:1 ვოსენი (74)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 5 | 5 | 0 | 0 | 17-1 | 15 |
| 2. ბელგია | 6 | 3 | 1 | 2 | 14-9 | 10 |
| 3. თურქეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 8-6 | 9 |
| 4. ავსტრია | 5 | 2 | 1 | 2 | 9-8 | 7 |
| 5. აზერბაიჯანი | 4 | 1 | 0 | 3 | 3-12 | 3 |
| 6. ყაზახეთი | 5 | 0 | 0 | 5 | 0-14 | 0 |

### C ჯგუფი

#### ესტონეთი-სერბეთი 1:1

**ესტონეთი (4-4-1-1):** პარეიკო - იაგერი, რანი, პიროია, კლავანი - პური (29. პურიე), დმიტრიევი, ვასილიევი, კრუგლოვი - სააგი (66. კინკი) - აჰიუპერა (55. ოპერი).

**სერბეთი (4-2-3-1):** ბრკიჩი - ივანოვიჩი, ვიდიჩი, ბიზევაცი, კოლაროვი - პეტროვიჩი, მილიაში - იოვანოვიჩი (74. ჟიგიჩი), ნინკოვიჩი (14. ტრივუნოვიჩი), ტოშიჩი - პანტელიჩი.

**გოლები:** 0:1 პანტელიჩი (38), 1:1 ვასილიევი (84)

**მაყურებელი:** 5 185

#### ჩრდ. ირლანდია-სლოვენია 0:0

**ჩრდ. ირლანდია (4-4-1-1):** კამპი - კეზკარტი, მაკაული, კრეიგანი, ჯ. ევანსი - კ. ევანსი, ბეირდი, კლინგენი, მაკკენი (71. მაკვოიდი) - ბრანტი - ფეჰეი (82. მაკკურტი).

**სლოვენია (4-4-1-1):** ჰანდანოვიჩი - ბრეჩკო, შულერი, მავრიჩი, იოკიჩი - ბირსა, ბაჩინოვიჩი (90. სუკალო), კორენი, კირმი - ილიჩიჩი (29. ლიუბიანკიჩი) - ნოვაკოვიჩი (84. დედიჩი).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იტალია | 5 | 4 | 1 | 0 | 11-1 | 13 |
| 2. სლოვენია | 6 | 2 | 2 | 2 | 7-4 | 8 |
| 3. სერბეთი | 6 | 2 | 2 | 2 | 8-9 | 8 |
| 4. ესტონეთი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-6 | 7 |
| 5. ჩრ. ირლანდია | 5 | 1 | 3 | 1 | 3-3 | 6 |
| 6. ფარერები | 5 | 0 | 1 | 4 | 3-16 | 1 |

### D ჯგუფი

#### რუმინეთი-ლუქსემბურგი 3:1

**რუმინეთი (4-5-1):** ტატარუსანუ - საპუნარუ, ტამაში (65. გოიანი), გარდოში, რაცი - მურეშანი, როპოტანი, ზიკუ, მუტუ (84. ალექსე), სტანჩუ (46. ტორიე) - მარიკა.

**ლუქსემბურგი (4-4-2):** ჟუბერი - ბლაიზი, ჰოფმანი, შნელი (90. მარტინო), პეტერსი - ლევეკი, ბეტმერი (81. ლატერზა), პაიალი, იოახიმი - მუტში, გერსონი (59. და მოტა).

**გოლები:** 0:1 გერსონი (22), 1:1 მუტუ (24), 2:1 მუტუ (68), 3:1 ზიკუ (78)

**მაყურებელი:** 13 500

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საფრანგეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 8-1 | 12 |
| 2. ბელარუსი | 5 | 2 | 2 | 1 | 3-1 | 8 |
| 3. ალბანეთი | 5 | 2 | 2 | 1 | 4-4 | 8 |
| 4. ბოსნია | 4 | 2 | 1 | 1 | 6-4 | 7 |
| 5. რუმინეთი | 5 | 1 | 2 | 2 | 5-6 | 5 |
| 6. ლუქსემბურგი | 6 | 0 | 1 | 5 | 1-11 | 1 |

### E ჯგუფი

#### შვედეთი-მოლდოვა 2:1

**შვედეთი (4-2-3-1):** ისაკსონი - ლუსტიგი, გრანკვისტი, ანტონსონი, ვენდტი - ვერნბლომი (65. ელმი), კალსტრიომი - ლარსონი, ელმანდერი (89. გერნდტი), ბაირამი (72. ოლსონი) - იბრაჰიმოვიჩი.

**მოლდოვა (4-4-2):** ნამაშკო - რაკუ, გოლოვატენკო, არმასი, ბოლოჰანი - სუვოროვი, გაცკანი (83. ანდრონიჩი), ჩებოტარუ, ბორეცი - ფრუნზა (46. ბუგაევი), დოროში (72. ჩეპტინე).

**გოლები:** 1:0 ლუსტიგი (30), 2:0 ლარსონი (82), 2:1 სუვოროვი (90)

**მაყურებელი:** 25 544

#### ჰოლანდია-უნგრეთი 5:3

**ჰოლანდია (4-2-3-1):** ვორმი - ვან დერ ვილი, ჰეიტინგა, მატისენი, პიეტერსი (64. ემანუელსონი) - დე იონგი, ვან დერ ვაარტი - კაიტი (90. ელია), სნეიდერი, აფელაი - ვან პერსი (46. ვან ნისტელროი).

**უნგრეთი (4-4-1-1):** ფულოპი - ლაზარი, ვანჩაკი, იუჰაში, ლაჩკო - გერა, პინტერი (47. კომანი), ვადოცი (90. ცვიტკოვიჩსი), ჯუჯაკი - რუდოლფი - პრისკინი (75. ტოკოლი).

**გოლები:** 1:0 ვან პერსი (13), 1:1 რუდოლფი (47), 1:2 გერა (50), 2:2 სნეიდერი (61), 3:2 ვან ნისტელროი (73), 3:3 გერა (75), 4:3 კაიტი (78), 5:3 კაიტი (81)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოლანდია | 6 | 6 | 0 | 0 | 21-5 | 18 |
| 2. შვედეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 11-5 | 9 |
| 3. უნგრეთი | 6 | 3 | 0 | 3 | 15-13 | 9 |
| 4. მოლდოვა | 5 | 2 | 0 | 3 | 6-5 | 6 |
| 5. ფინეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 10-6 | 3 |
| 6. სან მარინო | 5 | 0 | 0 | 5 | 0-29 | 0 |

### I ჯგუფი

#### ჩეხეთი-ლიხტენშტაინი 2:0

**ჩეხეთი (4-4-2):** ჩეხი - პოშპეხი, ჰუბნიკი, შივოკი, მ. კადლეცი - მორავეკი (56. ჰლუშეკი), ჰუბშმანი, როსიცკი (84. პოლაკი), პლაშილი - ლაფატა (59. ბილეკი), ბაროში.

**ლიხტენშტაინი (4-4-2):** იელე - რეხშტაინერი, მ. შტოკლასა, მ. შტოკლასა, ბურგმაიერი - ბეკი, ნ. ჰასლერი, ბუხელი (10. კიებერი (81. კრისტენი)), ერნი - ფრიკი, დ. ჰასლერი.

**გოლები:** 1:0 ბაროში (3), 2:0 მ. კადლეცი (70)

**მაყურებელი:** 6 600

#### ლიტვა-ესპანეთი 1:3

**ლიტვა (4-4-2):** კარჩემარსკასი - სტანკევიჩიუსი, სკერლა, კიანსკასი, ზალიუკასი - ჩესნაუსკისი, პანკა, შემბერასი, მიკოლიუნასი (71. რადავიჩიუსი) - შერნასი (74. ლაბუკასი), დანელივიჩიუსი (85. გალკევიჩიუსი).

**ესპანეთი (4-3-3):** კასილიასი - ირაოლა, პიკე (89. სერხიო რამოსი), ალბიოლი, არბელოა - ჩავი, ხ. მარტინესი, ჩაბი ალონსო - კასორლა (67. მატა), ფ. ლორენტე, ვილია (54. სილვა).

**გოლები:** 0:1 ჩავი (18), 1:1 სტანკევიჩიუსი (57), 1:2 კიანსკასი (70 ს.კ.), 1:3 მატა (84)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 5 | 5 | 0 | 0 | 15-5 | 15 |
| 2. ჩეხეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 6-3 | 9 |
| 3. შოტლანდია | 4 | 1 | 1 | 2 | 4-5 | 4 |
| 4. ლიტვა | 4 | 1 | 1 | 2 | 3-6 | 4 |
| 5. ლიხტენშტაინი | 4 | 0 | 0 | 4 | 1-10 | 0 |

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული სპორტი

● თავისუფალი ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატი

# ჩემპიონატი ბრინჯაოთი გავხსენით

## დებიუტანტის წარმატება

დორტმუნდში „თავისუფლად" მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლა ჩვენმა ნაკრებმა ბრინჯაოს მედლით დაიწყო. ის გუნდის დებიუტანტმა **დავით ხუციშვილმა** (74) მოიპოვა, რომლისგანაც ამას ველოდით კიდეც. შარშანდელი ახალგაზრდული დუბლის ავტორი ამ წონაში ჩვენი ლიდერია და ფავორიტობა კარგი ჭიდაობით დაიმსახურა. სამწუხაროდ, გუშინ ადრევე გამოვარდნენ ჩვენი გუნდის სხვა წევრები - **მალხაზ ზარქუა** (60) და **ბელდუხ გავაშელიშვილი** (96).

დორტმუნდში გუშინ მხოლოდ ამ სამი წონების ფალავნებმა იჭიდავეს, ჩემპიონატი კი რუსთა უპირატესობით წარიმართა - სამივე ფინალში ჰყავდათ მონაწილე, თუმცა მხოლოდ ორი ოქრო მოიპოვეს. საინტერესოა, რომ სამივე გამარჯვებული შარშანაც ჩემპიონი გახდა და წლეულს გვირგვინი შეინარჩუნეს.

დავით ხუციშვილმა პირველი ორი შეხვედრა ძირითად დროში მოიგო მასპინძელ **ანდრეი შიიკასთან** და სლოვაკ **დან პალინკასთან,** მეოთხედფინალში რუმინელ **მარიუს ლუკიან ატოფანისთან** და ბრინჯაოსთვის ბულგარელთა ოლიმპიურ პრიზიორ **კირილ ტერზიევთან** კი დამატებითში იმარჯვა. ის არ არის შემტევი სტილის მოჭიდავე, უფრო თავდაცვაზე აგებს თავის ტაქტიკას და ბევრი ქულების მოპოვება არ ახასიათებს. ამ ჩვეულებას არც ახლა ულალატა - ძირითადად მინიმალური სხვაობით იგებდა ხოლმე. თუმცა იყო ერთი გამონათებაც - ტერზიევთან ბოლო პერიოდში ქულებით სუფთად იმარჯვა. ის დაცვაში ტრადიციულად ძლიერია და ახლაც იშვიათად კარგავდა ქულებს. იქნებ მეტოქეთაგან ბულგარელის გარდა, ტიტულოვანი არავინ იყო (ოლიმპიური მედლის გარდა, ის ევროპის შარშანდელი ვიცე-ჩემპიონიცაა), თუმცა სადღეისოდ ყველა მათგანი თავისი ნაკრების ლიდერია.

ჩვენებურმა ერთადერთი შეხვედრა სომეხთა ნატურალიზებულ დაღესტნელ **მუსა მურთაზალიევთან**, რუსთა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ და ოლიმპიურ პრიზიორ **მახაჩ მურთაზალიევის** უმცროს ძმასთან წააგო - პირველი პერიოდი 0:1, მეორე კი 1:1-ზე ბოლო ქულის გამო დათმო. როგორც ვხედავთ, მას ბევრი ქულა წაგებულ ბრძოლაშიც არ დაუკარგავს, დაცვაში ასეთი ყურადღება კი დღევანდელი საჭიდაო სტილიდან გამომდინარე - როცა ბევრი ქულა ისედაც არ კეთდება და მთავარია, არ დაკარგო, წარმატების წინა პირობაა. ეს მედალი ახალგაზრდა ფალავანს საკუთარი ძალების რწმენას შემატებს, რაც მსოფლიოს ჩემპიონატზე აუცილებლად წაადგება. ერთი შეხედვით, ის არ არის იმდენად ძლიერი მოჭიდავე, ლეიბზე ქცევით მოგხიბლოს, არც თვალსასეირო ჭიდაობით გამოირჩევა და ხალიჩაზე ქარივით არ დაქრის, სუსტი წერტილებიც აქვს, მაგრამ ფაქტია - დასაყრდენი მოჭიდავეა და იმედებს ამართლებს. ვფიქრობთ, ეს მისი მყარი ნერვული სისტემის და შრომისმოყვარეობის დამსახურებაა.

ამ წონაში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, რუსთა აფხაზმა **დენის ცარგუშმა** გაიმარჯვა. არადა, ის არც განიხილებოდა საევროპო კანდიდატად და მწვრთნელებმა მხოლოდ სხვების სისუსტის გამო წაიყვანეს, იქ კი სიცხიანმა იჭიდავა. წინადღით 40 გრადუსი ჰქონია, გუშინ დილით კი თურმე ჭამაც უჭირდა. ამის მიუხედავად, მაინც გავიდა და ძალიან ძლიერადაც იასპარეზა, რისთვისაც მწვრთნელთაგან ეპითეტად მიიღო, სპორტული გმირობა გამოიჩინაო.

ზარქუა ევროპის შარშანდელი ვიცე-ჩემპიონია და მისი წლეულსაც გვეიმედებოდა. წილისყრამაც გაუმართლა და ჩემპიონატიც დამაიმედებლად დაიწყო - ფინელ **იუკა ილმარი ჰიიტიაინენს** ორ პერიოდის ჯამში 13:2 მოუგო. მართალია, არც მეტოქე იყო მაინცდამაინც ძლიერი, მაგრამ ამდენი ქულის დაგროვებაც საყურადღებოა. ზარქუამ განსაკუთრებით ძლიერად მეორე პერიოდი ჩაატარა, როცა 8:2 იმარჯვა. მოლოდინისამებრ, მისი მომდევნო მეტოქე მასპინძელი **მარსელ ევალდი** აღმოჩნდა. ევროპის ვერცხლის პრიზიორმა და შარშანდელმა ბრინჯაოსმედალოსანმა ევალდმა პირველ წრეში მართლაც იოლად დაამარცხა კვიპროსელი **სტელიოს მამა** და უკეთესი დღე არც ჩვენებურს აყარა - 4:1; 3:0 მოუგო. ანგარიშიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, ზარქუას შანსიც არ უნდა ჰქონოდა. ჩვენებურის იმედები საბოლოოდ ალბანელმა **საგიტ პრიზრენიმ** დაასამარა, როცა ნახევარფინალში ევალდს მოუგო და ზარქუას სანუგეშოსკენ მიმავალი გზაც გადაუკეტა. ალბანელი გუშინდელი დღის მთავარი სენსაცია გახდა - აბა, თავიდან მის ფინალისტობას ვინ იფიქრებდა, მან კი ევალდის შემდეგ უკრაინელი მსოფლიოს ბრინჯაოსმედალოსანი და ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი **ვასილ ფედორიშინიც** დაამარცხა. თავის მხრივ, უკრაინელმა პირველ წრეში აზერბაიჯანელ მსოფლიოს პრიზიორ **ტოგრულ ასკეროვს** მოუგო ორ პერიოდში. ეს ასკეროვი კარგად გემახსოვრებათ შარშანდელი ახალგაზრდული შეჯიბრებებიდან, რადგან ევროპის ფინალში **ვლადიმერ ხინჩეგაშვილს** (55) მოუგო, მაგრამ მსოფლიოზე ფინალში წააგო მასთან. სამაგიეროდ, ამის კომპენსაცია ორ თვეში უკვე უფროსთა მსოფლიოზე გააკეთა, სადაც ბრინჯაო მოიპოვა. წლეულს წონითი კატეგორიის შეცვლა გადაწყვიტა, თუმცა ჩანს, ადაპტაცია ჯერ ბოლომდე არ გაუვლია.

ამ წონაში ზედიზედ მეორედ იმარჯვა რუსთა ტუვინმა **ოპან სატმა** (სწორედ მასთან დამარცხდა შარშან ზარქუა), თუმცა გვეეჭვება, სექტემბერში მსოფლიოს ჩემპიონატზე ის ვიხილოთ - არა გვგონია, შიდა შესარჩევ კონკურენციაში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ **ბესიკ კუდუხოვს** აჯობოს.

ბელდუხ გავაშელიშვილმა პირველი ორი შეხვედრა დაძაბულ ბრძოლებში მოიგო ჩეხ **ვრატისლავ ჩოტასთან** და გერმანელ **კევინ შვაბესთან,** მერე კი დიდი სხვაობით დამარცხდა მოლდოველ **ნიკოლაი ცებანთან**. ამ წყვილში წაგებული რომ ტურნირს გამოეთიშებოდა, იმთავითვე ნათელი იყო - მოგებულს ნახევარფინალში დღესდღეობით დაუმარცხებელი აზერბაიჯანელთა ოსი **ხეტაგ გოზიუმოვი** ელოდა, ამათგან კი რომელიც უნდა შეხვედროდა, გოზიუმოვის დამარცხება ფანტასტიკის სფეროს ჰგავდა. მართლაც მან ცებანიც სხვათა მსგავსად იოლად დაამარცხა და ჩვენებურიც საბოლოოდ გამოეთიშა ჩემპიონატს.

გოზიუმოვმაც უპრობლემოდ დაიცვა ტიტული. ისე ჩანს, ის მსოფლიოს მომავალი პირველობის აშკარა ფავორიტია. ფინალში მან იოლად დაჯაბნა ახალგაზრდა თანამემამულე **ვლადისლავ ბაიცაევი**, რომელიც რუსეთის ნაკრებში მეორე ნომერიც არაა.

ჩემპიონატში დღეს დარჩენილი ოთხი წონის წარმომადგენლები იჭიდავებენ. ჩვენი ერთ-ერთი მთავარი იმედი ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (55) პირველ წრეში თავისუფალია, მერე კი ალბანელ **ფლორიან რეხას** ხვდება. ჩვენებური ბადის ბევრად ძლიერ ნახევარში მოხვდა, მაგრამ მაინც გაუმართლა. ბადის იქითა მხარესაა რუსთა ჩეჩენი ევროპის პრიზიორი **ჯამალ ოთარსულთანოვი**, მისი მთავარი კონკურენტები - ხინჩეგაშვილი, აზერბაიჯანელთა ავარელი ევროპის ჩემპიონი **მაჰმუდ მაგომედოვი** და თურქი **აჰმედ პეკერი** კი მეორე მხარეს მოხვდნენ. არა გვგონია, ეს მთლად ბრმა წილისყრის დამსახურება იყოს, მაგრამ ხინჩეგაშვილს გაუმართლა იმ მხრივ, რომ მაგომედოვი და პეკერი ნახევარფინალამდე ვერ შეხვდებიან. თან ისინი ჯერ ერთმანეთში იჭიდავებენ. მათ სიახლოვესაა კიდევ ერთი ანგარიშგასაწევი ფალავანი, ახალგაზრდებში უკრაინელთა ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ნიკოლა აივაზიანი**. ხინჩეგაშვილს ნახევარფინალამდე ვერც ის ხვდება.

ევროპის ვიცე-ჩემპიონი **კობა კაკალაძე** (66) პირველად უკრაინელ **დმიტრო მალენკოვს** ეჭიდავება, **დავით მარსაგიშვილი** (84) - მაკედონიელ **დეიან ბოგდანოვს**. **დავით მოძმანაშვილი** (120) თავიდან ბრიტანელ **მარეკ სოკერს** ეჭიდავება, ვისაც, წესით, კი უნდა მოუგოს, მეორე წრეში კი რუსთა კიდევ ერთ კუმიკს, ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონ **ბახტიარ ახმედოვსა** და ლატვიელ **იგორ კოსტინსს** შორის მოგებულს შეხვდება. მჩხიბაობის დიდი ნიჭი არ უნდა იმის გამოცნობას, რომ ამ ორთაბრძოლას ახმედოვი მოიგებს.

**ირაკლი თავაძე**

### კვარცხლბეკი

**60 კგ.** 1. ოპან სატი (რუსეთი), 2. საგიტ პრიზრენი (ალბანეთი), 3. ანატოლი გუიდეა (ბულგარეთი), ვასილ ფედორიშინი (უკრაინა).

**74 კგ.** 1. დენის ცარგუში (რუსეთი), 2. მუსა მურთაზალიევი (სომხეთი), 3. **დავით ხუციშვილი (საქართველო)**, გაბორ ჰატოში (უნგრეთი).

**96 კგ.** 1. ხეტაგ გოზიუმოვი (აზერბაიჯანი), 2. ვლადისლავ ბაიცაევი (რუსეთი), 3. პავლო ოლეინიკი (უკრაინა), ნიკოლაი ცებანი (მოლდოვა).



● წყალბურთი




## ალექსანდრე ბითაძე

# ფავორიტებს ვალში არ დავრჩებით


დრაგან ანდრიჩი

გუშინ საღამოს „ოლიმპიკის" აუზს საბერძნეთის წყალბურთელთა ნაკრები ეწვია, რომელიც დღეს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში საქართველოს ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. ელადელებმა სერბი დამრიგებლის, ლოს ანჟელესისა და სეულის ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულისა და მსოფლიოს ჩემპიონის **დრაგან ანდრიჩის** ხელმძღვანელობით ივარჯიშეს.

სერბი მწვრთნელი, როგორც თვითონ გვითხრა, თბილისის საერთაშორისო ტურნირებზე ორჯერ თუ სამჯერ არის ნამყოფი. ცნობისთვის: ანდრიჩმა და მისმა თანაგუნდელებმა, უკვე ლოს ანჟელესის ოლიმპიურმა ჩემპიონებმა, 1985 წელს თბილისის ტურნირზე საქართველოს ნაკრებთან წააგეს და მესამე ადგილი დაიკავეს. მასპინძლებმა მაშინ საბჭოეთის დიდ გუნდთან დათმეს ფინალური პაექრობა და მეორე ადგილზე გავიდნენ. იუგოსლავიელები თბილისური ბატალიების შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატზე გაემგზავრნენ და იქ ყველას აჯობეს.

აი, ასეთი სახელოვანი წყალბურთელის თავკაცობით იმაღლებენ ოსტატობას ბერძნები მეშვიდე წელია (მანამდე ანდრიჩი კატალონიაში მუშაობდა მწვრთნელად და იქაურ გუნდს ევროლიგა მოაგებინა).

- ბოლო ერთი თვეა, მსოფლიო ლიგაში ვმონაწილეობთ, ნაკრების წევრები, პარალელურად, ეროვნულ ჩემპიონატშიც გამოდიან. ასე რომ, სათამაშო პრაქტიკის უქონლობას არ ვუჩივით, - გვითხრა გუშინდელი ვარჯიშის შემდეგ დრაგან ანდრიჩმა. - ვეცდებით, თბილისში შემტევი წყალბურთი ვითამაშოთ და გულშემატკივრებს ლამაზი ორთაბრძოლა ვაჩვენოთ.

**- საქართველოს ნაკრებზე რა იცით?**

- ის, რომ დიდ ბრიტანეთს 9:3 მოუგო შინ. ნანახი მაქვს ჩომახიძისა და ნატურალიზებული წყალბურთელების თამაში. დანარჩენებზე ვერაფერს გეტყვით. რა მოხდება? ამას 30 მარტის პაექრობა გვიჩვენებს...

სტუმართა მოთელვას თვალს ადევნებდა საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი, ყოფილი წყალბურთელი **ალექსანდრე ბითაძე**:

- მას შემდეგ, რაც საბერძნეთის ნაკრებს ანდრიჩი ჩაუდგა ჩათავეში, ამ გუნდმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია საერთაშორისო სარბიელზე: 2004 წელს ათენის ოლიმპიადაზე მეოთხე ადგილი დაიკავა, მომდევნო წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრინჯაო დაიმსახურა. ბოლო ექვსი წელიწადია, კონტინენტის პირველობებზე იშვიათად სცილდება საუკეთესო ექვსეულს. ერთი სიტყვით, საწყალბურთო ელიტის წარმომადგენელია. ეს დაახლოებით იგივეა, რაც ინგლისი, შოტლანდია ან საფრანგეთი ევროპის რაგბიში. სტუმრებს არა მარტო ჯგუფის, არამედ მთლიანად ჩემპიონატის ფავორიტებად მიიჩნევენ. ამის მიუხედავად, არაფერს დავთმობთ. ჩვენი ბიჭებიც კარგად არიან მომზადებული და ყველაფერს გაიღებენ წარმატების მისაღწევად. ჯგუფიდან ორი გუნდი გადის მომდევნო ეტაპზე. ბერძნებთან შეხვედრისას ნებისმიერი ანგარიშის შემთხვევაშიც, შესარჩევი ჯგუფის მე-2 საგზურის მოპოვება არ უნდა გაგვიჭირდეს. მით უმეტეს, რომ პირველი წრის პაექრობაში ინგლისელებს შინ 9:3 ვძლიეთ. 2 ივლისს ბრიტანელებს მანჩესტერში ვეთამაშებით. პლეი ოფში გასვლის შემთხვევაში ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად ორ ორთაბრძოლას გავმართავთ - 1 და 15 ოქტომბერს, თუმცა, ეს შორეული გეგმებია. მთავარია, 30 მარტს ბერძნებს ვაჩვენოთ, რისი შემძლენი ვართ, - გვითხრა ფედერაციის პრეზიდენტმა.

დღეს „ოლიმპიკში" მატჩი, როგორც გაუწყეთ, 21 საათზე დაიწყება. დელეგატია ბულგარელი **ანდრეი კონსტანტინოვი**, მსაჯები - **გერვინ რეინინკი** (გერმანია) და **გემ ფალიკრაჩი** (თურქეთი).

**E ჯგუფში** პირველი წრის შემდეგ ასეთი მდგომარეობაა:

საქართველო-დიდი ბრიტანეთი 9:3, დიდი ბრიტანეთი-საბერძნეთი 2:13.

საბერძნეთი-3 (13:2), საქართველო-3 (9:3), დიდი ბრიტანეთი - 0 (5:22) ქულა.

დანარჩენ ჯგუფებში დღეს ითამაშებენ:

**A ჯგუფი.** პოლონეთი-თურქეთი (პირველი წრის შეხვედრები. მალტა-პოლონეთი 7:3, თურქეთი-მალტა 13:3).

**B ჯგუფი.** გერმანია-ბულგარეთი, პორტუგალია-სლოვენია (პორტუგალია-გერმანია 7:15, სლოვენია-ბულგარეთი 31:5; ბულგარეთი-პორტუგალია 2:12, გერმანია-სლოვენია 21:11).

**C ჯგუფი.** ბელარუსი-მაკედონია (ესპანეთი-ბელარუსი 15:3, მაკედონია-ესპანეთი 6:10).

**D ჯგუფი.** რუსეთი-საფრანგეთი (საფრანგეთი-შვეიცარია 33:2, რუსეთი-შვეიცარია 23:4).

**F ჯგუფი.** უკრაინა-რუმინეთი, ისრაელი სლოვაკეთი (სლოვაკეთი-უკრაინა 18:9; ისრაელი-რუმინეთი 4:14; უკრაინა-ისრაელი 8:0, რუმინეთი-სლოვაკეთი 8:5).

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

● ჩოგბურთი

# გორგოძე დარჩა

**ოქსანა კალაშნიკოვამ** (196) სეზონი წარუმატებლად დაიწყო - საქართველოს მეორე ჩოგანი ერთეულთა თანრიგში სუსტად თამაშობს. ჩინურ ვენშანში (50 ათასი დოლარი) ჩვენებურმა პირველივე წრეში დათმო ხორვატ **ანი მიაჩიკასთან** (389) - 6:7 (2), 2:6. წყვილთა ბადეში ოქსანა უკრაინელ **ვერონიკა კაპშაისთან** (324) ერთად ასპარეზობს.

ანთალიის საერთაშორისო ტურნირში (10 ათასი დოლარი) ძირითად ბადეში ორი ქართველი ასპარეზობდა. მე-4 ნომრად განთესილმა **ეკა გორგოძემ** (552) პირველი თამაში ბულგარელ **დესისლავა მლადენოვას** (865) მოუგო - 6:1, 6:2. საკვალიფიკაციო ბადის გამარჯვებულმა **ანი გოგვაძემ** კი ავსტრიელ **დენის მაქსლთან** დათმო - 1:6, 0:6.


ეკა გორგოძე

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ყურადღება, დოპინგი!

WWW.GADA.GE

WORLD ANTI-DOPING AGENCY

სპეციალური გამოშვება №1

საქართველოს ეროვნული ანტი-დოპინგური სააგენტო

## იუნესკოს სპორტში დოპინგის გამოყენების აღმოფხვრისა და გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის მხარდაჭერით

# ანტიდოპინგი და ისტორია

### სპორტული შედეგების ხელოვნურად გაზრდის ხელშემწყობ ფარმაკოლოგიურ საშუალებებს და მეთოდებს ეწოდება დოპინგი

სიტყვა "დოპინგი" სავარაუდოდ წარმოიშვა ჰოლანდიური სიტყვა "დოპ"-ისგან, რაც არის ალკოჰოლური სასმლის სახელი, რომელსაც აკეთებდნენ ყურძნის კანისაგან. ზულუს ტომის მეომრები მას იღებდნენ, რათა უფრო ვაჟკაცურად ებრძოლათ. ტერმინის გამოყენება დაიწყეს მე-20 საუკუნეში, თავდაპირველად დოღის ცხენებისათვის არალეგალურად მედიკამენტების (ნარკოტიკების) მიცემის გამოსახატად.

- **უძველეს** დროში ბერძენი ათლეტები მიმართავდნენ სპეციალურ დიეტებს და მასტიმულირებელ წამლებს.
- **სტრიქნინს,** კოკაინს, ალკოჰოლს და კოფეინს ხშირად იყენებდნენ ველომრბოლელები მე-19 საუკუნეში.
- **1904 წელს** თომას ჰიქსი, მარათონის დროს იღებდა უმ კვერცხებს, სტრიქნინის ინიექციებს და ბრენდს.
- **1920 წელს** ნათელი გახდა, რომ აუცილებელი იყო სპორტული შედეგების გაუმჯობესების მიზნით მედიკამენტების გამოყენების აკრძალვა.
- **დანიელი** ველომრბოლელის კნუდ ენემარკ იენსენის სიკვდილმა 1960 წელს რომის ოლიმპიურ თამაშებზე გაზარდა ზეწოლა სპორტის მესვეურებზე, რომ განეხილათ დოპინგის ტესტირების საკითხი
- **1986 წელს** აიკრძალა სისხლისა და მისი შემცველების გადასხმა.
- **2000 წელს** სიდნეიში სისხლში შეძლეს ერითროპოეტინის დადასტურება.

## პირველი, პირველმა, პირველად...

- **1966 წელს** ველოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ და ფიფამ ჩაატარეს **პირველი** დოპინგტესტები მათ მსოფლიოს ჩემპიონატებზე.
- **1967 წელს** სოკ-მა გამოაქვეყნა აკრძალული პრეპარატების **პირველი** სია.
- **1928 წელს** მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ **პირველმა** აკრძალა შეჯიბრების დროს სტიმულატორების გამოყენება. რომელსაც მალე მიჰბაძეს სხვა ფედერაციებმა.
- **გრენობლის** ზამთრისა და მეხიკოს ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე **პირველად** ჩაუტარდათ ტესტირება ათლეტებს.
- **1999 წლის** თებერვალში სოკ-მა ჩაატარა **პირველი** კონფერენცია სპორტში დოპინგის გამოყენებს შესახებ. კონფერენციის გადაწყვეტილების შესაბამისად იმავე წლის ნოემბერში შეიქმნა მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო.

## მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო

ოლიმპიური რეგიონების წარმომადგენლები: ამერიკა 4 აფრიკა - 3 ევროპა - 5 აზია – 4 ოკეანეა 2.

**მიზანი:** - დაიცვას სპორტსმენების ფუნდამენტალური უფლება მიიღონ მონაწილეობა შეჯიბრებებში, რომლებიც თავისუფალია დოპინგისაგან და ამ მიზნით პროპაგანდა გაუწიონ ჯანმრთელობას, სამართლიანობას და თანასწორუფლებიანობას ყველა სპორტსმენისათვის, აგრეთვე შექმნას შეთანხმებული, კოორდინირებული და ეფექტური ანტიდოპინგური პროგრამები,

როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ დონეზე, რათა გამოააშკარავოს, შეაჩეროს და თავიდან აიცილოს დოპინგის მიღების შემთხვევები.

## მსოფლიო ანტიდოპინგური პროგრამა

მსოფლიო ანტიდოპინგური პროგრამა შეიცავს ყველა აუცილებელ დოკუმენტს, საერთაშორისო და ნაციონალური ანტიდოპინგური პროგრამების, საუკეთესო მეთოდების ჰარმონიზაციისა და დანერგვის უზრუნველსაყოფად. მისი ძირითადი დოკუმენტებია:

დონე 1. კოდექსი

დონე 2. საერთაშორისო სტანდარტები

დონე 3. მუშაობის საუკეთესო მეთოდების მოდელები.

## საქართველოს ეროვნული ანტიდოპინგური სააგენტო

**2001 წლის ივლისში** საქართველო მიუერთდა ევროსაბჭოს ანტიდოპინგურ კონვენციას, რომელიც 2004 წელს რატიფიცირებული იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ.

აღნიშნული კონვენციის მონიტორინგის ჯგუფის წევრი 2002 წლიდან ხმის უფლებით არის საქართველოს წარმომადგენელი **თამაზ თევზაძე.**

**2003 წლის მარტში** საქართველო მიუერთდა მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს დოპინგის საწინააღმდეგო კოდექსს.



ტესტირებაზე

**2006 წელს** დაფუძნდა კავშირი "საქართველოს ეროვნული ანტიდოპინგური სააგენტო".

საქართველოს ეროვნულმა ანტი - დოპინგურმა სააგენტომ (სეადო) მსოფლიო ანტიდოპინგურ ორგანიზაციაში 2009 წლის იანვარში წარადგინა 2009 წლის მსოფლიო ანტიდოპინგურ კოდექსთან ადაპტირებული "ანტიდოპინგური წესები საქართველოსათვის", რომლის მიღების საფუძველზეც მსოფლიო ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ "სეადო" აღიარა, როგორც ნაციონალური ანტიდოპინგური ორგანიზაცია, რომელსაც აქვს უფლება შეადგინოს და განახორციელოს საქართველოში ანტი – დოპინგური პროგრამა.

საქართველოს ეროვნული ანტი - დოპინგური სააგენტო 2009 წლის აპრილიდან გაერთიანებულია ნაციონალური ანტიდოპინგური ორგანიზაციების ასოციაციაში ANADO-ADS.

2009 წლის 28 მაისს ნაციონალური ანტიდოპინგური ორგანიზაციების ასოციაციასა და საქართველოს ეროვნული ანტიდოპინგურ სააგენტოს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება.

საქართველოს ანტიდოპინგურ პროგრამას, რომელიც მოიცავს საქართველოში ჩატარებული სპორტული ღონისძიებების დროს სპორტსმენების დოპინგზე გამოკვლევებს, საგანმანათლებლო და საგამომცემლო საქმიანობას და დოპინგისაგან თავისუფალი სპორტული ღონისძიებების ჩატარების პროპაგანდას, საქართველოს ეროვნული ანტიდოპინგური სააგენტო ახორციელებს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობისა და დაფინანსების საფუძველზე.

საქართველოს ეროვნული ანტიდოპინგური სააგენტოს მომზადებული ჰყავს კვალიფიციური დოპინგოფიცრები (4 მამაკაცი და 3 ქალი), რომელთა მეშვეობითაც ატარებს ტესტირებებს არა მარტო საქართველოში, არამედ სომხეთში, აზერბაიჯანსა და თურქეთში.

- **2009 წლის** ოქტომბერში საქართველოს პრეზიდენტ **მიხეილ სააკაშვილის** განკარგულებით მიუერთდა იუნესკოს კონვენციას.
- **2010 წელს** საქართველოს ეროვნულმა ანტიდოპინგურმა სააგენტომ მოიპოვა იუნესკოს "სპორტში დოპინგის აღმოფხვრის ხელშემწყობი" ფონდის გრანტი პროექტისათვის "საგანმანათლებლო, პრევენციული და საინფორმაციო ანტიდოპინგური პროგრამა საქართველოში".

**პროექტის მიზანია:** ხელმისაწვდომი გავხადოთ სპორტსმენებისათვის, მწვრთნელებისათვის, სპორტსმენთა დამხმარე პერსონალისათვის, სპორტის ნაციონალური ფედერაციებისა და სპორტული მედიცინის წარმომადგენლებისათვის ინფორმაცია დოპინგის, ადამიანის ჯანმრთელობაზე მისი ნეგატიური ზემოქმედების, სპორტში მისი გამოყენების წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების და მის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების შესახებ.

**პროგრამის შესრულება საშუალებას იძლევა:** მიზნობრივ ჯგუფებში მინიმუმამდე დავიდეს დოპინგის გამოყენება, დავიცვათ სპორტსმენის ფუნდამენტალური უფლება მიიღონ მონაწილეობა შეჯიბრებებში, რომლებიც თავისუფალია დოპინგისაგან და ამ მიზნით პროპაგანდა გავუწიოთ ჯანმრთელობას, სამართლიანობას და თანასწორუფლებიანობას ყველა სპორტსმენისათვის.



საქმეში სამინისტრო ჩაერთო

**პროგრამის შესრულებისათვის საჭიროა:** მსოფლიო ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ გამოცემული ძირითადი დოკუმენტების (ანტიდოპინგური კოდექსი, ტესტირების საერთაშორისო სტანდარტი, ანტიდოპინგურ ადმინისტრირებისა და მონიტორინგის სისტემა, ანტიდოპინგური წესები ნაციონალური ანტიდოპინგური ორგანიზაციებისათვის და აკრძალული პრეპარატების სია თარგმნა, მომზადება და გამოცემა.

ანტიდოპინგური საგანმანათლებლო მასალების თარგმნა და სემინარების მომზადება, ანტიდოპინგურ თემატიკაზე ბროშურებისა და სამახსოვროების მომზადება, დაბეჭდვა-დარიგება.

სპორტსმენებისათვის, მწვრთნელებისათვის, სპორტსმენთა დამხმარე პერსონალისათვის, სპორტის ნაციონალური ფედერაციებისა და სპორტული მედიცინის წარმომადგენლებისათვის ლექციასემინარების ჩატარება.

ჩატარდება 24 სემინარი, 8 თბილისში, 16 რეგიონებში - მათ შორისაა: ქუთაისი, ბათუმი, ოზურგეთი, ფოთი, ზუგდიდი, გორი, დუშეთი, რუსთავი, თელავი

ელექტრონული და ბეჭდვითი მედიისათვის ანტიდოპინგური მასალების მომზადება და დოპინგისაგან თავისუფალი სპორტული ღონისძიებების ჩატარების პროპაგანდა. გაზეთი "ლელო" ყოველთვიური ჩანართი.

ეროვნული ანტიდოპინგური სააგენტოს ვებ.გვერდის შექმნა.

I არხი გადაცემა არენა. თემა: ყურადღება, დოპინგი!

**მიზნობრივი ჯგუფები:** საქართველოში ეროვნულ ჩემპიონატებში და ეროვნულ ნაკრებებში მონაწილე სპორტსმენები, მწვრთნელები, სპორტსმენთა დამხმარე პერსონალი, სპორტული მედიცინის და სპორტის ნაციონალური ფედერაციების წარმომადგენლები, ახალგაზრდა თაობა, რომელთა მიზანია წარმატებული სპორტსმენობა.

## ტესტირების საერთაშორისო სტანდარტი – დოპინგკონტროლის პროცედურები

ტესტირების საერთაშორისო სტანდარტი პირველად მიღებულ იქნა 2003 წელს და ძალაში შევიდა 2004-ში. ამ ვერსიაში შედის ცვლილებები ტესტირების საერთაშორისო სტანდარტისათვის, რომელიც დამტკიცებულია მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 2009 წლის 1 იანვარს. ტესტირების საერთაშორისო სტანდარტის ახალი ვერსია ძალაშია 2009 წლის 1 იანვრიდან.

ტესტირების საერთაშორისო სტანდარტის ძირითადი მიზანია ეფექტური ტესტირების დაგეგმვა, როგორც საშეჯიბრო, ასევე არასაშეჯიბრო პერიოდში და აღებული სინჯის იდენტურობისა და ხელშეუხებლობის შენარჩუნება სპორტსმენის შეტყობინების ადგილიდან იმ ლაბორატორიამდე, სადაც მოხდება ანალიზისათვის სინჯის ტრანსპორტირება.

ტესტირების საერთაშორისო სტანდარტში შედის: ტესტირების განაწილების დაგეგმვა, სპორტსმენისათვის შეტყობინება, სინჯის ასაღებად მომზადება, უსაფრთხოება/ტესტის შემდგომი ადმინისტრაცია და სინჯის ტრანსპორტირება.

## შეკითხვები, პასუხები...

**- რას ნიშნავს საშეჯიბრო ტესტი?**

- საშეჯიბრო ტესტი ნიშნავს ტესტს, რომლის დროსაც სპორტსმენი არის შერჩეული ტესტირებისათვის კონკრეტულ შეჯიბრებასთან დაკავშირებით (მაგალითად, ეროვნული ჩემპიონატები, ოლიმპიური თამაშები, მსოფლიო თასი) სპორტსმენები შეირჩევიან ტესტირებისათვის შესაბამისი საერთაშორისო ფედერაციის ან შეჯიბრების მომწყობი ორგანოს წესების შესაბამისად. ეს კრიტერიუმები შეიძლება გულისხმობდეს შეჯიბრებაში რომელიმე წამყვანი ადგილის დაკავებას, შემთხვევით შერჩევას ან მიზნობრივ ტესტირებას.

**- როდის ხორციელდება არასაშეჯიბრო ტესტი?**

არასაშეჯიბრო ტესტირება ხორციელდება მაშინ, როდესაც ხდება ტესტირება შეჯიბრებისგან დამოუკიდებლად და იგი შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერ დროსა და ადგილას სპორტსმენისათვის წინასწარი შეტყობინების გარეშე. ეს ნიშნავს, რომ სპორტსმენს შეიძლება ჩაუტარდეს ტესტირება სახლში, სავარჯიშო ადგილას, სამუშაო ან ნებისმიერ სხვა ადგილას, სადაც მისი პოვნა შეიძლება. ანტიდოპინგური ორგანიზაციები იღებენ გადაწყვეტილებას, თუ სად უნდა მოხდეს სპორტსმენის ტესტირება.

®







გვერდი მომზადებულია ათენის ოლიმპიური აკადემიის ასპირანტის, თორნიკე გაჩეჩილაძის კონცეფციით

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

ევრობასკეტი 2011 დარჩა 154 დღე

# ლიტვა, ლატვია, ესტონეთი...

## ნაკრები 12 საკონტროლო მატჩს გამართავს



2008 წელი. ავსტრია საქართველო. ბურთით ნიკა ცქიტიშვილი



2009 წელი. ჰოლანდია-საქართველო

საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ საბოლოოდ დაადგინა ეროვნული ნაკრების ევრობასკეტისთვის მოსამზადებელი გეგმა. მოდი, ჯერ საკონტროლო მატჩების სრულ განრიგს გავეცნოთ, დასკვნები და კომენტარები მერე მოვისმინოთ.

**24 ივლისი-4 აგვისტო:** საწვრთნელი შეკრება შტაინბრუნში (ავსტრია).

**30 და 31 ივლისი:** საერთაშორისო ამხანაგური მატჩები, ავსტრია-საქართველო.

**5-7 აგვისტო:** საერთაშორისო ტურნირი ტალინში (ესტონეთი): საქართველო, ესტონეთი, შვედეთი, NYAA-ს კლუბი.

**8-11 აგვისტო:** საწვრთნელი შეკრება შტაინბრუნში (ავსტრია).

**12-14 აგვისტო:** საერთაშორისო ტურნირი ალმერეში (ჰოლანდია): საქართველო, ჰოლანდია, ისრაელი, NYAA-ს კლუბი.

**15-20 აგვისტო:** საწვრთნელი შეკრება თბილისში

**16 აგვისტო:** საერთაშორისო ამხანაგური მატჩი - საქართველო-ისრაელი (თბილისის სპორტის სასახლე).

**22 აგვისტო:** საერთაშორისო ამხანაგური მატჩი - ლატვია-საქართველო (რიგა, ლატვია).

**24 აგვისტო:** საერთაშორისო ამხანაგური მატჩი - ლატვია-საქართველო (შაულიაი, ლიტვა).

**27 აგვისტო:** საერთაშორისო ამხანაგური მატჩი - ლიტვა-საქართველო (ვილნიუსი, ლიტვა).

**28-30 აგვისტო:** საწვრთნელი შეკრება კლაიპედაში (ლიტვა).

■ ■ ■

მოსამზადებელი გეგმის გაცნობისას თვალში საცემი ორი ამბავია. პირველი - თბილისის მერიის თასის არგამართვა და მეორე - შეკრების დასკვნითი ეტაპის ბალტიისპირეთში ჩატარება.

კალათბურთის ფედერაციისა და თბილისის მერიის ინიციატივით 2010 წელს საფუძველი ჩაეყარა მერიის თასის გათამაშებას, რომელშიც შარშან ქართველების გარდა უკრაინა, ბელარუსი და რუმინეთი თამაშობდნენ. ამ ტურნირის გამართვა წელსაც იგეგმებოდა, მაგრამ ვერ მოხერხდა, რის მიზეზზეც კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ბესიკ ლიპარტელიანმა** ილაპარაკა:

*- წინასწარ შეთანხმებულები ვიყავით უკრაინასთან და პოლონეთთან. შეჯიბრებაში მონაწილეობის სურვილს ისრაელის ნაკრებიც გამოთქვამდა. თუმცა, რადგან უკრაინა ჩვენს ჯგუფში მოხვდა, მასთან ამხანაგურად დაპირისპირება მიზანშეუწონლად მივიჩნიეთ. პოლონეთის კალათბურთის ფედერაციამ ბოლო მომენტში მოგვიბოდიშა - თბილისში ვერ ჩამოვალთო. პოლონეთის ნაკრებში მთავარი მწვრთნელის პოსტი ჯერაც ვაკანტურია. ისრაელის ნაკრების თბილისში სათამაშოდ მზადყოფნას ისიც ადასტურებს, რომ ჰოლანდიიდან ორივე ნაკრები ერთად გამოემგზავრება საქართველოში და სპორტის სასახლეში 16 აგვისტოს ამხანაგურ მატჩს გამართავს. შეიძლებოდა თბილისის ტურნირისთვის B დივიზიონელების (თუნდაც ბელარუსის) მოწვევაც, მაგრამ ქვედალიგელები ოფიციალურ მატჩებს შედარებით ადრე იწყებენ...*

საქართველოს ნაკრები 12 მატჩს გამართავს, რაც მოსამზადებელ ციკლში სარეკორდო მაჩვენებელია. იგორ კოკოშკოვის კრებული ეთამაშება A დივიზიონის სამ, B ლიგის ოთხ და ამერიკის კოლეჯების ლიგის ორ გუნდს. ყველაზე ძლიერი მეტოქე ევროპის ჩემპიონატის მასპინძელი ლიტვაა, რომელსაც ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე სამი დღით ადრე ვხვდებით და ბოლო რეპეტიცია ნამდვილად გენერალური გამოვა. ლიტვა ერთადერთი ევროგრანდია, რომელსაც საკვალიფიკაციო ეტაპზე „დავეჭიდებით". საინტერესოა, თუ იყო ლიტვის დარ სხვა გუნდებთან თამაშის ვარიანტი...

*- იტალიელებმა, გერმანელებმა და პოლონელებმა დაგვპატიჟეს, - გვითხრა ფედერაციის პრეზიდენტმა, - ამ ქვეყნებში გასამართ საერთაშორისო ტურნირებზე ბევრი გრანდი ჩადის. იყო სხვა ვარიანტებიც, მაგრამ ნაკრების მწვრთნელ იგორ კოკოშკოვთან შეთანხმებით რამდენიმე ტურნირზე უარი ვთქვით, რადგან დასკვნითი ეტაპის გამართვა ევროპის ჩემპიონატის მასპინძელ ლიტვასთან მიახლოებულ კლიმატურ ზონაში გვსურდა. 20 აგვისტოს ლიტვის მეზობელ ლატვიაში ჩავალთ, 22-ში რიგაში ვითამაშებთ. შემდეგ ლატვიელებთან ერთად ლიტვის ქალაქ შაულიაიში გავემგზავრებით და მეორე ამხანაგურ მატჩს იქ ჩავატარებთ. ბოლო შეხვედრა კი ლიტველებთან ვილნიუსში იგეგმება (27 აგვისტოს), საიდანაც საქართველოს ნაკრები კლაიპედაში გადავა. ევრობასკეტზე D ჯგუფის ყველა შეხვედრა სწორედ კლაიპედაში იგეგმება. ამასთან, ისიც მნიშვნელოვანია, რომ ბალტიისპირეთში მანამდეც ჩავალთ: 5-7 აგვისტოს ესტონეთის საერთაშორისო ტურნირში მივიღებთ მონაწილეობას. ვფიქრობ, ოფიციალურ მატჩებამდე კალათბურთელები აკლიმატიზაციას სრულყოფილად გაივლიან.*

ვფიქრობთ, გეგმასთან დაკავშირებით ყველა კითხვაზე პასუხი ამომწურავია. რაც შეეხება შეკრებას, ბევრისთვის საინტერესოა, საქართველოს ნაკრები პირდაპირ ავსტრიაში შეიკრიბება, თუ იგორ კოკოშკოვი შემადგენლობის შერჩევის მიზნით თბილისშიც ჩაატარებს წინასწარ შეკრებას.

*- აქამდე იგორ კოკოშკოვთან მოსამზადებელ გეგმებს, მატჩების განრიგს ვადგენდით. ეს საკითხი უკვე მოგვარებულია. ახლა უშუალოდ მწვრთნელის გეგმებზე დავილაპარაკებთ. აპრილის ბოლოსთვის კიდევ არაერთი ნიუანსი დადგინდება და ისიც გაირკვევა იგორ კოკოშკოვი ავსტრიულ შეკრებამდე თბილისში ჩამოვა, თუ გაფართოებულ შემადგენლობას ავსტრიაში იახლებს. შესაძლოა, მან შტაინბურნში 18 კალათბურთელი იხმოს, ისინი საკონტროლო მატჩებში შეაფასოს და ნელ-ნელა ოპტიმალური შემადგენლობა შეარჩიოს. ევრობასკეტზე 14 კალათბურთელი წავა, საიდანაც ყოველი მატჩისთვის თორმეტეული შეირჩევა.*

შეიძლება, ჯერ ნაადრევია, მაგრამ მაინც საინტერესოა, ნატურალიზებული კალათბურთელებიდან 14-კაციან სიაში რომელი, ან რამდენი მოხვდება.

*- ეს იგორ კოკოშკოვს ჩვენც ვკითხეთ, რადგან შემადგენლობის შერჩევა მისი გადასაწყვეტია. ტორინ გრინი, ტაირონ ელისი და ქუინტონ ჰოსლი... ამ სამი ნატურალიზებულიდან რამდენი ითამაშებს ნაკრებში და ვინ იქნებიან, იგორ კოკოშკოვი აპრილში გვეტყვის. რაც შეეხება ნაკრების სხვა წევრებს, მოსამზადებელი ციკლის გეგმა ყველას გავუგზავნეთ,* - დასძინა ბესიკ ლიპარტელიანმა.

გამოხმაურება

# მანუ: კანტუ კიდევ მოუმატებს



იტალიის ჩემპიონატის 23-ე ტურში „კანტუმ" „დინამო სისარისთან" სტუმრად 76:74 გაიმარჯვა. ამ მოგებით კანტუელებმა მეორე პოზიცია გაიმყარეს - 17 გამარჯვება აქვთ და ერთი მოგებით უსწრებენ „მილანს". მართალია, მილანელებს ერთით ნაკლები შეხვედრა აქვთ ჩატარებული, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, გამოტოვებული თამაში მოიგონ, რადგან პირველადგილოსან „მონტეპასკის" ხვდებიან. ასეა თუ ისე, რეგულარული ეტაპის დასრულებამდე 7 ტურით ადრე „კანტუ" მეორე ადგილზეა და თუ ასე გააგრძელა, ევროლიგის ზონაში მოხვედრაზეც სერიოზულ განაცხადს გააკეთებს.

„სისარისთან" გამარჯვებას გამოეხმაურა იტალიური პრესა. გამოცემა „ლაპროვინციაში" გამოქვეყნდა მწვრთნელის, **ანდრეა ტრინჩიერისა** და **მანუჩარ მარკოიშვილის** ნააზრევი.

„მწვრთნელი მეოთხე პერიოდში ბოლომდე ენდო ქართველ მანუჩარ მარკოიშვილს, რომელმაც გადამწყვეტ მომენტში ორი სამქულიანი ჩააგდო. მან 10-დან 8 ქულა მეოთხე რაუნდში მოაგროვა. ქართველის თამაშს ანდრეა ტრინჩიერი გამოეხმაურა:

*- მანუ სტაბილური კალათბურთელია. ამიტომ, მას გადამწყვეტ მომენტში ყოველთვის თავისუფლად ვენდობი.*

მწვრთნელმა სხვა მოთამაშეებზეც ილაპარაკა, თუმცა ჩვენთვის გაცილებით საინტერესო მანუს კომენტარია:

*- „სისარის" ძლევა ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო. მეტოქის გულშემატკივრების წინაშე თამაში რთული იყო, თუმცა „სისარის" მეტად კორექტული ქომაგი ჰყოლია. პირველ ტაიმში სათანადოდ კონცენტრირება გაგვიჭირდა, თუმცა მეორე ნახევრიდან მდგომარეობა გამოვასწორეთ (განსაკუთრებით დაცვაში), თამაშის რიტმიც კარგად ვიგრძენით, რაც შეტევაში გარჯაზე დადებითად აისახა და დამსახურებულად მოვიგეთ.*

იტალიელმა ჟურნალისტებმა მანუჩარს წარმატების მთავარ მიზეზზეც ჰკითხა...

*- ბოლო ტყორცნა მაარტენ ლეუნენმა განსაკუთრებული ცივსისხლიანობით ისროლა. მოგებაც ამან განაპირობა,* - განმარტა მანუმ, რომელმაც სატურნირო მდგომარეობაზეც ილაპარაკა:

*- ნამდვილად არ ვუყურებთ უშუალო კონკურენტის „მილანის" შედეგებს - მხოლოდ საკუთარ თამაშზე ვართ კონცენტრირებულნი, რადგან ვიცით, რომ მეორე ადგილზე გასვლა, პირველ რიგში, სწორედ ჩვენზეა დამოკიდებული. მთავარი კი ის არის, რომ „კანტუს" ოპტიმალური ფორმისთვის არ მიუღწევია - აქტიურად ვმუშაობთ და ვიმედოვნებთ, რომ პლეი ოფებამდე კიდევ მოვუმატებთ.*

დავძენთ, რომ მეორე ადგილზე გასვლა „კანტუს" დიდ ფორას მისცემს: მეოთხედფინალშიც და ნახევარფინალშიც მოედნის უპირატესობას დაუბევებს. შარშან, მანუს გუნდი მეოთხე იყო, მეოთხედფინალში **ვიქტორ სანიკიძის** „ვირტუსს" აჯობა, ხოლო ნახევარფინალში ევროგრანდ „მონტეპასკის" გადაეყარა და ფინალში ვერ შეაღწია. ამჯერად, რეგულარულ ეტაპზე მეორე ადგილზე გასვლა „კანტუს" ფინალამდე „მონტეპასკისაც" ააცილებს.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ლეგიონერები

# სამი პლეი ოფშია, ორი იბრძვის

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონში გამოტოვებული შეხვერები გაიმართა. თუმცა, სხვადასხვა მიზეზის გამო ყველა მატჩის ჩატარება მაინც ვერ მოხერხდა. მაგალითად, C ჯგუფის ერთ-ერთ ლიდერ **თედო ზიბზიბაძის, ალექსანდრე მარგველაშვილის, ირაკლი ნინიძისა** და **დავით დადუნაშვილის** „პერიგოს" დანინაურებულ „ლიმოჟზე" ერთი თამაშით ნაკლები აქვს.

A ჯგუფში გათამაშების ლიდერმა **შალვა სუთიაშვილის, სანდრო ესაკიას, დავით აშვეთიასა** და **არჩილ კობაურის** „მასიმ" შინ გაანადგურა **დიმა ხოჭოლავას** „სერჟ პონტუაზი" - 56:5. ქართველ მორაგბეებს არ უთამაშიათ. ამ მოგების შემდეგ პარიზელები 85 ქულით პირველ ადგილზე არიან და უახლოეს მდევარ „ბობინის" 12 ქულით უსწრებენ.

„ბობინიმ" სტუმრად დაძაბულ ბრძოლაში წააგო **ელიზბარ ყუფარაძისა** და **დევი დათუნაშვილის** „მონლუსონთან" - 9:13. ყუფარაძემ საქართველოს A ნაკრებში ითამაშა, დათუნაშვილი განაცხადში არ იყო. მონლუსონელებს ახლა 67 ქულა აქვთ და მე-4 ადგილზე არიან.

ბოლო ტურში „მონლუსონი" შინ სტუმრად ეთამაშება უშუალო კონკურენტ „დიჟონს", რომელსაც სამი ქულით უსწრებს. გამარჯვების შემთხვევაში ჩვენებურთა გუნდი პლეი ოფში იასპარეზებს.

პლეი ოფს მიღმა დარჩა **ირაკლი მაჩხანელის, ბესო უდესიანისა** და **შოთა მელიქიძის** „მაკონი", რომელმაც შინ მოუგო „ანესის" - 35:12. ჩვენებურთა გუნდს 49 ქულა აქვს და მე-6 ადგილზეა. მას 8 ქულით ჩამორჩება **ავთანდილ კოპალიანის** „ორლეანი", რომელიც შინ დამარცხდა „ბურგ ან ბრესთან" - 16:20.

კიდევ უფრო უარესი სატურნირო მდგომარეობა აქვს **თემურ გელანტიას** „სტრასბურს", რომელმაც შინ მოუგო „ნევერს" 29:20. სტრასბური 34 ქულით მეცხრეა.

**A ჯგუფი**

**სურესნე-დიჟონი 3:20, მონლუსონი-ბობინი 13:9, სტრასბური-ნევერი 29:20, მასი-სერჟ პონტუაზი 56:5, ორლეანი-ბურგ ან ბრესი 16:20, მაკონი-ანესი 35:12**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. მასი - 85 ქულა, 2. ბობინი - 73, 3. ბურგ ან ბრესი - 69, 4. მონლუსონი - 67, 5. დიჟონი - 64, 6. მაკონი - 49, 7. ნევერი - 49, 8. ორლეანი - 41, 9. სტრასბური - 34, 10. ანესი - 32, 11. სურესნე - 13, 12. სერჟ პონტუაზი - 11**

B ჯგუფში ერთი შეხვედრა გაიმართა. **გიორგი ნემსაძის** „მონტობანმა" შინ მოუგო „ვალანსს" - 27:13. ნემსაძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 78-ე წუთზე შეცვალეს. მონტობანელებს ახლა 56 ქულა აქვთ და მეორე ადგილზე არიან.

ამ ჯგუფში კიდევ ორი ტურია გასამართავი. ამდენად „მწვანეებს" პლეი ოფში ადგილი ჯერ დაბევებული არ აქვთ. მას კვალში მიჰყვებიან **გია ლაბაძისა** და **რეზო ბელქანიას** „ლე სეინი" და **დავით კაჭარავას** „ნიცა". ერთადერთი გუნდი, ვისაც B ჯგუფში პლეი ოფის საგზური უკვე მოპოვებული აქვს, **ლაშა მალალურაძისა** და **გიორგი მჭედლიშვილის** „ბეზია". ლანგედოკელები 65 ქულით პირველ ადგილზე არიან.

**B ჯგუფი**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ბეზიე - 65 ქულა, 2. მონტობანი - 56, 3. ლა სეინი - 52, 4. ნიცა - 51, 5. ბლანიაკი - 49, 6. ვალანსი - 48, 7. შატორენარი - 47, 8. ლავორი - 45, 9. რომანი - 45, 10. ობენა - 37, 11. გროლე - 36, 12. გრასი - 17.**

ერთი შეხვედრა გაიმართა C ჯგუფშიც. **გიორგი ნაცარაშვილის** „სენ ჟუნიენმა" შინ მოუგო „ვანს" - 25:12. ჩვენებურის გუნდს 47 ქულა აქვს, მეშვიდე ადგილზეა და პლეი ოფში მოხვედრის შანსი აღარ აქვს.

53 ქულით მე-6 ადგილზეა და მეორე დივიზიონში გადასვლისთვის ბრძოლის გაგრძელების შანსს ინარჩუნებს **ვახტანგ მაისურაძის** „სენ ნაზერი".

თედო ზიბზიბაძის, ალექსანდრე მარგველაშვილის, ირაკლი ნინიძისა და დავით დადუნაშვილის „პერიგოს" კი 77 ქულა დაუგროვდა, მე-2 ადგილზეა და პლეი ოფში თამაშის უფლება დიდი ხანია მოპოვებული აქვს.

**C ჯგუფი**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ლიმოჟი - 81 ქულა, 2. პერიგო - 77, 3. ვანი - 71, 4. მარმანდი - 60, 5. ლანჟონი - 55, 6. სენ ნაზერი - 53, 7. სენ ჟუნიენი - 47, 8. სენ მედარი - 46, 9. რიბერაკი - 29, 10. პაი დუ მედოკი - 23, 11. ნიორი - 14, 12. ტური - 13.**

D ჯგუფში გამოტოევბული შეხვედრები არ გამართულა. აქ მოასპარეზე ქართველ მორაგბეთა გუნდები, **მერაბ კვირკაშვილის, რეზო გიგაურის, ბექა ურჯუკაშვილის, დავით ბალანჩივაძისა** და **ლევან დათუნაშვილის** „ფიჟაკი" და **კარლენ ასეიშვილის** „ორტეზი" დივიზიონში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძოლებენ.

**D ჯგუფი**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ტიროსი - 81 ქულა, 2. ლილი - 69, 3. კასტანე - 68, 4. ლანამეზანი - 66, 5. ოლორონი - 53, 6. სენ ჟან დე ლუზი - 53, 7. მორლაა - 48, 8. ლურდი - 48, 9. მოლეონი - 46, 10. ტურნეფოი - 41, 11. ფოჟაკი - 35, 12. კაორი - 31, 13. ორტეზი - 26.**

მე-16 ტურის შეხვედრები გაიმართა ესპუართა ანუ სათადარიგო გუნდების ჩემპიონატში. აქ გათამაშებას დამაჯერებლად ლიდერობს **ლევან ჩილაჩავას** და **კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონი", რომელმაც სტუმრად დაამარცხა **გიორგი მენაბდიშვილის** „გრენობლი" - 14:6. ტულონელებს 51 ქულა დაუგროვდათ და უახლოეს მდევარ „აჟენს" 13 ქულით უსწრებს.

„აჟენს" ერთი ქულით ჩამორჩება **ვიქტორ კოლელიშვილის, მიხეილ ჯაშიტაშვილისა** და **გიორგი ჯიმშელაძის** „კლერმონი", რომელსაც ერთი თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული. „უმცროსი ვულკანების" შეხევდრა სტუმრად „ბურგუენთან" გადაიდო.

**მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიე" კი სტუმრად „დამარცხდა „ბაიონთან" - 22:27. ჩვენებურის გუნდს 30 ქულა აქვს და ბოლოსწინა, მე-9 ადგილზეა.

**ესპუარები**

**XVI ტური**

**გრენობლი-ტულონი 6:14, პო-პერპინიანი 18:6, აჟენი-ტულუზი 16:15, ბაიონი-მონპელიე 27:22, ბურგუენი-კლერმონი (გადაიდო).**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ტულონი - 51 ქულა, 2. აჟენი - 38, 3. კლერმონი - 37, 4. პერპინიანი - 36, 5. პო - 34, 6. ტულუზი - 33, 7. ბურგუენი - 33, 8. ბაიონი - 31, 9. მონპელიე - 30, 10. გრენობლი - 27.**



საწვრთნელი შეკრება



კარლენ ასეიშვილის ლელო

# მომავლის ბორჯღალოსნები ოქსფორდში ჩაირიცხნენ

„მომავლის ბორჯღალოსნებმა" საწვრთნელი შეკრება, საქართველოს A ნაკრების მწვრთნელების **ლევან მაისაშვილისა** და **ნიკოლოზ ჭავჭავაძის** ხელმძღვანელობით, ინგლისში, ჰართპულის კოლეჯის ბაზაზე გაიარეს. ჩვენმა მორაგბეებმა აქ ორი საწვრთნელი მატჩი გამართეს. ჯერ ინგლისის არმიის გუნდს მოუგეს - 30:17, ხოლო შემდეგ, საქართველოში გამომგზავრების წინ, ოქსფორდის უნივერსიტეტის გუნდი დაამარცხეს - 38:13.

„იფლი როუდზე" ჩვენმა მორაგბეებმა ოქსფორდელებს ექვსი ლელო გაუტანეს. აქედან სამი, ფრანგულ „ორტეზში" მოთამაშე შერკინების ბურჯის, **კარლენ ასეიშვილის** ანგარიშზეა. გასაკვირი არაა, რომ „ყოჩების" ყოფილი მორკინალი, მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. შეგახსენებთ, რომ ასეიშვილმა არმიასთან მატჩშიც გამოიჩინა თავი და ორი ლელო გაიტანა.

პირველი ნახევარი 19:6 მოვიგეთ. ასეიშვილის ორ ლელოს ერთიც „ლელოს" მგეზავმა **ლაშა ხმალაძემ** მიუმატა, რომელიც მძიმე ტრავმის შემდეგ, რეაბილიტაციის პროცესს ჰართპულის კოლეჯის სარაგბო გუნდში გადის. ორი ლელო ფულბეკმა **ირაკლი ყიასაშვილმა** (ლელო) გარდასახა. ოქსფორდელებმა ამაზე მხოლოდ ორი საჯარიმოთი გვიპასუხეს.

მეორე ტაიმის დასაწყისში ისევ ასეიშვილმა გაილალა. მერე კი ყოფილი ლელოელების, მესამეხაზელის **ვიქტორ კოლელიშვილისა** (კლერმონი) და შერკინების ბურჯის **გიორგი მენაბდიშვილის** (გრენობლი) ჯერიც დადგა. ორი გარდასახვა შეცვლაზე შესულმა **გოდერძი ჯოგლიძემ** (ლელო) გაიტანა - 38:6.

მასპინძლებმა ერთადერთი ლელო მატჩის მიწურულს მიითვალეს - 13:38.

*„ჩვენთვის დიდი პატივია იმ ქვეყნის გუნდთან თამაში, რომელიც მსოფლიო თასის მონაწილეა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ქართველები ჯგუფურ ტურნირში ინგლისის ნაკრების მეტოქეები არიან.*

*თამაშმა გვიჩვენა, რომ საქართველოს ნაკრები ფიზიკურად ძალზედ ძლიერი გუნდია და დარწმუნებული ვარ, მსოფლიო თასზე თავის სიტყვას იტყვის."* - თქვა ოქსფორდის უნივერსიტეტის გენერალურმა დირექტორმა **ტიმ სტივენსმა**.

**ოქსფორდი-საქართველო 13:38**

**საქართველო: 15. ირაკლი ყიასაშვილი, 14. რეზო გიგაური, 13. გიორგი ჯიმშელაძე, 12. ირაკლი ჩხიკვაძე, 11. სანდრო ნიჟარაძე, 10. ლაშა ხმალაძე, 9. ირაკლი ლვინჯილია. 1. კარელნ ასეიშვილი, 2. რეზო ბელქანია, 3. ელიზბარ ყუფარაძე, 4. ბაჩუკი გუჯარაიძე, 5. ლაშა აზალაძე, 6. ვიქტორ კოლელიშვილი, 7. ირაკლი დაუშვილი, 8. ზვიად მაისურაძე.**

**6ლ: ასეიშვილი (3), ხმალაძე, კოლელიშვილი, მენაბდიშვილი. 4გ: ყიასაშვილი (2), ჯოგლიძე (2)**

მსოფლიო თასი

# ქრაისთჩერჩის ნაცვლად ინვერქარგილი

ახალი ზელანდიის ქალაქ ქრაისთჩერჩში ახლახან მომხდარმა ძლიერმა მიწისძვრამ მსოფლიო თასის გათამაშების ორგანიზატორები იძულებული გახადა, შეჯიბრების განრიგი და მატჩების გამართვის ადგილები შეეცვალა.

მიწისძვრამ ქრაისთჩერჩის „ემი სთეიუმი" ისე ძლიერ დააზიანა, რომ მასზე მატჩების გამართვა შეუძლებელი გახდა. არადა, 18 სექტემბერს საქართველოს ნაკრებს აქ ინგლისის ეროვნულ გუნდთან უნდა ეთამაშა. ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, „ბორჯღალოსნები" „პომებს" ქრაისთჩერჩის ნაცვლად დანიდინში, ახალ „ფორსის ბარ სთედიუმზე" დაუპირისპირდებიან.

ეს სტადიონი ახლა მშენებლობის პროცესშია და 30 ათას მაყურებელს დაიტევს. აღსანიშნავია, რომ მას მოძრავი სახურავი ექნება. მშენებლობა 1 აგვისტოსთვის უნდა დასრულდეს. სტადიონის გახსნა კი ახალი ზელანდიისა და ფიჯის ნაკრებების ტესტ მატჩისასაა დაგეგმილი.

შეიცვალა საქართველოს ნაკრების მატჩის ადგილი შოტლანდიის ეროვნულ გუნდთან. ჩვენს მორაგბეებს 14 სექტემბერს „სკოტებთან" დანიდინში უნდა ეთამაშათ. ახალი განრიგის მიხედვით კი „ნარშავებს" ინვერქარგილში დავუპირისპირდებით, რომელიც ახალი ზელანდიის უკიდურეს სამხრეთშია. შეიცვალა „ბორჯღალოსანთა" ბაზირების ადგილიც. საქართევლოს ნაკრები ინვერქარგილთან ახლოს, ქუინზთაუნში იცხოვრებენ.

ჩვენი გუნდი დარჩენილ ორ შეხვედრას ისევ ძველი განრიგით გამართავს. 28 სექტემბერს ნორს პალმერსთონში რუმინეთის ნაკრებს დავუპირისპირდებით, 2 ოქტომბერს კი იქვე არგენტინას ვეთამაშებით.

**ახალი განრიგი**

**10 სექტემბერი, დანიდინი**

**არგენტინა-ინგლისი**

**11 სექტემბერი, ოკლენდი**

**ავსტრალია-იტალია**

**14 სექტემბერი, ინვერქარგილი**

**საქართველო-შოტლანდია**

**18 სექტემბერი, დანიდინი**

**საქართველო-ინგლისი**

**25 სექტემბერი, ველინგტონი**

**არგენტინა-შოტლანდია**

**1 ოქტომბერი, ნელსონი**

**ავსტრალია-რუსეთი**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური სპორტი

## კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# სენსაციების დღე

უცნაურია, მაგრამ **კარმელო ენტონის** გადაბირების შემდეგ „ნიუ იორკ ნიქსის" საქმეები უკუღმა წავიდა. „ორლანდოსთან" გუშინდელ შეხვედრას **მაიკ დ'ანტონის** გუნდი ზედიზედ ექვსი წაგებით შეხვდა და ამ უიღბლო სერიის გათვალისწინებით აღმოსავლეთის ერთ-ერთი გრანდის დამარცხების პერსპექტივა მეტად ბუნდოვნად მოჩანდა, მით უმეტეს, რომ „ნიქსის" მეტოქე აღნიშნულ შეხვედრას ხუთმატჩიანი მოგებათა სერიით შეხვდა.

ნიუიორკელებს მატჩის წინ სერიოზული განწყობა ჰქონდათ. საბოლოოდ „ნიქსმა" დიდხნიანი შესვენების შემდეგ მოახერხა მოგება, თუმცა ამაში მსაჯებიც დაეხმარნენ. მაგალითად, ძირითადი დროის დასრულებამდე 10 წამით ადრე, როცა „ნიუ იორკი" ერთი ქულით იყო წინ, არბიტრმა **ტონი დუგლასის** ორქულიანი ჩათვალა, არადა **დუაიტ ჰოვარდმა** იმ დროს დაუფარა მეტოქეს, როცა ბურთს ჰაერში უმაღლესი წერტილისთვის არ მიეღწია. „მეჯიქმა" ხელები მაინც არ ჩამოუშვა - **ჯეისონ რიჩარდსონმა** საპასუხო შეტევაში სამქულიანი ჩააგდო და თამაში ოვერტაიმში გადაიყვანა.

გადამწყვეტი გახდა ეპიზოდი დამატებითი დროის დასრულებამდე წუთითა და 17 წამით ადრე. 105:108-ზე რიჩარდსონმა კუთხიდან სამქულიანი ესროლა და ააცილა, მაგრამ ჰოვარდმა შეტევაში მოხსნა ბურთი და... მეექვსე პერსონალური მიიღო. გაბრაზებულმა „სუპერმენმა" ბურთი იატაკზე დაახეთქა და ტექნიკური პერსონალური მიიღო, რომელიც ამ სეზონში რიგით მეჩვიდმეტეა. შემდეგ არასპორტულ დარღვევას ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოჰყვება.

მიუხედავად ამისა, „ორლანდომ" კინაღამ გადაარჩინა უიმედო მატჩი. 51 წამით ადრე „ნიქსის" შეცდომის შემდეგ **თურქოგლუ** კონტრშეტევაში გაიქცა და სამქულიანი ჩააგდო, მაგრამ მსაჯებმა არ ჩათვალეს, რადგან მოედნის მეორე კუთხეში ჯარიმა მიიღო რიჩარდსონმა. ნაქცეულმა ორლანდოელმა ფეხი გამოსდო კარმელო ენტონის. წესის დარღვევა მართლაც იყო, მაგრამ წამით ადრე ენტონიმ იმავე ილეთით შეაჩერა მეტოქე და ეს მსაჯებმა ვერ დაინახეს. ასე თუ ისე, ამ მომენტის შემდეგ სტუმრებმა ქულის აღება ველარ მოახერხეს.

სხვათა შორის, გუშინ ამ ორ გუნდთან დაკავშირებით საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა გაზეთმა Orlando Sentinel-მა. ამ ცნობის თანახმად, „ნიუ იორკი" თავისი ორი ვარსკვლავური ფორვარდიდან ერთ-ერთს - **ამარე სტაუდმაიერს** ან კარმელო ენტონის „ორლანდოს" გაუცვლის ცენტრ დუაიტ ჰოვარდში. ეს უკანასკნელი 2011-12 წლების სეზონის შემდეგ გახდება თავისუფალი აგენტი და მისი უკომპენსაციოდ დაკარგვის შიშით, „ორლანდოს" ხელმძღვანელობამ, შესაძლოა, მართლაც განიხილოს ნიუიორკელთა წინადადება.

■ ■ ■

გუშინ წააგო სეზონის სამმა ფავორიტმა. „ჩიკაგოს" ბოლო 13 თამაშიდან 12 მოგებული ჰქონდა, მაგრამ მოულოდნელად დამარცხდა „ფილადელფიასთან", თანაც საკუთარ მოედანზე, რაც 18 იანვრის შემდეგ არ მომხდარა. არადა, **დერიკ როუზმა** 31 ქულა დააგროვა, ხოლო მრისხანე დუეტმა **კარლოს ბუზერისა** და **ჟოაკიმ ნოას** შემადგენლობით ჯამში 25 ქულა, 21 მოხსნა, 5 ჩაჭრა და 3 დაფარება მიითვალა. მიუხედავად ამისა, დიდი შესვენებისთვის სტუმრების უპირატესობა 16 ქულას შეადგენდა.

„ჩიკაგო" სწორედ როუზმა დაალალატა. მან 10 შეცდომა დაუშვა და აქედან ერთ-ერთი გადამწყვეტი აღმოჩნდა - წუთითა და 50 წამით ადრე დერეკს ბურთი მოჰპარა **უილიამსმა** და „სიქსერზმა" უპირატესობა 10 ქულამდე აიყვანა.

გრძელდება „ბოსტონის" დაცემა. „კელტებს" შეეძლოთ ესარგებლათ „ჩიკაგოს" წაგებით და ამ გუნდთან ცხრილში ჩამორჩენა შეემცირებინათ, მაგრამ ეს შანსი ვერ გამოიყენეს. მათ ვერ უშველა **რაჟონ რონდოს** დაბრუნებამ, რომელმაც წინა შეხვედრა თითის ტრავმის გამო გამოტოვა.

თითქმის მთელი მატჩი ქულა ქულაში მიდიოდა, მაგრამ „სელტიქსმა" ბოლო მეოთხედი ჩააგდო - თამაშიდან 14-ჯერ ისროლა და მხოლოდ ოთხჯერ ზუსტად. ასეთი შედეგიანობით ფავორიტს მოგების შანსი არ ჰქონდა.

ზედიზედ მეოთხე მატჩი წააგო „სან ანტონიომ", თუმცა ეს არავის გაკვირვებია, რადგან რეგულარულის ლიდერს **ტიმ დანკანი, მანუ ჯინობილი** და **ტონი პარკერი** აკლდა, ამ ტრიოს გარეშე კი „სპურსი" სულ სხვა გუნდია.

გრეგ პოპოვიჩის გუნდმა რევანში ვერ აუღო „პორტლენდს" სამი დღის წინ განცდილი მარცხისთვის, მიუხედავად იმისა, რომ **ჯორჯ ჰილმა** 27 ქულა დააგროვა, ხოლო მასპინძელმა მესამე მეოთხედი 21:9 მოიგო. „სპურსი" საფინალო სირენამდე 7 წუთით ადრე შვიდი ქულით იგებდა, მაგრამ „ბლეიზერსმა" მონახა ძალა 17:2 გაქცევისთვის, რის შემდეგაც მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო.

## კვირის მოთამაშეები

„ორლანდო მეჯიქის" ცენტრი დუაიტ ჰოვარდი და „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" მცველი **კობი ბრაიანტი** გასულის კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დაასახელეს.

აღმოსავლეთი კონფერენციის ლაურეატი ჰოვარდი გასულ კვირას პირველი იყო ლიგაში მოხსნების რაოდენობით (14.3) და თამაშიდან ტყორცნების რეალიზაციის პროცენტით (71.1). „სუპერმენი" ამ სეზონში 50-ჯერ იყო თავის გუნდში საუკეთესო ქულების რაოდენობით და 65-ჯერ მოხსნების რაოდენობით. ჰოვარდს სეზონში 60 ორმაგი დუბლი აქვს შესრულებული. დუაიტი ამ სეზონში მეექვსედ გახდა კვირის საუკეთესო მოთამაშე.

დასავლეთში საუკეთესო ბრაიანტმა „ლეიკერსს" სამიდან სამჯერ მოაგებინა. მისი საშუალო შედეგიანობა 36.3 ქულას უდრიდა. კობიმ 22 მარტს „ფინიქსის" წინააღმდეგ სეზონში შედეგიანობის პირადი რეკორდი დაამყარა - 42 ქულა დააგროვა და ამას 12 მოხსნა და 9 პასი დაუმატა. ეს ბრაიანტის კარიერაში 107-ე 40-ქულიანი მატჩი იყო.

### ჰოვარდის კვირა

**21 მარტი. კლივლენდი-ორლანდო 96:97.** 28 ქულა, 18 მოხსნა, 4 დაფარება, 4 ჩაჭრა.

**23 მარტი. ნიუ იორკი-ორლანდო 99:111.** 33 ქულა, 11 მოხსნა, 3 დაფარება.

**25 მარტი. ორლანდო-ნიუ ჯერსი 99:85.** 21 ქულა, 14 მოხსნა, 3 დაფარება, 2 ჩაჭრა.

### ბრაიანტის კვირა

**22 მარტი. ლეიკერსი-ფინიქსი 139:137.** 42 ქულა, 12 მოხსნა, 9 პასი.

**25 მარტი. ლეიკერსი-კლიპერსი 112:104.** 37 ქულა, 4 მოხსნა, 6 პასი.

**27 მარტი. ნიუ ორლეანი-ლეიკერსი 84:102.** 30 ქულა, 5 პასი.

კვირის მოთამაშის სტატუსზე შემდეგი კალათბურთელები აცხადებდნენ პრეტენზიას: **ტონი ალენი** („მემფისი"), **ზაკ რენდოლფი** („მემფისი"), **კრის ბოში** („მაიამი"), **დუეინ უეიდი** („მაიამი"), **ლებრონ ჯეიმსი** („მაიამი"), **რასელ უესტბრუკი** („ოკლაჰომა") და **მარკუს ტორნტონი** („საკრამენტო").

### ინდიანა-ბოსტონი 107:100

**27:33, 30:16, 24:36, 26:15**

ი: ჰიბერტი (26), გრეინჯერი (18), კოლისონი (17), პრაისი (15).

ბ: პირსი (23+6 მოხსნა), რონდო (22+8 პასი), დევისი (20+5 მოხსნა), ალენი (11+5 პასი).

### შარლოტი-მილუოკი 87:86

**27:26, 18:20, 20:26, 22:14**

შ: ჯექსონი (18+5 მოხსნა), ჰენდერსონი (16+5 მოხსნა), ოგუსტინი (10+8 პასი+5 მოხსნა), დიაო (10+8 პასი), კეროლი (10).

მ: ჯენინგსი (26+9 პასი+5 მოხსნა), ბოგუტი (26+9 მოხსნა), მბა ა მუტე (11+6 მოხსნა).

### ჩიკაგო-ფილადელფია 85:97

**13:27, 24:26, 27:16, 21:28**

ჩ: როუზი (31+5 პასი), ბუზერი (15+9 მოხსნა), ნოა (10+13 მოხსნა), დენგი (10+9 მოხსნა).

ფ: იანგი (21+7 მოხსნა), იგუოდალა (19+7 მოხსნა+7 პასი), ჰოუესი (14), ბრენდი (13+9 მოხსნა), ჰოლიდეი (12+6 პასი), უილიამსი (10+7 პასი+7 მოხსნა).

### სან ანტონიო-პორტლენდი 92:100

**22:28, 29:30, 21:9, 20:33**

ს-ა: ჰილი (27+6 პასი), სპლიტერი (14+9 მოხსნა).

პ: მილერი (26), მეტიუზი (19+5 მოხსნა), უოლასი (14+7 მოხსნა), როი (11), ბატუმი (10+13 მოხსნა).

### იუტა-ვაშინგტონი 95:100 (ო)

**21:16, 22:35, 20:22, 22:12, 10:15**

ი: მაილზი (17), ჯეფერსონი (15+16 მოხსნა), უოტსონი (13+9 პასი+7 მოხსნა), ჰეივორდი (12), მილსეპი (12), ფეივორსი (11+10 მოხსნა).

ვ: უოლი (28+7 პასი+6 მოხსნა), კროუფორდი (25+5 მოხსნა), ევანსი (12), მაკგი (11+17 მოხსნა).

### ნიუ იორკი-ორლანდო 113:106 (ო)

**18:18, 30:26, 27:29, 25:27, 13:6**

ნ-ი: ენტონი (39+10 მოხსნა), სტაუდმაიერი (20+9 მოხსნა), ბილაპსი (17+6 მოხსნა+6 პასი), დუგლასი (16).

ო: ჰოვარდი (28+18 მოხსნა), რიჩარდსონი (24), თურქოგლუ (18), ბასი (14+6 მოხსნა), ანდერსონი (10+6 მოხსნა), არენასი (9+10 მოხსნა+5 პასი).



კარმელომ ძლივს მოიგო

### აღმოსავლეთი

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. y-ბოსტონი | 73 | 51 | 22 | 69.9 |
| 2. y-ჩიკაგო | 73 | 53 | 20 | 72.6 |
| 3. x-მაიამი* | 73 | 51 | 22 | 69.9 |
| 4. x-ორლანდო | 74 | 47 | 27 | 63.5 |
| 5. x-ატლანტა | 74 | 42 | 32 | 56.8 |
| 6. ფილადელფია | 74 | 38 | 36 | 51.4 |
| 7. ნიუ იორკი | 74 | 36 | 38 | 48.6 |
| 8. ინდიანა | 75 | 33 | 42 | 44.0 |
| 9. შარლოტი | 73 | 31 | 42 | 42.5 |
| 10. მილუოკი | 73 | 29 | 44 | 39.7 |
| 11. დეტროიტი | 73 | 26 | 47 | 35.6 |
| 12. ნიუ ჯერსი | 72 | 23 | 49 | 31.9 |
| 13. ტორონტო | 73 | 20 | 53 | 27.4 |
| 14. ვაშინგტონი | 73 | 18 | 55 | 24.7 |
| 15. კლივლენდი | 72 | 14 | 58 | 19.4 |

### დასავლეთი

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. x-სან ანტონიო* | 74 | 57 | 17 | 77.0 |
| 2. y-ლეიკერსი | 73 | 53 | 20 | 72.6 |
| 3. x-დალასი | 73 | 52 | 21 | 71.2 |
| 4. x-ოკლაჰომა* | 72 | 48 | 24 | 66.7 |
| 5. დენვერი | 73 | 44 | 29 | 60.3 |
| 6. პორტლენდი | 74 | 43 | 31 | 58.1 |
| 7. ნიუ ორლეანი | 74 | 42 | 32 | 56.8 |
| 8. მემფისი | 74 | 41 | 33 | 55.4 |
| 9. ჰიუსტონი | 73 | 38 | 35 | 52.1 |
| 10. ფინიქსი | 72 | 36 | 36 | 50.0 |
| 11. იუტა | 75 | 36 | 39 | 48.0 |
| 12. გ. სტეიტი | 74 | 32 | 42 | 43.2 |
| 13. კლიპერსი | 74 | 29 | 45 | 39.2 |
| 14. საკრამენტო | 72 | 20 | 52 | 27.8 |
| 15. მინესოტა | 74 | 17 | 57 | 23.0 |

* - დივიზიონის ლიდერი, x - გავიდა პლეი ოფში, y - დივიზიონის ჩემპიონი

### ქულა

| | |
|---|---|
| კევინ დურანტი (ოკლ) | 27.7 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივ) | 26.5 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 25.7 |
| ამარე სტაუდმაიერი (ნ-იორ) | 25.6 |
| კარმელო ენტონი (ნ-იორ) | 25.3 |
| კობი ბრაიანტი (ლეი) | 25.2 |
| დერიკ როუზი (ჩიკ) | 25.0 |
| მონტა ელისი (გ-სტ) | 24.3 |

### მოხსნა

| | |
|---|---|
| კევინ ლავი (მინ) | 15.4 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 14.3 |
| ზაკ რენდოლფი (მემ) | 12.4 |
| ბლეიკ გრიფინი (კლიპ) | 12.0 |
| კრის ჰემფრიზი (ნ-ჯერ) | 10.3 |
| პაუ გასოლი (ლეი) | 10.3 |
| ემეკა ოკაფორი (ნ-ორლ) | 9.7 |
| ელ ჯეფერსონი (იუტ) | 9.7 |

### პასი

| | |
|---|---|
| სტივ ნეში (ფინ) | 11.4 |
| რაჟონ რონდო (ბოს) | 11.3 |
| დერონ უილიამსი (ნ-ჯერ) | 10.2 |
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 9.8 |
| ხოსე კალდერონი (ტორ) | 8.9 |
| ჯონ უოლი (ვაშ) | 8.6 |
| რეიმონდ ფელტონი (დენ) | 8.6 |
| ჯეისონ კიდი (დალ) | 8.4 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 8.3 |
| დერიკ როუზი (ჩიკ) | 7.9 |

### ჩაჭრა

| | |
|---|---|
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 2.4 |
| რაჟონ რონდო (ბოს) | 2.3 |
| მონტა ელისი (გ-სტ) | 2.2 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 1.8 |
| მაიკ კონლი (მემ) | 1.8 |
| ტონი ალენი (მემ) | 1.8 |
| რეიმონდ ფელტონი (დენ) | 1.7 |
| ჯეისონ კიდი (დალ) | 1.6 |
| მანუ ჯინობილი (ს-ანტ) | 1.6 |
| ტრევორ არიზა (ნ-ორლ) | 1.6 |

### დაფარება

| | |
|---|---|
| ენდრიუ ბოგუტი (მილ) | 2.7 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 2.4 |
| ჯაველ მაკგი (ვაშ) | 2.4 |
| სერჟ იბაკა (ოკლ) | 2.3 |
| დარკო მილიჩიჩი (მინ) | 2.1 |
| ელ ჯეფერსონი (იუტ) | 1.9 |
| ამარე სტაუდმაიერი (ფინ) | 1.9 |
| ენდრიუ ბინუმი (ლეი) | 1.9 |
| ტიმ დანკანი (ს-ანტ) | 1.9 |

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ვეტერანი სკანდინაველების რეკორდები

გუშინ, ჰოკეის ეროვნულ ლიგაში ორ ღირსშესანიშნავ მოვლენას ჰქონდა ადგილი. თავი გამოიჩინეს ცნობილმა სკანდინაველმა ვეტერანებმა - **ტეემუ სელიანემ** და **ნიკლას ლიდსტრიომმა**.

„ანაჰაიმის" თავდამსხმელი სელიანე პირველი მოთამაშე გახდა 40 წლის (ან მეტი) ასაკში, ვინც ერთ მატჩში ხუთი ქულა დააგროვა და ჰეთ-თრიკი შეასრულა. გუშინ, „იხვებმა" რთულ ბრძოლაში 5:4 დაამარცხეს „კოლორადო" და ტეემუმ თავისი გუნდის ხუთივე გოლში მიიღო მონაწილეობა. მის ანგარიშზე სამი გოლი და ორი საგოლე პასი მოდის.

გარდა ამისა, სელიანემ ბოლო 18 წლის განმავლობაში პირველად გამოიყენა ბულიტი. ბოლოს ასეთი რამ ფინელის კარიერაში 1993 წლის 9 მარტს მოხდა.

ტურის მეორე გმირი აღმოჩნდა „დეტროიტ რედ უინგზის" ლეგენდარული მცველი ნიკლას ლიდსტრიომი. შვედი 40 წელს გადაცილებული პირველი მოთამაშეა NHL-ის ისტორიაში, ვინც ერთ სეზონში 60 ქულის მოგროვება შეძლო. ამ ზღვარს ლიგის ერთ-ერთმა საუკეთესო მცველმა „ჩიკაგოსთან" მატჩში მიაღწია. ახლა სკანდინაველის ანგარიშზე 15 გოლი და 45 პასი მოდის.

ამ სეზონში ლიდსტრიომი შედეგიანობის მხრივ მეორე ადგილზეა მცველებს შორის. პირველ პოზიციაზე იმყოფება „ანაჰაიმის" წევრი **ლუბომირ ვიშნოვსკი**. გუშინდელი მატჩის შემდეგ მისი მონაგარი 63 ქულას (15+48) შეადგენს.

## კვირის სამი ვარსკვლავი

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ გასული კვირის პირველ ვარსკვლავად „ბაფალო სეიბრზის" მეკარე **რაიან მილერი** დაასახელა. ამ გოლკიპერმა სამ მატჩში საშუალოდ 0.67 გოლი გაუშვა და მეტოქეთა დარტყმების 97.6 პროცენტი მოიგერია. მისმა გუნდმა სამივე შეხვედრაში გაიმარჯვა და აღმოსავლეთ კონფერენციაში მერვე ადგილზე გადაინაცვლა. მილერმა 85 დარტყმიდან 83 მოიგერია და სამი მატჩიდან ორში „შათაუტი" შეასრულა.

მეორე ვარსკვლავი გახდა „ანაჰაიმ დაქსის" ფორვარდი **კორი პერი**. კანადელი გასული კვირის საუკეთესო სნაიპერი გახდა 5 გოლით და რეგულარულის ლიდერი - გატანილი შაიბების რაოდენობით (44). პერიმ სამ მატჩი მიიღო მონაწილეობა და სამივეში მინიმუმ ერთი გოლი გაჰქონდა. ბოლო 9 მატჩში ამ ჰოკეისტმა 17 ქულა (13+7) დააგროვა.

მესამე ვარსკვლავი მეკარე გახლავთ „ნიუ იორკ რეინჯერსის" კარის დარაჯი **ჰენრიკ ლუნდკვისტი**, ვინც გასულ კვირას საშუალოდ 0.32 შაიბას უშვებდა და მეტოქეთა დარტყმების 98.7 პროცენტს იგერიებდა. შვედმა „რეიჯნერსს" სამიდან ორ მატჩში მოაგებინა და ამ შეხვედრებში ორი „შათაუტი" შეასრულა.

### ანაჰაიმი-კოლორადო 5:4

**0:2, 3:1, 2:1**

გოლები: 0:1 რ. ო'რაილი-11 (ჰეიდუკი-30, სტოე-2), 0:2 დუშენი-27 (ჰეიდუკი-31, ჰანვიკი-12), 1:2 სელიანე-26 (ბულიტი), 2:2 ჯ. ბლეიკი-15 (სელიანე-46, ს. კოივუ-26), 3:2 სელიანე-27 (ფაულერი-27, ს. კოივუ-27), 3:3 ჯონსი-25 (ვინიკი-13, ო'ბირნი-10), 4:3 ფაულერი-9 (სელიანე-47, ვიშნოვსკი-47), 5:3 სელიანე-28 (გეტცლაფი-51, ვიშნოვსკი-48), 5:4 შჩასტნი-21 (ჰეიდუკი-32, დუშენი-34).

### დეტროიტი-ჩიკაგო 2:3 (ო)

**1:2, 0:0, 1:0, 0:1**

გოლები: 0:1 ტეივზი-31 (ბროუერი-18, კამპოლი-15), 1:1 ლიდსტრიომი-15 (ფილპულა-21, რაფალსკი-38), 1:2 სიბრუკი-6 (პ. კეინი-41, მარიან ჰოსა-29), 2:2 ზეტერბერგი-23 (ჰუდლერი-26, რაფალსკი-39), 2:3 მარიან ჰოსა-23 (პ. კეინი-42, კეიტი-35).

### აღმოსავლეთი

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. x-ფილადელფია* | 75 | 45 | 20 | 10 | 100 |
| 2. x-ვაშინგტონი* | 76 | 44 | 22 | 10 | 98 |
| 3. x-ბოსტონი* | 75 | 42 | 23 | 10 | 94 |
| 4. x-პიტსბურგი | 76 | 45 | 23 | 8 | 98 |
| 5. ტამპა ბეი | 75 | 40 | 24 | 11 | 91 |
| 6. მონრეალი | 76 | 40 | 29 | 7 | 87 |
| 7. რეინჯერსი | 76 | 41 | 30 | 5 | 87 |
| 8. ბაფალო | 75 | 38 | 28 | 9 | 85 |
| 9. კაროლინა | 75 | 35 | 30 | 10 | 80 |
| 10. ტორონტო | 76 | 34 | 32 | 10 | 78 |
| 11. ატლანტა | 75 | 32 | 31 | 12 | 76 |
| 12. ნიუ ჯერსი | 75 | 34 | 36 | 5 | 73 |
| 13. აილენდერსი | 76 | 29 | 35 | 12 | 70 |
| 14. ფლორიდა | 76 | 29 | 36 | 11 | 69 |
| 15. ოტავა | 76 | 29 | 37 | 10 | 68 |

### დასავლეთი

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. y-ვანკუვერი | 76 | 50 | 17 | 9 | 109 |
| 2. დეტროიტი* | 76 | 44 | 22 | 10 | 98 |
| 3. სან ხოსე* | 76 | 44 | 23 | 9 | 97 |
| 4. ფინიქსი | 77 | 41 | 25 | 11 | 93 |
| 5. ლოს ანჯელესი | 75 | 43 | 26 | 6 | 92 |
| 6. ნეშვილი | 76 | 41 | 25 | 10 | 92 |
| 7. ანაჰაიმი | 76 | 43 | 28 | 5 | 91 |
| 8. ჩიკაგო | 75 | 41 | 26 | 8 | 90 |
| 9. კალგარი | 77 | 38 | 28 | 11 | 87 |
| 10. დალასი | 74 | 38 | 26 | 10 | 86 |
| 11. მინესოტა | 75 | 35 | 32 | 8 | 78 |
| 12. სტ. ლუისი | 75 | 34 | 32 | 9 | 77 |
| 13. კოლამბუსი | 75 | 33 | 31 | 11 | 77 |
| 14. კოლორადო | 75 | 28 | 39 | 8 | 64 |
| 15. ედმონტონი | 75 | 23 | 41 | 11 | 57 |

* - დივიზიონის ლიდერი, x - გავიდა პლეი ოფში, y - დივიზიონის ჩემპიონი

### ბომბარდირები

#### გოლი+პასი

| | |
|---|---|
| დანიელ სედინი (ვან) | 96 (40+56) |
| მარტინ სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 89 (27+62) |
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 89 (19+70) |
| სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი) | 86 (43+43) |
| კორი პერი (ანა) | 85 (44+41) |
| ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშ) | 77 (29+48) |
| ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტ) | 76 (23+53) |
| ჯერომ იგინლა (კალ) | 75 (36+39) |
| ჯონათან ტეუვზი (ჩიკ) | 75 (31+44) |
| ტეემუ სელიანე (ანა) | 75 (28+47) |

#### გოლები

| | |
|---|---|
| კორი პერი (ანა) | 44 |
| სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი) | 43 |
| დანიელ სედინი (ვან) | 40 |
| რაიან კესლერი (ვან) | 36 |
| ჯერომ იგინლა (კალ) | 36 |
| პატრიკ შარპი (ჩიკ) | 34 |
| ჯეფ კარტერი (ფილ) | 34 |
| პატრიკ მარლო (ს-ხოს) | 33 |

#### პასები

| | |
|---|---|
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 70 |
| მარტინ სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 62 |
| დანიელ სედინი (ვან) | 56 |
| ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტ) | 53 |
| რაიან გეტცლაფი (ანა) | 51 |
| მაიკ რიბეირო (დალ) | 50 |
| დავიდ კრეიცი (ბოს) | 48 |
| ლუბომირ ვიშნოვსკი (ანა) | 48 |
| ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშ) | 48 |
| ანზე კოპიტარი (ლ-ანჯ) | 48 |

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



ტეემუ სელიანე

ჩოგბურთი

# ლენდლმა მიურეის საკუთარი თავი შესთავაზა


ლენდლი მწვრთნელობას იწყებს

მსოფლიოს მეხუთე ნომერი, ბრიტანელი **ენდი მიურეი** თავის ახალ მწვრთნელად ლეგენდარული ამერიკელი **ივან ლენდლის** კანდიდატურას განიხილავს. როგორც ESPN წერს, „დიდი სლემის“ ტურნირების რვაგზის ჩემპიონმა უკვე შესთავაზა თავისი სამსახური ენდის.

ამ მომენტისთვის 23 წლის შოტლანდიელს ღრმა კრიზისი აქვს. იანვარში ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში გასვლის შემდეგ მიურეიმ ოთხ ტურნირში მიიღო მონაწილეობა და ოთხივეში პირველი წრიდან გამოეთიშა ბრძოლას, თანაც ორჯერ წააგო ჩოგბურთელებთან, რომლებიც მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან ენდის რეიტინგში - ამერიკელებთან **დონალდ იანგთან** და **ალექს ბოგომოლოვთან.**

ენდის თითქმის ერთი წელია არ ჰყავს მუდმივი მწვრთნელი - შარშან ზაფხულში მან თანამშრომლობა გაწყვიტა **მაილს მაკლაგნთან.** დღემდე ესპანელი **ალექს კორეჩა** გახლდათ შოტლანდიელის კონსულტანტი. მას თანამემამულე **დანი ვალვერდე** ეხმარება.

ადრე ლენდლს უმაღლესი დონის ჩოგბურთელებთან არასოდეს უმუშავია.

P. S. გუშინვე გახდა ცნობილი, რომ მიურეიმ შეწყვიტა ურთიერთობა კორეჩასთან. *„მე და ალექსი მეგობრებად დავრჩებით,* - განაცხადა ბრიტანელმა ჩოგბურთელმა. - *მისგან ბევრი რამ ვისწავლე და მინდა მადლობა გადავუხადო გაწეული შრომისთვის, ერთგულებისა და ენთუზიაზმისთვის, რომლითაც ის ამ საქმეს უდგებოდა“.*

# დულკო გაგოს მიჰყვება

ფრანგმა **მარიონ ბარტოლიმ** კიდევ ერთხელ განაცხადა უარი ფედერაციის თასზე საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში თამაშზე. ამ დღეებში 26 წლის ბარტოლიმ ნაკრების კაპიტანთან **ნიკოლა ესკუდესთან** განიხილა მსოფლიო ჯგუფის პლეი ოფში ესპანეთის ნაკრების წინააღმდეგ გამოსვლის პერსპექტივა. ეს მატჩი 16-17 აპრილს გაიმართება. 2007 წლის უიმბლდონის ფინალისტმა უარი თქვა თამაშზე იმ მიზეზით, რომ ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია არ გადაიხდის ჩოგბურთელის გუნდის გადაფრენისა და ცხოვრების ხარჯებს.

*„მე შევხვდი ნიკოლს, დავილაპარაკეთ, მაგრამ ამან შედეგი არ მოიტანა. მე საკმაოდ დიდი გუნდი მყავს, რომლის გარეშეც არ შემიძლია პროგრესი,* - ამბობს ბარტოლი. - *შედგენილი მაქვს მკაცრი გეგმა, რომელიც ჩემს საწვრთნელ შტაბთან ყოველდღიურ ორსაათიან მეცადინეობას ითვალისწინებს.*

*თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩემსა და ესკუდეს შორის სერიოზული კონფლიქტი არსებობს. ჩვენ ასე შევთანხმდით: ის გაგზავნის წერილს საერთაშორისო ფედერაციაში, რომელშიც დაწერს, რომ მე თანახმა ვარ ნაკრებში თამაშზე, მაგრამ თავად მწვრთნელმა არ გამომიძახა შემადგენლობაში. ეს 2012 წლის ოლიმპიადაზე გამოსვლის გარანტიას მომცემს“.*


არგენტინული წყვილი

■ ■ ■

როგორც ჩანს, საუკეთესო არგენტინელი ჩოგბურთელი ქალი **ხისელა დულკო** ზაფხულში ვერ დაეხმარება ფედერაცის თასზე თავისი ქვეყნის ნაკრებს იაპონელთა გუნდის წინააღმდეგ. საქმე ისაა, რომ ივლისში წყვილთა თანრიგში მსოფლიოს პირველი ჩოგანი მადრიდის „რეალის“ ნახევარმცველზე - **ფერნანდო გაგოზე** იქორწინებს.

ასე რომ, დულკო ფრიად საპატიო მიზეზის გამო გამოტოვებს უმნიშვნელოვანეს მატჩს, რომელშიც მსოფლიო ჯგუფის საგზურის ბედი ირკვევა.

ოლიმპიზმი. ლონდონი 2012

# ლონდონური ამბები


ოლიმპიური სტადიონი გამწვანდა

გუშინ ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მთავარ არენაზე - ოლიმპიურ სტადიონზე მწვანე გაზონი დააგეს. 9 ათასი კვადრატული მეტრის სიდიდის მოედნის შესავსებად საჭირო გახდა ბალახის 360 რულონი. ახლა 80-ათასიან სტადიონზე დარჩენილია სარბენი ბილიკების მოწყობა, რაც ამ წლის ბოლოს მოხდება.

შეგახსენებთ, რომ ზაფხულის თამაშების მთავარი არენის მშენებლობა 2008 წლის მაისში დაიწყო. ოლიმპიადის შემდეგ სტადიონი გადაკეთდება და 60 ათას მაყურებელს დაიტევს. მასზე საშინაო მატჩებს ჩაატარებს პრემიერლიგის კლუბი „ვესტ ჰემი“, გარდა ამისა, იქ გაიმართება ტურნირები მძლეოსნობაში

■ ■ ■

ბრიტანეთის სპორტის ისტორიაში ყველაზე წარმატებულ 27 ათლეტს დაევალა გაერთიანებული სამეფოს დღევანდელი ოლიმპიური ნაკრების წევრთა მომზადება.

ამ ჯგუფში მოხვდნენ ნიჩბოსნობაში ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონი **სტივ რედგრეივი,** საშუალო დისტანციებზე მორბენალი, ოლიმპიადის ორგზის გამარჯვებული **კელი ჰოლმსი** და კრივში ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი **ამირ ჰანი.**

საერთო ჯამში, ამ ჯგუფში შესული ვარსკვლავების ანგარიშზე 51 ოლიმპიური მედალია. მათ მოვალეობაში შედის გამოცდილების გაზიარება, ათლეტების მხარდაჭერა, რჩევების მიცემა...

*„ყველაფერთან ერთად დღევანდელ სპორტსმენებს ვასწავლით იმ კოლოსალური ზეწოლისგან თავის დაღწევას, რასაც ოლიმპიადაზე გამოსვლა იწვევს“,* - აღნიშნა ჰოლმსმა.

■ ■ ■

ლონდონის ოლიმპიადის დროს სიახლე იქნება ბალახის ჰოკეის ტურნირზე. კერძოდ, მატჩები არა მწვანე, არამედ ლურჯ საფარზე გაიმართება. ორგანიზატორების ჩანაფიქრით, ლურჯი გაზონის გამო ტურნირი უფრო სანახაობრივი იქნება, რადგან მაყურებელი უკეთ დაინახავს ბურთსა და ხაზებს.

■ ■ ■

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გენერალურმა დირექტორმა **ურს ლაკოტმა** თანამდებობიდან გადადგომაზე ოფიციალური განცხადება გააკეთა. 56 წლის შვეიცარელმა ეს ნაბიჯი ჯანმრთელობის გაუარესების გამო გადადგა. მხარეებმა თანამშრომლობა ორმხრივი შეთანხმების თანახმად შეწყვიტეს. ლაკოტი 2003 წლიდან იყო ოლიმპიური კომიტეტის გენერალური დირექტორი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

### ევრო 2012

#### შესარჩევი

| | |
|---|---|
| თურქეთი-ავსტრია | 2:0 |
| ბელგია-აზერბაიჯანი | 4:1 |
| ესტონეთი-სერბეთი | 1:1 |
| ჩრ. ირლანდია-სლოვენია | 0:0 |
| რუმინეთი-ლუქსემბურგი | 3:1 |
| შვედეთი-მოლდოვა | 2:1 |
| ჰოლანდია-უნგრეთი | 5:3 |
| ჩეხეთი-ლიხტენშტაინი | 2:0 |
| ლიტვა-ესპანეთი | 1:3 |

### ევრო 2011

#### UNDER 21

| | |
|---|---|
| კვიპროსი-სან მარინო | 6:0 |
| ანდორა-უელსი | 0:1 |

### ევრო 2011

#### UNDER 17

| | |
|---|---|
| ჰოლანდია-პორტუგალია | 1:0 |
| ავსტრია-ხორვატია | 0:2 |
| შვეიცარია-გერმანია | 0:2 |
| უკრაინა-თურქეთი | 2:2 |
| უნგრეთი-რუმინეთი | 1:2 |
| რუსეთი-ისლანდია | 2:0 |

### ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| ჩინეთი-ჰონდურასი | 3:0 |
| იორდანია-ჩრ. კორეა | 1:1 |
| ეკ. გვინეა-გამბია | 1:0 |
| ბელარუსი-კანადა | 0:1 |
| ომანი-ტუნისი | 2:1 |
| კატარი-რუსეთი | 1:1 |
| პერუ-ეკვადორა | 0:0 |
| ერაყი-ქუვეითი | 0:1 |
| კვიპროსი-ბულგარეთი | 0:1 |
| ნიგერია-კენია | 3:0 |
| სლოვაკეთი-დანია | 1:2 |
| ჩილე-კოლუმბია | 2:0 |
| საბერძნეთი-პოლონეთი | 0:0 |
| გერმანია-ავსტრალია | 1:2 |
| ირლანდია-ურუგვაი | 2:3 |
| უკრაინა-იტალია | 0:2 |
| ინგლისი-განა | 1:1 |
| საფრანგეთი-ხორვატია | 0:0 |
| პორტუგალია-ფინეთი | 2:0 |
| კუბა-პანამა | 0:2 |
| კამერუნი-გაბონი | გადაიდო |

#### UNDER 21

| | |
|---|---|
| სერბეთი-უკრაინა | 2:2 |
| კატარი-შვეიცარია | 3:5 |
| რუსეთი-აზერბაიჯანი | 8:0 |
| ჩეხეთი-საფრანგეთი | 0:1 |
| ლუქსემბურგი-ესტონეთი | 0:6 |
| ავსტრია-ნორვეგია | 2:1 |
| გერმანია-იტალია | 2:2 |
| ჩერნოგორია-მაკედონია | 0:1 |

#### UNDER 20

| | |
|---|---|
| პოლონეთი-შვეიცარია | 0:3 |

#### UNDER 19

| | |
|---|---|
| საბერძნეთი-კვიპროსი | 0:1 |
| სლოვაკეთი-სერბეთი | 1:0 |
| გერმანია-უკრაინა | 3:0 |
| ჰოლანდია-ინგლისი | 3:0 |

### ინგლისი

#### I ლიგა

| | |
|---|---|
| დაგენჰემი-ბრაიტონი | 0:1 |
| ექსეტერი-სუინდონი | 1:0 |
| როჩდეილი-ჩარლტონი | 2:0 |
| უენსდი-ბრენტფორდი | 1:3 |
| იეოვილი-კარლაილი | 1:0 |

#### II ლიგა

| | |
|---|---|
| პორტ ვეილი-ლინკოლნი | 2:1 |
| როტერჰემი-შრიუსბერი | 1:3 |

#### კონფერენსი

| | |
|---|---|
| ალტრინჩემი-საუთპორტი | 1:1 |
| ქროული-მენსფილდი | 2:0 |
| გრიმსბი-დარლინგტონი | 0:1 |
| ლუტონი-ბაროუ | 0:0 |
| ნიუპორტი-გეიტშიდი | 2:1 |
| ტამუორტი-რექსჰემი | 1:1 |

### შოტლანდია

#### I დივიზიონი

| | |
|---|---|
| კოუდენბითი-ფალკირკი | 0:0 |
| როსი-დანფერმლაინი | 0:1 |
| სტირლინგი-ქუინი | 0:2 |

#### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ფორფარი-ეირდრი | 1:2 |
| სტენჰაუზმური-დამბარტონი | 2:2 |
| ბრეჩინი-ალოა | 3:2 |
| ისტ ფაიფი-ეირი | 3:2 |
| ლივინგსტონი-პიტერჰედი | 5:1 |

#### III დივიზიონი

| | |
|---|---|
| ანენი-კლაიდი | 0:2 |
| ქუინზ პარკი-მონროუზი | 1:0 |
| ბერვიკი-სტრანრარი | 3:3 |

### უელსი

| | |
|---|---|
| ლანელი-ტნს | 0:2 |

## კალათბურთი

### ევროლიგა

#### 1/4 ფინალი. III მატჩები

| | |
|---|---|
| ვალენსია-რეალი | 66:75 |
| პანათინაიკოსი-ბარსელონა | 76:74 |
| მონტეპასკი-ოლიმპიაკოსი | 81:72 |
| მაკაბი-კახა ლაბორალი | 81:60 |

## ჰოკეი

### კჰლ

| | |
|---|---|
| ატლანტი-ლოკომოტივი | 2:4 |

### ავსტრია

| | |
|---|---|
| ზალცბურგი-ვენა | 4:1 |

### გერმანია

| | |
|---|---|
| ჰანოვერი-კრეფელდი | 2:3 |
| ინგოლშტადტი-აისბარენი | 1:4 |
| მანჰაიმი-დიუსელდორფი | 2:5 |

### შვეიცარია

| | |
|---|---|
| კლოტენი-ბერნი | 1:0 |

### შვედეთი

| | |
|---|---|
| შელეფტეო-ლულეა | 2:0 |

## ჩოგბურთი

### ATP. მაიამი

| | |
|---|---|
| ცონგა-დოლგოპოლოვი | 7:6, 4:6, 5:7 |
| ფიში-დელ პოტრო | 7:5, 7:6 |
| ფერერი-გრანოლერსი | 6:1, 6:2 |
| ისნერი-ანდერსონი | 3:6, 6:7 |
| **ბერდიხი**-ფ. მაიერი | 6:3, 2:6, 7:6 |

### WTA. მაიამი

| | |
|---|---|
| იანკოვიჩი-**პეტკოვიჩი** | 6:2, 2:6, 4:6 |

TV პროგრამა

## 30 მარტი. ოთხშაბათი

### GMG-ფეხბურთი

**10:00** ამხანაგური მატჩი. გერმანია-ავსტრალია.
**12:00** დოკუმენტური ფილმი „გვჭირდება თუ არა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი“.
**12:30** ჰოლანდიის ჩემპიონატი. დენ ჰააგი-აიაქსი.
**14:30** საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-არლი.
**16:30** ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-სევილია.
**18:30** იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-ჯენოა.
**20:30** დოკუმენტური ფილმი „გვჭირდება თუ არა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი“.
**21:00** ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-მანჩესტერი.
**21:45** უნიბურთი. სტუდენტური საფეხბურთო ლიგის მიმოხილვა.
**23:00** გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-დორტმუნდი.
**01:00** არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

### GMG-სპორტი

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ.
**12:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ოკლაჰომა-გოლდენ სტეიტი.
**13:45** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ.
**15:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ.
**17:30** რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. მიმოხილვა.
**18:00** კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. მაკაბი-კახა ლაბორალი. მესამე მატჩი.
**19:30** კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. პანათინაიკოსი-ბარსელონა. მესამე მატჩი.
**21:00** კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. მესამე მატჩების მიმოხილვა.
**21:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ოკლაჰომა-გოლდენ სტეიტი.
**23:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/4 ფინალი. მაიამი. აშშ (LIVE).

### НТВ-პლუსი (სპორტი)

**18:55** ფეხბურთი. ეკფ-ის თასი. ქალები. ფინალი. დინამო-შატო დ'აქსი. I მატჩი (LIVE).

### НТВ-პლუსი (ონლაინი)

**04:40** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი. ინტერნასიონალი-ვილსტერმანი (LIVE).

### НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)

**21:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. ინდიან უელსი. აშშ (LIVE).
**23:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/4 ფინალი. მაიამი. აშშ (LIVE).
**03:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. ინდიან უელსი. აშშ (LIVE).
**05:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/4 ფინალი. მაიამი. აშშ (LIVE).

### НТВ-პლუსი (კალათბურთი)

**03:00** NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ვაშინგტონი-მაიამი (LIVE).

### SPORT+

**20:55** თავისუფალი ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატი. 55, 66, 84, 120 კგ. გერმანია (LIVE).

### EUROSPORT

**10:45** სნუკერი. ჩინეთის ღია პირველობა. III დღე. პეკინი. ჩინეთი (LIVE).
**13:30** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. მაიამი. აშშ (LIVE).
**15:30** სნუკერი. ჩინეთის ღია პირველობა. III დღე. პეკინი. ჩინეთი (LIVE).
**21:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. მაიამი. აშშ (LIVE).
**02:00** სნუკერი. ჩინეთის ღია პირველობა. III დღე. პეკინი. ჩინეთი (LIVE).

### EUROSPORT-2

**10:30** სნუკერი. ჩინეთის ღია პირველობა. III დღე. პეკინი. ჩინეთი (LIVE).
**15:30** სნუკერი. ჩინეთის ღია პირველობა. III დღე. პეკინი. ჩინეთი (LIVE).
**20:15** კალათბურთი. ევროთასი. 1/4 ფინალი. უნიქსი (რუსეთი)-კაზერტა (იტალია). საპასუხო მატჩი (LIVE).
**22:15** კალათბურთი. ევროთასი. 1/4 ფინალი. ბენეტონი (იტალია)-გოტინგენი (გერმანია). საპასუხო მატჩი (LIVE).

ჩოგბურთი. მიმოხილვა

# ვოზნიაცკი დაიღალა

მაიამის სუპერტურნირზე მორიგ სათამაშო დღეს ქალებს უნდა გამოევლინათ ყველა მეოთხედფინალისტი, კაცებს კი უნდა დაესრულებინათ მეთექვსმეტედფინალურ ეტაპზე გამოსვლა. თუმცა საქმეში ამინდი ჩაერია და ორი შეხვედრის დასრულება არ მოხერხდა.

გაცილებით საინტერესო იყო გუშინ ქალების თამაშები. უდიდესი სენსაცია მოხდა იმ მატჩში, რომელშიც ამას ყველაზე ნაკლებად ველოდით. მსოფლიოს პირველი ჩოგანი **კაროლინ ვოზნიაცკი** ზედიზედ რვა მოგებით შეხვდა გერმანელ **ანდრეა პეტკოვიჩთან** მატჩს. წინა კვირას დანიელმა ინდიან უელსი დაიპყრო, მაგრამ გუშინ კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ორი ამერიკული სუპერტურნირის ზედიზედ მოგება ძალიან რთულია. ასეთი რამ ადრე მხოლოდ ლეგენდარულმა გერმანელმა **შტეფი გრაფმა** და **კიმ კლაისტერსმა** მოახერხეს.



ვოზნიაცკი ამ მატჩში ძალიან დაღლილი ჩანდა, მაგრამ ბოლომდე იბრძოლა. პირველ სეტში დანიელს 5:4-ზე სამმაგი სეტბოლი ჰქონდა, მაგრამ ზედიზედ სამი გეიმი და მასთან ერთად პარტია წააგო. ორივე მეტოქე ძალიან ბევრს ცდებოდა ამ მატჩში. გერმანელი ცდილობდა პირველ ნომრად ემოქმედა, უტევდა და ამის გამო 59 უნებლიე შეცდომა დაუგროვდა. 52 ასეთი შეცდომა ჰქონდა ვოზნიაცკის, თანაც გადამწყვეტ მომენტებში უფრო ზუსტი გერმანელი ჩოგბურთელი იყო და ამან გადაწყვიტა კიდეც შეხვედრის ბედი - 7:5, 3:6, 6:3 პეტკოვიჩის სასარგებლოდ. თამაში ორსაათ-ნახევარს გაგრძელდა. ცნობისთვის, ვოზნიაცკიმ ამ დროის განმავლობაში 17 ბრეიკ-პოინტი მოიპოვა და მხოლოდ 5 გამოიყენა.

*„პირველ პარტიაში სეტბოლი მქონდა, მაგრამ ეს შანსი ვერ გამოვიყენე. შემდეგ ძალა გამომელია და მატჩი ამის გამო დავთმე. სპორტში ასეთი რამ ხდება. მეტოქე აგრესიულად და დამაჯერებლად თამაშობდა და დაიმსახურა გამარჯვება. ახლა რამდენიმე დღე დავისვენებ. პლაჟზე ვინებივრებ და შემდეგ დავიწყებ მზადებას ჩარლსტონის ტურნირისთვის“*, - განაცხადა მატჩის შემდეგ ვოზნიაცკიმ.

დიდ ინტერესს იწვევდა **მარია შარაპოვასა** და **სამანტა სტოსურის** შეხვედრა. სტატისტიკის მიხედვით რუსს არ უნდა გასჭირვებოდა ავსტრალიელის დამარცხება, რადგან ამ ჩოგბურთელების წინა ექვს მატჩში ყველა შარაპოვას ჰქონდა მოგებული. სტატისტიკა უტყუარი აღმოჩნდა.

თამაში უცნაურად დაიწყო - პირველივე გეიმში სამანტამ ორი ორმაგი შეცდომა დაუშვა და მეტოქეს წინ გასვლის საშუალება მისცა. მაგრამ იქვე მარიამ სამი სამმაგი შეცდომა დააგროვა და საპასუხო ბრეიკი მიიღო. ამის შემდეგ ჩოგბურთელებმა ორ-ორი საკუთარი მოწოდება აიღეს და გადამწყვეტი აღმოჩნდა მე-7 გეიმი. ავსტრალიელმა ისევ დაუშვა ორი ორმაგი შეცდომა და ისევ ვერ გადაარჩინა საკუთარი გეიმი. შარაპოვამ დამაჯერებლად მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე - 6:4.

მოულოდნელად მეორე პარტიაში ბრძოლა არ ყოფილა. მარიამ შეცდომებს უკლო, მოწოდება გააუმჯობესა და შეტევითი მოქმედებები გააგრძელა. სტოსურს კი, პირიქით, აღარაფერი გამოსდიოდა. გაჭირვებით მოგებული პირველი გეიმის შემდეგ ავსტრალიელმა ზედიზედ ექვსი გეიმი წააგო - 1:6.

ორგანიზატორებმა ბოლოსთვის შემოინახეს ცენტრალური მატჩი ბელგიელ კიმ კლაისტერსსა და სერბ **ანა ივანოვიჩს** შორის, მაგრამ წვიმამ სწორედ ამ შეხვედრის გამართვას შეუშალა ხელი და ის მეორე დღისთვის გადაიდო.

**WTA**

**Sony Ericsson Open**

მაიამი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 4 500 000 დოლარი

**1/8 ფინალი**

**მარია შარაპოვა (რუს, 13)**-სამანტა სტოსური (ავსტრია, 4) 6:4, 6:1; **ალექსანდრა დულგერუ (რუმ, 26)**-შუაი პენგი (ჩინ) 6:3, 6:4; **ანდრეა პეტკოვიჩი (გერ, 21)**-კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 1) 7:5, 3:6, 6:3; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 6)**-ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ) 6:1, 6:3; **ვერა ზვონარევა (რუს, 3)**-მარიონ ბარტოლი (საფ, 15) 2:6, 6:3, 6:2; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 9)**-ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 5) 6:0, 6:2; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 8)**-ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს, 17) 3:6, 6:1, 6:4.

**1/4 ფინალი**

პეტკოვიჩი (21)-იანკოვიჩი (6); შარაპოვა (13)-დულგერუ (26); ა. რადვანსკა (9)-ზვონარევა (3); აზარენკა (8)-ივანოვიჩი (19)/კლაისტერსი (2).

# რაფამ მეგობრობა არ იცის

ერთი მატჩი არ დასრულდა მამაკაცებს შორის. უკრაინელი **ალექსანდრ დოლგოპოლოვისა** და ფრანგი **ჟო ვილფრიდ ცონგას** მატჩი მაშინ დასრულდა, როცა მესამე სეტში 3:2 იყო დაწინაურებული სლავი ჩოგბურთელი. შეხვედრის დასრულება მეორე დღისთვის გადაიდო და რადგან ამავე დღეს დანიშნულია ყველა მერვედფინალი, დოლგოპოლოვისა და ცონგას შორის გამარჯვებულს ერთ დღეს ფაქტობრივად ორი მატჩის ჩატარება მოუწევს. მერვედფინალში მეტოქე ესპანელი **რაფაელ ნადალი** იქნება, რომელმაც კარიერაში უკვე მრავალჯერ გაანბილა თავისი მეგობარი და თანამემამულე **ფელისიანო ლოპესი** - 6:3, 6:3.

*„ეს უბრალოდ ჩოგბურთია და მეტი არაფერი. კორტის მიღმა მართლაც კარგი მეგობრები ვართ. მაგალითად, გუშინ ერთად ვივახშმეთ. ეს სპორტია, შეჯიბრება, კონკურენცია... ერთ-ერთმა ჩვენგანმა უნდა გაიმარჯვოს - ფრე გამორიცხულია“*, - განაცხადა მატჩის შემდეგ ნადალმა.

სატურნირო ბადის ზედა მხარეს ტოპ ათეულის კიდევ ორი წევრი იყო შემორჩენილი და ორივემ ორ სეტში გაიმარჯვა. **ტომაშ ბერდიხმა** არგენტინელი **კარლოს ბერლოკი** დაამარცხა, **როჯერ ფედერერმა** კი ამ ქვეყნის კიდევ ერთ წარმომადგენელს - **ხუან მონაკოს** მოუგო.

იყო ერთი მოულოდნელი შედეგი. ბელგიელ **ოლივიე როხუსს** დიდი ხანია სერიოზული მეტოქისთვის არ მოუგია, აქ კი ბრძოლას გამოთიშა ტურნირის მე-13 ნომერი **მიხაილ იუჟნი**. არადა, პირველი სეტის შედეგი ბელგიელი ვეტერანისთვის კარგს არაფერს მოასწავებდა - მან 35 წუთში მხოლოდ ერთი გეიმი აიღო, სამაგიეროდ, მომდევნო ორ პარტიაში სამი ბრეიკის წყალობით ერთნაირი ანგარიშით - 6:3 გაიმარჯვა.

**ATP**

**Sony Ericsson Open**

მაიამი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 3 645 000 დოლარი

**1/16 ფინალი**

**ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 7)**-კარლოს ბერლოკი (არგ) 7:6(8), 7:5; **იანკო ტიპსარევიჩი (სერ)**-ფილიპ პეტცშნერი (გერ) 6:3, 6:3; **ოლივიე როხუსი (ბელ)**-მიხაილ იუჟნი (რუს, 13) 1:6, 6:3, 6:3; **ფლორიან მაიერი (გერ)**-ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 11) 6:1, 3:6, 6:1; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 3)**-ხუან მონაკო (არგ, 32) 7:6(4), 6:4; **რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-ფელისიანო ლოპესი (ესპ) 6:3, 6:3; **ჟილ სიმონი (საფ, 25)**-პაბლო კუევასი (ურუ) 4:6, 6:1, 6:2.

**1/8 ფინალი**

ნადალი (1)-დოლგოპოლოვი (21)/ცონგა (15); ფ. მაიერი-ბერდიხი (7); ფედერერი (3)-ო. როხუსი; ტიპსარევიჩი-სიმონი (25); ფერერი (6)-გრანოლერსი; ფიში (14)-დელ პოტრო; ისნერი (30)-ანდერსონი; ტროიცკი (16)-ჯოკოვიჩი (2).



მეგობრები და მოწინააღმდეგეები






ავტოსპორტი

# კიმი ნასკარში მიდის



კიმი რაიკონენი

ფორმულა 1-ის ყოფილმა ჩემპიონმა **კიმი რაიკონენმა**, რომელიც ამჟამად რალის მსოფლიოს ჩემპიონატში გამოდის, მოულოდნელად ამერიკულ სარბოლო სერიაში - ნასკარში გადასვლის სურვილი გამოთქვა.

უცნობი წყაროს ინფორმაციით, კიმი ახალი გუნდის - ICE1 Racing team-ის მანქანით გადადგამს პირველ ნაბიჯებს ოკეანის გაღმა ერთ-ერთ პოპულარულ სარბოლო სერიაში. უნდა აღინიშნოს, რომ თავიდან ფინელი მონაწილეობას მიიღებს პიკაპებით რბოლებში. იქ მას სავარაუდოდ, ბრაზილიელ **ნელსინიო პიკესთან** მოუწევს შეხვედრა. ამის შემდეგ სკანდინაველი ავტომრბოლი პრესტიჟულობის მიხედვით მეორე კლასში - Nationwide Series-ში გადავა. სავარაუდოდ, ამას მოჰყვება ნასკარის ყველაზე პრესტიჟულ დივიზიონში („სპრინტის თასი“) გამოსვლა. სწორედ ამ სერიაში ასპარეზობს ცნობილი კოლუმბიელი **ხუან პაბლო მონტოია**.

*„მინდა საკუთარი ძალები მოვსინჯო ნასკარის სერიაში. ამ რბოლებს უკვე დიდი ხანია თვალს ვადევნებ და მოუთმენლად ველი ამერიკული შეჯიბრებების ატმოსფეროს შეგრძნებას“*, - აღნიშნა რაიკონენმა.

მიუხედავად ამისა, კიმი გააგრძელებს წელს რალის ჩემპიონატში გამოსვლას, რადგან მას რვა ეტაპში მონაწილეობაზე აქვს გაფორმებული კონტრაქტი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**